ეროვნული თავისუფლების გზით – პირადული თავისუფლებისაკენ
პირადული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №9 (2027) 23.03.2007 • ფასი 30 თეთრი

NATO OTAN North Atlantic Treaty Organisation

ნატოში საქართველოს გაწევრიანების სასურველობის საკითხისათვის

მე-2-3 გვ.

ელექტრონული ელექტორატი: სიგნალები მითი და სინამდვილე

მე-5-8 გვ.

ინტერპიუ ნოდარ ნათაძესთან

მე-4 გვ.

საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

მე-9-12 გვ.



რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა დღევანდელ დღეს

მე-15-16 გვ.

მსოფლიო ბანკი და მისი ახალი მეთაური

„მსოფლიოს ყველაზე ცუდი კაცი“ (new statesman)

მე-16 გვ.

სუზერენიტეტის ტრიბუნა

პატიმრის მიერ გამოგზავნილი წერილი ციხიდან

მე-14 გვ.

ჩინეთში ახალი რევოლუცია იწყება

მე-13 გვ.

ჩამდენი ჩინელია საქართველოში?

მე-13 გვ.

...მათი ოფიციალური რაოდენობაა ორმოცდახუთი ათასი, ხოლო რეალური (როგორც გვეუბნებიან) – სულ ცოტა, ორჯერ მეტი...

საქართველოს პარლამენტს საქართველოს საზოგადოებრიობას

ნატოში საქართველოს გაწევრიანების სასურველობის საკითხისათვის

საქართველოს პარლამენტმა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზა, აახლონ მას თავისი დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია, რომ საქართველო გახდეს ჩრდილო ატლანტიკის თავდაცვითი კავშირის (ნატოს) წევრი უახლოეს წლებში. სიამოვნებით ვაახლებთ მას პარტიის „საქართველოს სახალხო ფრონტის“ აზრს, რომელსაც ვაქვეყნებთ. ტექსტი გაგზავნილია პარლამენტში წერილის სახით და E-MAIL-ით.

საქართველოს სახალხო ფრონტის
ეროვნული კომიტეტი

I. შესაძლებელია თუ არა საქართველოს ნეიტრალიტეტი დღეს და განჭვრეტად მომავალში?

1. რუსეთის გეოსტრატეგიული აზროვნება დღეს, ხვალ და განუსაზღვრელ მომავალში კატეგორიულად მოითხოვს, რომ დასავლეთს დაეკეტოს (სახელდობრ, კავკასიაში დაეკეტოს) შუა აზიისკენ მიმავალი გზა. ერთგულების თვალსაზრისით საიმედო მოკავშირე ამ გზის ღიაობის მსურველ დასავლეთს, ამასთან – ზღვაზე გამავალი ქვეყნის მაცხოვრებელი მოკავშირე – საქართველოს გარდა არავინ ჰყავს. აქედან – რუსეთის სტრატეგიული ამოცანა: **ქართველი ერის, როგორც ამ ტერიტორიის ქმედუნარიანი მფლობელის, „აორთქლება“ პლანეტიდან, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოს, როგორც შუა აზიის გასაღებისა და ამ რეგიონში დასავლეთის შესაძლო პლაცდარმის, ქმედითი და სამუდამო კონტროლის აღება მისი ჩაკეტვის მიზნით.**

2. ამავე მიზეზით იგივე გეოსტრატეგიული მიზანი არ შეიძლება არ ჰქონდეს ირანს, რაც განაპირობებს ბუნებრივ მოკავშირეობას ირანსა და რუსეთს შორის.

3. ასევე (პერსპექტივაში) ამ ორთა კავშირის მესამე წევრია თურქეთი, რომელშიც ფუნდამენტალისტური (კერძოდ, რელიგიური) პოლიტიკური მოტივაციების გაძლიერება ბოლო ათწლეულებში, ქვეყნის „დასავლეთიზაციისათვის“ იდეალური პირობებისა და ხელშეწყობის არსებობის ფონზეც კი, შემთხვევითობა არ არის (თურქეთი, საქართველოსგან განსხვავებით, ტიპოლოგიურად აღმოსავლური ქვეყანაა, რის გამოც „ანტიდასავლელობას“, როგორც მენტალიტეტის მიმართულებასა და სულისკვეთებას, იქ მეტი პერსპექტივა აქვს, ვიდრე „მედასავლეთეობას“, რომელიც ქრისტიანულ რუსეთშიც კი ყალბი აღმოჩნდა).

4. არა თუ მოსალოდნელი, არამედ გარდუვალია, რომ სამთა ხსენებული კავშირი, რომელიც (გაუფორმებლად თუ სათანადო გაფორმებით) ჩინეთის მეთაურობით ქმნადობაში მყოფი ანტიდასავლური ალიანსის ნაწილია პოტენციაში, თავის გეოსტრატეგიულ პროგრამა-მაქსიმუმში იმის მაგულისხმებელი იქნება, რომ დასავლეთ-შუა აზიის ერთადერთი პერსპექტიული გზის, კავკასიის საიმედო გადაკეტვის შემთხვევაში დასავლეთი, ამ კონკრეტული რეგიონის სიტუაციისადმი უიმედობით მოცული, **ხელს აიღებს მესამე მსოფლიო ომის ამ ერთერთი ძირითადი ფრონტის გადატანის განზრახვაზე კასპიის ზღვის ხაზიდან (ან, მისთვის უარეს შემთხვევაში, საქართველო-აზერბაჯანის საზღვრიდან) შუა აზია-ჩინეთის საზღვრისკენ, რასაც ის მოჰყვება, რომ დასავლეთი, აქტიური პოლიტიკის ნაცვლად, დაადგება მესამე მსოფლიო ომში ამ ფრონტზე მოწინააღმდეგის მხრიდან დარტყმის პასიური ლოდინის პოლიტიკას და მის წინაშე ღრმად ეშელონირებული თავდაცვის ხაზის შშენებლობას დასჯერდება.** ამ შემთხვევაში (რომელსაც ალტერნატივა არა აქვს, თუ ამერკავკასიის ხიდი რუსული ძალით გადაიკეტა) საქართველო, ყოველივე დაცვის გარეშე, ხელთ რჩება ხსენებულ ოთხთა კავშირს (ისლამური სამყაროს დიდი ნაწილის მიმატებით) და ამ ისტორიული ხაფანგიდან გამოსვლას ვერასოდეს ვეღარ ეღირსება. ეს იზოლაცია უფრო მძიმეა, ვიდრე ისტორიულად ცნობილი იზოლაცია, როცა საქართველო იდგა ორი (ურთიერთმტერი) ისლამური ვეშაპის – თურქეთისა და ირანის – პირისპირ და მათ შორის ლავირებასთან ერთად მათი მოპირისპირე ძალისკენ – რუსეთისკენ – იყურებოდა. ახლა მისი აგრესიული მეზობლები – ირანი, თურქეთი და რუსეთი – ერთნი იქნებიან. ამ ვითარებაში საქართველოს შესაძლო (და არა გარანტირებულ) დამცველად ერთადერთი ისტორიული სუბიექტი – დასავლეთი – რჩება. ნატოში (ან სხვა ორმხრივ და მრავალმხრივ სამხედრო კავშირებში) საქართველოს შეუსვლელობა მისი ამ დაუცველი მდგომარეობის დასტაბილებას (მარადიულყოფას) ნიშნავს.

შენიშვნა: ყოველივე თქმულის გათვალისწინებითღა (მაგრამ არა მანამდე) იწყება ქართული პოლიტიკური აზრის ყველაზე მძიმე ამოცანა. დასავლეთი, რა თქმა უნდა, არც საქართველოს ბიძებისაგან შედგება, არც მისი გადარჩენისათვის თავის გაწირვის ან თუნდაც დამატებითი უკომფორტობის შექმნის მსურველთაგან. დასავლეთს შეუძლია ჩვენი ქვეყნის გაწირვაც და ფეხებზე დაკიდებაც. რით შეგვიძლია ჩვენ (ჩვენსა და დასავლეთს შორის ერთობლივი სასიცოცხლო ინტერსების გათვალისწინებით) ამ ხვედრისაგან თავის დაცვა? პასუხი ერთია: არა სამხედრო ალიირებაზე ხელის აღებით (რის იდეასაც რუსეთი გვინერგავს თავის აგენტთა პირითა და კალმით), არამედ ამ სახის ალიანსებისათვსის (ორმხრივი იქნება ეს თუ მრავალმხრივი, ნატოსავით) ერთობლივი პასუხისმგებლობის არეალთა და პირობათა წინასწარი განსაზღვრითა და დაფიქსირებით. ამ ბაზაზე (და **მხოლოდ** ამ ბაზაზე) არის შესაძლებელი ჩვენი და ჩვენ მოკავშირეთა ინტერესების წინააღმდეგ მეზობელი ქვეყნების ევენტუალური შემოტევების აღკვეთა. მაგალითად, ალიანსს, რომელშიც საქართველოც იქნება და დასავლელებიც, შეუძლია შეთანხმება ჰქონდეს იმავე ირანთან, რომ ჩვენს სტრატეგიულ მოძრაობას დასავლეთი-შუა აზიის ხაზზე იგი დაბრკოლებას არ უქმნის, ხოლო ჩვენ მის ამა და ამ ინტერესებს არ ვეხებით (ან ხელს ვუწყობთ), და ა.შ. ჩვენი ქვეყნის მომცველი სათავდაცვო ალიანსის ანალოგიური შეთანხმებები შეიძლება თურქეთთან, რუსეთთან და ნებისმიერ სხვასთან, რადგან არც სათავდაცვო ალიირება გამორიცხავს შეთანხმებას მოპირისპირე ალიანსებთან და არც მოწინააღმდეგეთა არსებობა გამორიცხავს ალიირებას ერთობლივი ინტერესების მქონე ქვეყნებს შორის.

თქმულის საფუძველზე ჩვენი უყოყმანო აზრია:

1. საქართველოს ნეიტრალიტეტი დღეს და განჭვრეტად მომავალში შეუძლებელია და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით დაუშვებელია;

2. საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია დღეს და განჭვრეტად მომავალში სათავდაცვო კავშირი (ალიანსი) დემოკრატიულ დასავლეთთან.

II. დემოკრატიულ დასავლეთთან საქართველოს სათავდაცვო კავშირის შესაძლებელი ფორმები, მათი უპირატესობები და ხარვეზები

ასეთი ფორმა (ჩვენი დღევანდელი ხედვის ფარგლებში) სამია:

ა) საქართველო ხდება ნატოს წევრი;

ბ) საქართველო დებს სათავდაცვო ხელშეკრულებას ნატოსთან;

გ) საქართველო დებს ცალ-ცალკე ორმხრივ ხელშეკრულებებს დასავლეთის ქვეყნებთან.

ამ სამ შესაძლებლობას შორის საქართველოსთვის ოპტიმალური იქნება ის, რომელიც ყველაზე მეტ შესაძლებლობას იძლევა, რათა

– მკაფიოდ იყოს განსაზღვრული საქართველოსა და მისი მოკავშირე სახელმწიფოს (სახელმწიფოების) იმგვარი ერთობლივი დაინტერესების არეალი, რომელიც (ეს დაინტერესება) საკმარის საფუძველს წარმოადგენს მათი ჩაბმისათვის ერთობლივ ომში ამ ინტერესთა შემლახავი მხარის წინააღმდეგ;

– მკაფიოდ იყოს განსაზღვრული საქართველოსა და მისი მოკავშირე სახელმწიფოს (სახელმწიფოების) პასუხისმგებლობა ერთმანეთის წინაშე თითოეული მათგანის კონკრეტული კერძო ინტერესის მესამე მხარის მიერ ხელყოფის შემთხვევაში (ტერიტორიული ინტერესის ჩათვლით);

– მკაფიოდ განსაზღვრული იყოს საქართველოს და მისი მოკავშირე სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ტერიტორიის დაცულობის (ჰაერსაწინააღმდეგოსა და რაკეტსაწინააღმდეგოს, ქიმიურის, ბაქტერიოლოგიურის და სხვა) ის ხარისხი, რომლის მოცემულობის შემთხვევაშიც ძალაში შედის საქართველოს მოვალეობა მოკავშირის მიერ წარმოებულ ომში ჩაბმისა.

III. არის თუ არა ნეიტრალიტეტი თავდასხმისაგან საქართველოს დაცვის საშუალება?

არის თუ არა ნეიტრალიტეტის გამოცხადება საქართველოს მიერ, მართლაც, სახელმწიფოს დაცვა? ამ კითხვას მხოლოდ უარყოფითი პასუხი აქვს. იმისთვის, რომ სახელმწიფოზე თავდასხმის უფლება სხვა სახელწმიფოს არ ჰქონდეს, არ არის საჭირო, მას თავი ნეიტრალურად გამოცხადებული ჰყავდეს. თავდასხმა ანუ აგრესია უამისოდაც ყველას კატეგორიულად აკრძალული აქვს. მაგრამ არსებობს აუარებელი მექანიზმები საერთაშორისო სამართლის ამ უპირველესი ნორმისა და მცნებისათვის გვერდის ავლისა, მაგალითად, მსხვერპლად შერჩეული სახელმწიფოსათვის ამა თუ იმ შემთხვევითი გარემოების გამო შარის მოდების ანუ თავდასხმისთვის რაღაცა გამამართლებელი საბაბის შექმნის სახით (ამგვარ შესაძლო საბაბთა არსენალი თავისი ერთპიროვნული ვოლუნტარისტული განცხადებებით საგრძნობლად გაუფართოვა რუსეთმა, ამასწინათ რომ თავისი სახელმწიფო უშიშროების დოქტრინა გამოფინა სააკკარაზე, სადაც იგი უფლებას იჩემებს, თავისი მოქალაქეები თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ (წაიკითხეთ: საქართველოში) შეიარაღებული ძალის გამოყენებით „დაიცვას“). ამგვარი საბაბის ძებნას და პოვნას ნეიტრალიტეტის გამოცხადება მსხვერპლის მიერ არც რამეში ეხმარება, არც რამეში უშლის. აგრესიის სურვილის შემთხვევაში მსხვერპლად შერჩეულ რაგინდარა ნეიტრალურ სახელმწიფოს აგრესორის მიერ განეცხადება, „სიტყვით ნეიტრალური ხარ, საქმით კი არაო“, ან „ნეიტრალობა კი გინდა, მაგრამ ჩემი მოქალაქე შეგივიწროებიაო“, და საბაბიც მზად არის. მცირე სახელმწიფოს მიერ გაცხადებული ნეიტრალიტეტი ქმედითია, ანუ რეალურია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური აგრესორები – ამ სახელმწიფოს მეზობლები ან დაახლოებით მეზობლები – ერთმანეთში შეთანხმებულნი არიან, რომ ამ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ნეიტრალიტეტი თვითონაც აღიარონ. ეს კი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაინტერესებულნი არიან მის დაცვაში, და მხოლოდ მანამდე, სანამ მათი ეს დაინტერესება გრძელდება. როგორც კი პოტენციური დამრღვევი საჭიროდ და სასარგებლოდ დაინახავს იმ პატარა ქვეყანაზე თავდასხმას, იგი ამას მოიმოქმედებს კიდეც ამა თუ იმ საბაბით და ამით არანაირად არ გაიზრდება მისი პასუხისმგებლობის ხარისხი არც იმ მსხვერპლი სახელმწიფოს წინაშე, არც მისი „იქითა“ მეზობლის წინაშე, ვისაც ნეიტრალიტეტზე შეუთანხმდა, არც მსოფლიოს წინაშე. სამაგიეროდ, ხიფათში მყოფი სახელმწიფოს მარტო დატოვებას, ანუ ყოველგვარი თავდაცვითი კავშირის გარეთ დატოვებას პოტენციური ძლიერი აგრესორის პირისპირ რეალური შედეგი მოაქვს, ამასთან, მოაქვს უშუალოდ და დაუყოვნებლივ. ბალტიის ქვეყნები დღეს საიმედოდ არიან დაცულნი ყოველგვარი აგრესიისაგან რუსეთის მხრიდან იმ ფაქტით, რომ უკვე ნატოში არიან. საქართველო საიმედოდ ვერა, მაგრამ პრაქტიკულად მაინც დაცულია რუსეთის პირდაპირი დარტყმისაგან გაშლილი დროშით იმის წყალობით, რომ დასავლეთისა და მსოფლიოს დღევანდელი უდავო ლიდერი აშშ ღიად და დემონსტრატიულად იცავს მას (თუნდაც ტელეფონით) ამ ბედისაგან. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოს წევრი იქნება, რუსეთის მიერ საქართველოსკენ თოფის გასროლა ნატოსკენ თოფის გასროლის ტოლძალი იქნება, რასაც რუსეთი, ძალთა დღევანდელი შეფარდების პირობებში (რომელსაც ცვლილება არ ელის), ვერ იზამს. თუ საქართველო ნატოში არ იქნება და მის იქ შესვლაზე ლაპარაკიც შეწყდება, მაშინ რუსეთი ადვილად მონახავს შესაფერ მომენტსაც და საბაბსაც, რათა საქართველოში ინტერვენცია მოახდინოს, მისი ტერიტორიების მიტაცება და მის სათავეში თავისი ღია აგენტურის დაყენება ცადოს.

IV. დამატება

რაკი საქართველოში ნეიტრალიტეტის ქადაგების რუსული ლოგიკის უსაფუძვლობა ვნახეთ და, შესაბამისად, საქართველოს ნატოში არშესვლის მქადაგებელი რუსული არგუმენტაციაც უარვყავით, ვიკითხოთ მთავარი: რა არის საქართველოსთვის დასავლური ორიენტაციის ზოგადი პოლიტიკა და, კერძოდ, ნატოში შესვლის პოლიტიკა რეალურად, ანუ რა მოაქვს და რა არ მოაქვს მას, პრაქტიკულად, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არსებობისთვის (გადარჩენისთვის) დღეს და ქართველების, როგორც ერის, არსებობისათვის სამომავლოდ? ამ თემაზე მსჯელობისათვის არსებითია შემდეგი.

გვიან შუა საუკუნეებთან (XV-XVIII) შედარებით საქართველოს მდგომარეობა თავის აგრესიულ რეგიონში დღეს, თუ რეგიონგარე ძალებს არ ჩავთვლით, დამძიმებულია. მაშინ საქართველოს სასიკვდილო საშიშროებას უქმნიდნენ ირანი

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

და თურქეთი, რომელთა უკანაც მთელი სამუსულმანო იდგა და რომელთა ზედაპირულ, მაგრამ მუდმივ ინტერესთა დაპირისპირებებზე თამაშსა და ბალანსირებას საქართველო წარმატებით ახერხებდა. ამათ საპირწონედ რეგიონში ჩნდებოდა და ძალას იკრებდა რუსეთი, რომელიც ამ ორისათვის უყოყმანო და უპირობო მოწინააღმდეგე იყო და, ამგვარად, საქართველოსთვის იმედი ამათთან ბრძოლაში. დღეს, პირიქით, რუსეთი, რომელიც აგრესიულად ამოქმედებულია, თავისი პოტენციალით კი არ ეპირწონება, არამედ ემატება და უჯამდება ამ ორს, რომელნიც აგრესიულად ამოქმედებულნი არ არიან, თუმცა თურქული გემების რეისები სოხუმში იშვიათი არაა. მათი მაერთებელი ფაქტორი გლობალურ ვითარებაში არის მათი **ანტიდასავლურობა** (ზოგისა – აქტუალური, ზოგისა – ჯერჯერობით მხოლოდ პოტენციური), რომელიც განპირობებულია, ჯერ ერთი, ამ უკანასკნელის (დასავლეთის) მსოფლიო ბატონობით, მეორეც, მისი რეგიონში შემოსვლის და რეგიონს მიღმა (შუა აზიაში) რეგიონის გზით გასვლის უშუალო პერსპექტივით. დღეს რუსეთი, ირანი და თურქეთი საქართველოს წინააღმდეგ, პოტენციურად, მოკავშირეები არიან, რისი პირველი რეალიზაციაც ისტორიაში, ღია სახით, იყო რუსეთის და თურქეთის ერთობლივი (ერთ დღეს მომხდარი) სამხედრო დარტყმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე 1921 წელს. ამათი ერთობლივი (ჯერჯერობით – მარტოოდენ პოტენციური) მიზანი და მისწრაფებაა დასავლეთისათვის აღმოსავლეთისკენ (ცენტრალური აზიისკენ) გზის გადაკეტვა საქართველოს, როგორც ამიერკავკასიის ზღვისკენ გამსვლელი ქვეყნის, აღარარსებობის მიღწევით, რაც განხორციელდება, ვთქვათ, რუსეთის მიერ საქართველოს კვლავ ანექსიის, მისი ტერიტორიის რუსეთსა და თურქეთს შორის გაყოფის ან, როგორც მინიმუმი, მისი გაუვალ რადიოაქტიურ, ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ უდაბნოდ ან სისხლიანი ქაოსის ზღვად ქცევის შემთხვევაში. ამგვარად, დასავლეთის ფაქტორის გაჩენამ საქართველოსთვის უარყოფითი როლი ითამაშა იმ მხრივ, რომ მისი აგრესიული მეზობლები გაერთიანა და ამიერკავკასიაში საქართველოსთვის ურთიერთგამაწონასწორებელი ფაქტორების არსებობის შესაძლებლობა მოხსნა. რა რჩება საქართველოს ამ სიტუაციაში? ერთადერთი: დასავლეთზე დაყრდნობა, როგორც ძალით უპირატესსა და დაინტერესების ხარისხით უფრო აქტიურ მოკავშირეზე, ასეთი პირობებით: *„მე ვიცავ (უკეთეს შემთხვევაში: ჩემი ცოცხალი ძალით და შენი მატერიალური, ფინანსური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და სხვა დახმარებით) ამიერკავკასიას ჩრდილოეთიდან (და საჭიროების შემთხვევაში სამხრეთიდანაც), შენ კი მიცავ გლობალური სტრატეგიის თვალსაზრისით რუსეთის (და, საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე სამხრეთის მეზობლების) დარტყმისაგან. ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების დამატებითი დამთხვევა ის არის, რომ მე, ისევე როგორც შენ, დაინტერესებული ვარ, რომ აღმოსავლელი კოლონის დემოგრაფიულმა პოტენციალმა არ გადარეცხოს შუა აზია, ხოლო შუა აზიის გადალეკილმა პოტენციალმა – კავკასია ჩემი ქვეყნის ჩათვლით“.* მაგრამ, ამ მართლაცდა იდეალურად ჰარმონიულ სქემას, რომელსაც ძალუძს საუკუნეები იმუშაოს, თავისი საშიშროებები და სიძნელეები (მაგრამ არა თავისი „ანტინომიები“) აქვს. სახელდობრ (ჩამოვთვლით მხოლოდ ზოგიერთს, „ღია სიის“ სახით):

1. იმ შემთხვევაში, თუ ნატოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი ჩნდება სხვა ზონაში (ვთქვათ, ევროპაში ან ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის თავზე), საქართველო ვალდებულია ამ კონფლიქტში (ომში) ჩაბას თვით ახალი ფრონტის გახსნამდე. ამასთან, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ამუშავდეს პარტნერთა რეალური უთანასწორობის ფაქტორი და მექანიზმი. საქართველო, როგორც პატარა ფაქტორი საერთო საქმისა, თავის ამ მოვალეობას ვერ გაექცევა. დასავლეთი კი, როგორც დიდი და ძლიერი ფაქტორი, ყოველთვის იქნება იმის უნარმოსილი, რომ საქართველოზე მისი რეგიონალური მეზობლის აგრესიის შემთხვევაში (ვთქვათ, ირანის მხრიდან ან თურქეთის მხრიდან, რომელიც თვითონ ნატოს წევრია) დაუსჯელად მოძებნოს კონფლიქტისათვის თავის გარიდების საბაბი.

2. იმ შემთხვევაში, თუ ნატოს თავისი რეგიონგარე მიზნებისათვის დასჭირდა რეგიონში მოქმედებების დაწყება (ვთქვათ, ირანის დაბომბვა საქართველოს ტერიტორიიდან ზოგადსანავთობე სტრატეგიის, იზრაელის დაცვის, ბირთვული გაუვრცელებლობის მიღწევის ან სხვა რამ მიზნით), საქართველო დგება საშიშროების წინაშე, რომ მას ამ არსებითად უცხო ომის ძირითადი ტვირთი და მსხვერპლი დააწვეს.

3. საქართველოს ანტისაჰაერო და ანტისარაკეტო დაცვის, აგრეთვე ბიოლოგიური დაცვის, აგრეთვე ბირთვული და სხვა ნაცვალგების (საპასუხო დარტყმის მიყენების უნარის) ხარისხი ნაკლები არის, და, სავარაუდოა, მომავალშიც ნაკლები იქნება, ვიდრე ნატოს სხვა პარტნერებისა, რის გამოც საქართველო გამრავალკეცებული რისკის ქვეშ დგება თავისი მოსახლეობით და თავისი მომავლით.

4. საქართველო, როგორც ნატოს წევრი, მუდამ იქნება იმ საშიშროების წინაშე, რომ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სადაც საქართველოს ხმა გადამწყვეტი არ არის, გაუთვალისწინებელი დარჩეს საქართველოს საკუთარი სასიცოცხლო ინტერესები, რომლებიც ნატოსთვის მთლიანად აქტუალური არ არის (მაგალითად, საქართველოს ნაწილთა პოლიტიკური სტატუსი განისაზღვრებოდეს საქართველოსთვის პერსპექტივაში საზიანო, თუმცა მისი მოკავშირეებისათვის მნიშვნელობის არმქონე მიმართულებით, მაგალითად, სტაბილობისა და, ვთქვათ, ტრანსპორტის უსაფრთხოების ინტერესები წინ დგებოდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისაზე).

5. საქართველო მუდმივი საშიშროების წინაშე რჩება, რომ ნატოს დანარჩენი წევრებისათვის არ (აღარ) აღმოჩნდება ხელსაყრელი საქართველოს სტრატეგიული პარტნერობა, რასაც მის პრობლემებზე პასუხისმგებლობის ტვირთვა, და, ვთქვათ, მისი საზღვრების შეიარაღებული დაცვის მოვალეობა ახლავს (ვთქვათ, ჩინეთის მხრიდან მისთვის ხელსაყრელ მომენტში დიდი მუქარისა და დიდი საშიშროების გაჩენის შემთხვევაში), რასაც შედეგად შეიძლება მისი ნატოდან კვლავ გამოყვანა (რაიმე საბაბით) და მისი მტრების პირისპირ მარტო დატოვება მოჰყვეს. აქ აღარას ვამბობთ იმ ბრმა პოზიციაზე, რომელიც არაერთხელ გამოთქმულა საქართველოს პოლიტიკურ საზოგადოებაში, ჩვენი მიზანია სასწრაფოდ შემოვიყვანოთ საქართველოში ნატოო (და არა „საჭიროა საქართველო შევიდეს ნატოშიო“), რითაც უგულებელიყოფოდა უარსებითესი განსხვავება ამ ორ ნაბიჯს შორის, სახელდობრ, ის, რომ საქართველოში ნატოს შემოსვლით (ნატოსი, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება ისევ გავიდეს და მტერს შეგვატოვოს) საქართველო ცალმხრივად იყენებს თავს ხიფათში, მაგრამ პარტნერისაგან არაფერს ღებულობს, ხოლო საქართველოს შესვლით ნატოში საქართველო ვალდებულებებს კისრულობს პარტნერის წინაშე ისევე, როგორც ეს უკანასკნელი კისრულობს საქართველოს წინაშე.

რა გამოსავალი და მოქმედების რა გზები აქვს საქართველოს ამ მართლაც ურთულეს ვითარებაში, რომელიც თავისი მრავალგანზომილებიანობითაც და საშიშროებათა ხარისხითაც ერეკლე II-ის წინაშე მდგარ პრობლემას აღემატება? ზოგადი პასუხი ერთია: საქართველო უნდა იყოს მოქმედი და თვალხილული და არა მონური ქცევისა და ბრმა. იგი უნდა თვითონვე მოქმედებდეს, როგორც პოლიტიკის სუბიექტი (და არა მარტოოდენ ობიექტი), თუ უნდა, რომ პარტნერებმაც იგი სუბიექტად განიხილონ. კონკრეტულად, იგი უნდა ითხოვდეს იმას, რაც მის სასიცოცხლო უსაფრთხოებას ემსახურება დღეს და მის ისტორიულმასშტაბიან ინტერესებს – მომავალში. მაგალითად, მოყვარემ და მოკავშირემ უნდა იცოდეს, რომ ტერიტორიული ინტერესი საქართველოსთვის დაუთმობადი ინტერესია, რომ ქმედითი საჰაერო დაცვის აწყობამდე საქართველო საავიაციო და სარაკეტო ბრძოლებში არ ჩაერევა, რომ დიპლომატიური დახმარება მსოფლიო არენაზე (საერთაშორისო ორგანიზაციების ჩათვლით) მის მოკავშირეთა პირდაპირ მოვალეობადაა მიჩნეული და, დასასრულ, მას უნდა ჰქონდეს თავის სახელშეკრულებო ურთიერთობაში პარტნერებთან (თვით ნატოს ჩათვლით) განსაზღვრული ინტერესთა ის არეალები, რომელშიც ერთი პარტნერის ხელყოფა ვინმეს მიერ მეორე პარტნერისასაც ნიშნავს და, შესაბამისად, იმ მეორესაც შეიარაღებულ პასუხს ავალებს. ასეთი ურთიერთობა სტრატეგიულ პარტნერებთან, ცხადია, მხოლოდ არადონდღო და არაჯაგლაგი ხელისუფლების პერსპექტივაა. მაგრამ ეს მოთხოვნა საქართველოს დამატებით ტვირთსა და ხარჯს არ აკისრებს, რადგან ამგვარი ხელისუფლება საქართველოს სჭირდება თავისი პოლიტიკური მოქმედების ყველა ასპექტში და არა მხოლოდ იმაში, რომელზეც ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს.

NATO OTAN North Atlantic Treaty Organisation ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა საქართველოს დასავლურ ორიენტაციას დღეს და სამომავლოდ ალტერნატივა არა აქვს (ანუ საქართველოს სხვა გზა არა აქვს და არც მოეაზრება), მაინც საქართველომ უნდა იცოდეს, რომ ევროპელის თვალში იგი იგივე ევროპა არაა, რაც ევროპული ქვეყნები, და რომ, ამიტომ, არაა გამორიცხული, გარკვეულ სიტუაციაში ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ეთიკური მცნებების პირდაპირი დარღვევის გარეშე, ამა თუ იმ ზრდილობიანი და ლამაზი ფორმით, ნატო საქართველოსთან სამხედრო ალიანსიდან გავიდეს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, განსაცდელის ჟამს საქართველოს უგანოს. ამის არდავიწყება ხელისუფლების მოვალეობაა. თქმულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს დაყრდნობა ნატოზე არ უნდა იყოს იმ ხარისხისა, რომ, თუ ნატო გამოეცალა, საქართველო მიწაზე დაეცეს. ეს კი პრაქტიკულად ნიშნავს სამ რასმე.

პირველი. საქართველოს თავდაცვისუნარიანობა იმ ანგარიშით უნდა იგებოდეს, რომ რაღაცა დროის ფარგლებში მაინც (ეს ფარგლები შეძლებისდაგვარად დიდი უნდა იყოს) მას თავდაცვა ავტონომიურ რეჟიმში (ანუ გარედან დახმარებისა და მომარაგების გარეშე) შეეძლოს. ამ ამოცანაში შედის ქვეყნის საკუთარი ძალებით სასურსათო უსაფრთხოების დაცვაც და სხვა ანალოგიური არასაბრძოლო ამოცანებიც.

მეორე: საქართველოს სათავდაცვო ორიენტაციის გარდუვალი და უალტერნატივო დასავლური მიმართულების პირობებში საქართველო ამ ორიენტაციის რეალიზაციის გზათა შორის უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმს, როგორიცაა მრავალმხრივი ნატო, არამედ ორმხრივი სათავდაცვო კავშირებისასაც, ვთქვათ, საქართველოსა და „ა“ ქვეყანას შორის, საქართველოსა და „ბ“ ქვეყანას შორის, საქართველოსა და იმავე ნატოს შორის და ა.შ. კავშირის ამგვარი ფორმა უფრო ელასტიურია და მასში უფრო დაკონკრეტებადია ერთობლივი პასუხისმგებლობის არეალი და სავალდებულო ურთიერთდახმარების შემთხვევები.

მესამე: საქართველოს მუდამ მზად უნდა ჰქონდეს პასუხი კითხვისათვის: რას ვიზამ მაშინ, თუ ნატომ (ან: დასავლეთმა საერთოდ) თავისი დახმარების პირობად დამიყენა ჩემ დაუთმობად ინტერესებზე ხელის აღება, მაგალითად, ამა თუ იმ ტერიტორიის დათმობა? ანუ: საქართველოს უნდა მუდმივად მომარაგებული ჰქონდეს შესაძლებლობა რაღაცა ინტენსიური ეკონომიკური და სამხედრო კავშირის კარის გახსნისა, რომელიც დაგმანული აქვს მოცემულ მომენტში თავის უპირველესად სასურველი დღევანდელი მოკავშირეების ინტერესებისათვის ანგარიშგაწევის გამო. მაგალითად, მას უნდა შეეძლოს სწრაფად აწყობა ირანული ნავთობის გატანისა ევროპაში, იაპონური პროდუქციის ამწყობი ხაზის ორგანიზებისა ევროპის ბაზრისათვის და ა.შ., რისგანაც იგი დღეს თავს იკავებს, უმტკივნეულოდ, თავისი დასავლელი სტრატეგიული სასურველი მოკავშირეების ანგარიშგაწევით.

დასავლეთთან სამხედრო კავშირის ხსენებული მინუსები, როგორც ვხედავთ, სერიოზულია, იმ პირველი და აქამდე არხსენებული მინუსით დაწყებული, რომ თვით ამ კავშირის აუცილებლობის აღიარებას, როგორც პოლიტიკის საწყისი პრინციპისა, საქართველოსათვის კარგა ხნის ნაცნობი საძულველი თეზისის „დამოუკიდებლობა არ შეგვიძლია“ სუნი უდის. მაგრამ თუ საკითხს ღრმად და პატიოსნური აზროვნებით მივუდგებით, მაინც უნდა ვაღიაროთ უყოყმანოდ, რომ, ყველა აღნიშნული სიძნელის გადალახვისა და გამოსწორების თუ კომპენსაციის სურვილის ფონზე, დღეს საშინლად გააქტიურებული და შეტევაზე გადმომავალი იმპერიული რუსეთის პირისპირ ჩვენთვის მსოფლიო დემოკრატიული სუპერძალის მოკავშირედ ყოლა პრაქტიკულად აუცილებელია. რუსეთს დღეს, ყველა ნიშნით, თავისი სუპერსახელმწიფოებრივი იმპერიული სტატუსის შენარჩუნების უკანასკნელი შანსი უდგას (ან ჰგონია, რომ აქვს) და ეს შანსი საქართველოს გვამზე გადის. ეს შანსია: ამიერკავკასიური დერეფნის დასავლეთისათვის ჩაკეტვა; ამ ბაზაზე ჩინეთთან და ისლამურ ქვეყნებთან ალიანსის გაძლიერება იმ ზომამდე, რომ აზიაში, დესპოტიების ამ კლასიკურ კონტინენტზე, დასავლეთიდან სტრატეგიული შეღწევის ყველა მცდელობა გამოირიცხოს მთელი ისტორიული ეპოქით; ამ ხელსაყრელ ფონზე აზიის კონტინენტზე ყველა საჭირო საფორტიფიკაციო სამუშაოს ჩატარება პროფილაქტიკურად, რათა გადამწყვეტი შერკინების მომენტისთვის, რომელიც აუცილებლად მოვა (მაგრამ არა აუცილებლად იარაღის გამოყენებით), რეგიონი გარე სამყაროს ინდუსტრიალიზებული დესპოტიების მტკიცე და შეუვალი ჯაჭვის სახით დაჰხვდეს. ამას კი, – სხვათა შორის, მაგრამ პირველ ყოვლისა, – დასავლეთის ერთი პატარა, მაგრამ ორგანულად დასავლური ფორპოსტის – საქართველოს – დეზაქტივიზაცია სჭირდება მისი დემოგრაფიული, ეკონომიკური, სათავდაცვო, იურიდიული, კულტურული თუ ფსიქოლოგიური დესტრუქციის სახით. საქართველოსთვის უმჯობესია, რომ ამ გეგმისთვის გზის გადაკეტვა მისი რეალიზაციის პირველსვე ეტაპზე მოხდეს, ანუ ბრძოლა თავდაცვის ჯერ ყველაზე შორეულ ზღუდეზე გაიმართოს. ეს ზღუდეა დასავლეთისათვის შუა აზიის გაღება-გადაკეტვისათვის ბრძოლა და ეს ბრძოლა დღეს მიმდინარეობს.

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტი

NATO OTAN North Atlantic Treaty Organisation

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინჯერვიუ ნოდარ ნათაძესთან



გაზ. „საქართველო“: კითხვა ყველასთვის სტანდარტულია: რა ხდება?

ნ.ნათაძე: რიცხვებით გიპასუხებთ. ქართველი მოსახლეობის სულ ცოტა 5%, შეიძლება 15%-იც, მზად არის, რომ გარკვეული თანხის მიღების შემთხვევაში დანარჩენი 85% განყვიტოს — არა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მიბჯენითი სროლით. დანარჩენ მოსახლეობაზე აღარ ვლაპარაკობ. არა თუ ამ თანხის, არამედ მასზე 100-ჯერ და 1000-ჯერ მეტის დამდები დღეს მსოფლიოში არის. არაერთი არის. ანუ საქართველოს წინააღმდეგ მსოფლიო შეთქმულების არსებობა ფაქტია. რით შეიძლება ამ შემოტევის მოგერიება? მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზებულად ოპტიმალური და მორალურად მყარი ეროვნული ბირთვის შექმნის გზით, რომელიც სახელმწიფოს ჩანასახს შეადგენს. ამ ძალის შესაქმნელად სხვა წყარო არ არსებობს, გარდა ქართველი ერის შინაგანი რესურსისა. ამ ბირთვის შემქმნელი ადამიანები საქართველოში უნდა გამოჩდნენ. უფრო ზუსტად: ისინი არსებობენ, მაგრამ ერთმანეთი უნდა მონახონ და მყარი ორგანიზაციული ფორმა მიიღონ. მიღწეული უნდა იქნას ის მდგომარეობა, რომელზეც ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს თავის ცნობილ ლექსში — რა თქმა უნდა, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ავტორი ადამიანთა ძალიან მცირე რაოდენობას გულისხმობს, სულ რამდენიმე ათეულ კაცს.

„...მათი გული შერსა ტრფობის
ფართო ბუდეა,
მათი გულის ფიცარი შერ
მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათ გრძნობას,
სიმუხთლე, სიმრუდეა!
მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ
მტერთა სიმაგრენი,“

და ა.შ. და ა.შ.

ამ მხრივ დღევანდელი მდგომარეობა ილია ჭავჭავაძის დროინდელზე უფრო მძიმეა. ეს ადამიანები არსებობენ, მაგრამ ერ ჩანან. მაგრამ სოციალურად და ფსიქოლოგიურად გარდუვალია, რომ მათი ამოძრავება ძალიან მალე მოხდება. ილია ჭავჭავაძის დროინდელი იდეოლოგიური და ზოგადმორალური ფონი დღევანდელზე ბევრად უფრო მძიმე იყო.

„საქართველო“: ოპოზიციური პარტიები ხომ არსებობენ?

ნ.ნათაძე: არსებობენ, მაგრამ მთლიანობაში მინიმალურ კონდიციას ვერ პასუხობენ ვერც თავისი აქტიურობის დონით, ვერც ზოგადი ინფორმირებულობითა და ჰორიზონტით, ვერც ე.წ. მორალური მუხტით. გამონაკლისი, ისიც ნაწილობრივად, სამწუხაროდ, სულ რამდენიმე პიროვნებაა. როგორც კი რამდენიმე, ასე ვთქვათ, კონდიციური პიროვნება შეიკრიბება, მან, შეიძლება, დღესვე, პირდაპირ მაგიდაზე მუშტი დაკრას და თქვას: — „ამ ხელისუფლების ალტერნატივა ჩვენ ვართ. ჩვენ ვიცით ამ მდგომარეობიდან საქართველოს გამოყვანის გზა. იგი შედგება ამა და ამ ნაბიჯებისაგან. ჩვენ ვიცით საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის მომგებიანი ხაზი. იგი შედგება ამა და ამ პუნქტებისაგან. ჩვენ ვიცით, რა არის საქართველოს მოქალაქის, ქართველის ცხოვრების ღირსეულად წარმართვის გზა, ახალგაზრდობის და მომავალი თაობის გადარჩენის გზა. იგი შედგება შრომისაგან, სწავლისაგან და ბრძოლისაგან ამა და ამ პროპორციით. და ბოლოს, ჩვენ მოგვეპოვება საქართველოს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს, იდეოლოგიური დასაბუთების და ყოველნაირი გამართლების სრული არგუმენტაცია, რომელსაც ვერ შეეკამათება ვერც ჟირინოვსკი, ვერც სოროსი, ვერც ეუთო, ვერც გაერო და ვერც რომელიმე ქვეყნის მეცნიერებათა აკადემია. ამიტომ ჩვენ ვიბრძვით იმისთვის და მოვუწოდებთ საზოგადოებას, რომ იბრძოლოს იმისთვის, რომ არსებული ხელისუფლება, რომელიც უკვე უზურპატორულია ანტიკონსტიტუციური მოქმედების გამო, წავიდეს და ნამდვილი ხელისუფლება აირჩეს. თუ ეს ხელისუფლება დროზე არ წავიდა, საქართველოს გარდუვალი ნეკროზი, ოდნავ შენელებული სიკვდილი ელის“. თქვენ იკითხავთ: რაა ამ ცვლილებების გზა? კიდევ რევოლუცია გვინდა? გზა ოპტიმალურ შემთხვევაში ორსაფეხურიანია. **პირველი საფეხური.** საზოგადოებრივი ზეწოლით, ე.წ. ქუჩის ჩათვლით, ხელისუფლება აიძულო, რომ მიიღოს რეალური საარჩევნო კანონმდებლობა, ანუ ისეთი, რომლის შედეგადაც ამომრჩევლის ნება აისახება არჩევნების შედეგებში. დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით იგი ვერ აისახება. ასეთი კანონმდებლობით უზურპატორთა ხელისუფლება მარადიულია. **მეორე საფეხური.** ახალი კანონმდებლობით არჩევნების ჩატარება და ხელისუფლებაში, როგორც მინიმუმ, ქვეყნის ერთგული პიროვნებების მოყვანა. ერთგულებას ხაზს ვუსვამ. დღეს მსოფლიო-პოლიტიკური პირობები ისეთია, რომ საქართველოს ერთგული ხელისუფლების ყოლის შემთხვევაში ყველა თავისი პრობლემის გარანტირებული გადაჭრა შეუძლია. ინტელექტუალური და ინფორმაციული დონის გარკვეული მინიმუმი, რა თქმა უნდა, ერთგულ ხელისუფლებასაც სჭირდება.

„საქართველო“: ეს მინიმუმი ხელისუფლებისთვისაც პრობლემაა თუ მხოლოდ პარტიებისთვის?

ნ.ნათაძე: ორივესთვის. ხელისუფლების პოლიტიკა რომ არა მხოლოდ ორგულია საქართველოს მიმართ, არამედ ანეკდოტურად უმეცრულიც, ეს დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია. ამიტომ ილუსტრაციას მოვიტან მხოლოდ ე.წ. ოპოზიციური პარტიების პრაქტიკიდან. რესპუბლიკური პარტია დღეს ოპოზიციის ზოგადი უღიმღამო დონის ფონზე „ჭკუისკოლოფებისად“ ითვლება. მაგრამ ჰკითხეთ ან ბერძენიშვილს, ან ხაინდრავებს, ან უსუფაშვილს, რომელიც ამათთან შედარებით არისტოტელეა (იურისტია და თავისი საგანი, ალბათ, იცის), მით უმეტეს ზაქარეიშვილს და მისთანებს, რას ნიშნავს „დასავლური ღირებულებები“ და „ქართული ღირებულებები“, ამ ღირებულებებიდან რომლის მიყოლა არის შეთავსებადი საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან და რომლისა — არა; რომლის მიყოლა არის აუცილებელი და რომლისა — არა; რატომაა თავისუფლება, სამართლიანობა, ფართო განათლება, ინდივიდის უსასრულო ღირებულების აღიარება, სიტყვის თავისუფლება „დასავლური ღირებულებები“ და არა „ქართული“? ან, თუ „დასავლურიცაა“ და „ქართულიც“ იმავე დროს, საქართველოში იმპორტირებულია, თუ ტრადიციულია? ჰკითხეთ მათ, ამ უმეცარ „ბრძენებს“ შეუძლიათ თუ არა შეეკამათონ დღეს პოლიტოლოგთა მეტნაკლებად ინტელექტუალურ ნაწილში უყოყმანოდ აღიარებულ დებულებას, რომ დემოკრატია, რომელსაც დღეს მასობრივი პროპაგანდა მსოფლიოს სთავაზობს როგორც „ღირებულებას“, სინამდვილეში ღირებულება კი არ არის, არამედ მხოლოდ საშუალებაა გარკვეულ ღირებულებათა რეალიზაციისთვის, რომელიც ამ მიზანს ყველა სხვა საზოგადოებრივ მოწყობაზე უკეთ ემსახურება. სთხოვეთ ამ პირდაღებულ „ინტელექტუალებს“ გამოიცნონ, რომელი და რომელია ის ჭეშმარიტად აბსოლუტური ღირებულებები, რომელთა რეალიზაციაშიც დემოკრატია ყველა სხვა წყობას წინ უსწრებს და რომელთა გამოც დემოკრატიისთვის სიცოცხლის განირვა გვმართებს. ეს ღირებულებებია თავისუფლება და თანასწორობა. მაგრამ იცის თუ არა რომელიმე „რესპუბლიკელმა“, რომელთა ზოგადი განათლება ლუმუმბას უნივერსიტეტის საზღვრებს ვერ გასცილებია, რა არის თავისუფლება. ხელ-ფეხის ქნევისა და ბღავილის თავისუფლება? უადვოკატოდ ვერ დაკითხვის თავისუფლება? სიტყვისა თუ რელიგიური რწმენის თავისუფლება? (როგორც ვხედავთ, ეს ჩამოთვლა აღმავალი ხაზით მიგვყავს). თუ, იქნებ, თავისუფლება, რომელიც ადამიანს ასხვავებს ყველა სხვა სულდგმულისაგან, იმის თავისუფლებაა, რომ გარე სამყაროს (ჩემი ქვეყნის მდგომარეობის ჩათვლით) მე, პიროვნებამ მივცე ის სახე, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ მიმაჩნია, ჰუმანურად მიმაჩნია, სამართლიანად მიმაჩნია ჩემმიერვე თავისუფლად მოაზრებული ნორმის მიხედვით. თუ „არა“ — თუ თავისუფლება მართლაც „ცისფერი“ ფილმების მასობრივი დემონსტრაციის თავისუფლებას არ სცილდება — მაშინ ბრძენმა „რესპუბლიკელებმა“, რომლებიც სხვათა შორის, ალბათ, რელიგიურობასაც თამაშობენ, უნდა გვიპასუხონ რაში მდგომარეობს ადამიანის „ღვთის სახედ და ხატად ყოფნა“ თუ არა იმაში, რომ იგი სამყაროს სასიკეთოდ მართვის მონაწილეა. ხოლო თუ „ჰო“ — მაშინ უნდა გასცენ პასუხი კითხვას, როდის უფრო ილახება ადამიანის თავისუფლება — მაშინ, როცა, ვთქვათ, იკრძალება რომელიმე ბნელი სექტის პროზელიტიზმი, რომელიც თავის „მორწმუნეებს“ ფულით ყიდულობს და ჯარში არწასვლას ქადაგებს, თუ მაშინ, როცა ეს სექტა მე და თქვენ სახელმწიფოს გვინგრევს (ცდილობს, რომ დაგვინგრიოს ხელისუფლების ხელშეწყობით)? ან კიდევ (ჩამოვიდეთ უფრო ემპირიულ თემებზე) ჰკითხეთ ამ „რესპუბლიკელებს“, როგორაა შეთავსებადი დემოკრატიასთან და თავისუფლებასთან მათი არაერთხელ დაუფარავად გამოთქმული „პოზიცია“, რომ, მათი აზრით, აფხაზეთი საქართველოსგან „დამოუკიდებელი“ უნდა იყოს (დღესვე ან ხვალ), (იხ. ზაქარეიშვილი-კუბლაშვილის გეგმა), მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი ხმოსანი აფხაზეთში 80 000-ია, ქართველი კი 240 000 და ორივე, დემოკრატიის პრინციპების მიხედვით, თანასწორ მოქალაქედ ითვლება? ჩაიხედეთ ამ უბადრუკთა გამონათქვამებში, რომლებიც გამოქვეყნებულია ლონდონში დაბინავებული ერთერთი ფონდის თორმეტ პატარა ტომში. გაითვალისწინეთ ამ ფონდის მიერ დახარჯული თანხა — 3 მილიონი ფუნტი — და განსაჯეთ, რაა ამ ბატონებისა და ქალბატონის (არ ვიცი, მხოლობითი რიცხვი აქ რამდენად ზუსტია) უმეცრული ინტელექტუალური კონსტრუქციების (ერთ-ერთი მაინც) წყარო. ერთი სლიკინა ყმაწვილი, გვარად კოენი, რომელიც აღნიშნული პუბლიკაციების აქტიური ლიდერია, ამასწინათ ჩამოსული იყო თბილისში და როცა კონფერენციის პროცესში საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში მისი ინტელექტუალური შესაძლებლობებისათვის და კეთილსინდისიერებისათვის ფრიად არასასიამოვნო შენიშვნები მიიღო, იგი უბრალოდ წავიდა კონფერენციიდან (გავიდა სხდომიდან და აღარ შემოვიდა). „რესპუბლიკელებიც“ და მათი პატრონებიც, როგორც დასავლეთში (რომლებიც ჩანან), ისე ჩრდილოეთში (რომლებიც არ ჩანან) კამათის უუნარონი არიან. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია და „ოპოზიციური“ პარტიებიც ვალდებულნი არიან, რომ საქართველოს ვერმოკამათე მტრებთან კამათი არ წააგონ. სამწუხაროდ, იმ ვერმოკამათეებს მხოლოდ პირისპირ ვერმოკამათე და არმოკამათე ხელისუფლება და ამდენადვე უვარგისი „ოპოზიცია“ ჰხვდება.

„საქართველო“: თქვენი პესიმიზმი სხვა ოპოზიციურ პარტიებსაც ეხება?

ნ.ნათაძე: პიროვნებებს ყველას არა. ან სავსებით არა. პარტიების შესახებ მირჩევნია, თქვენ თვითონ იმსჯელოთ. მე თქვენს კითხვას კითხვითვე ვუპასუხებ: რომელია მათ შორის ისეთი, რომელსაც ჭკუა, ერთგულება, გამბედაობა ეყო პარლამენტის ტრიბუნიდან მიეხალა პრეზიდენტისათვის ჩამჭრელი შეკითხვა: საქართველოს ნაწილს რომ ოსეთად აღიარებ, ანუ ქართული მიწის ერთ ნაწილს მეზობელი ქვეყნის სამხრეთ ნაწილად რომ სცნობ მხოლოდ იმის გამო, რომ იქ შემოსული დიასპორა გამრავლდა და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას გადააჭარბა, და ამით რომ, ჯერ-ერთი, მსოფლიოს წინაშე აყენებ ორი ოსეთის — ერთი ნამდვილისა და ერთი ყალბის — გაერთიანების ამოცანას, გესმის თუ არა რომ, ამით საქართველოს ღალატობ? რომ ამით, ამავე დროს, მსოფლიოში ქმნი ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ობიექტურ ცდუნებას, რადგან ყველა ეთნიკური ჯგუფი იძულებული ხდება კატასტროფად ჩათვალოს ამავე ტერიტორიაზე სხვა ეთნიკური ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობა (გამრავლება)? ე.ი. ესენი პარტიები არ არიან, ესენი არიან ინტერესთა ჯგუფები, რომელთაც ერთადერთი მიზანი აქვთ, პოლიტიკაში იტივტივონ.

„საქართველო“: საზოგადოებაში მიჩნეულია, რომ „რესპუბლიკელები“ ის ცხენი არიან — მართალია ჯაგლაგი, მაგრამ მაინც ცხენი არიან, — რომელზეც ამერიკელები საქართველოს მომავალ მწირ სახელისუფლებო დოლში თავის ფოსტას უნდა ჩამოვიდნენ. აქედან ხომ ლოგიკურად უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს მიზანმიმართული ნგრევის პოლიტიკა, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება ატარებს და რომლის გაგრძელებასაც, უკაცრავად პასუხია, „რესპუბლიკელები“ ცდილობენ, იგივე ამერიკელების პოლიტიკაა.

ნ.ნათაძე: (მოხარული ვარ, რომ სიტყვას სწორად ხმარობთ. STAKE, Ставка ქართულად „ფოსტაა“ და არა „ფსონი“. „რუსთავი-2“ და ზოგი სხვა ამ შინაარსით ხმარობს სიტყვას „ფსონი“, რაც არასწორია. ამ ტერმინოლოგიურ შეცდომას მათ ნებისმიერი ყომარბაზი გაუსწორებს). თქვენი კითხვა ბუნებრივია და დასკვნა ლოგიკური. მაგრამ, ვფიქრობ, მაინც ჭეშმარიტი არ არის. მაქვს სამი კონტრარგუმენტი. **პირველი.** სააკაშვილის ხელისუფლება საქართველოს ნგრევას აწარმოებს არა პუტინის რუსეთის სახელით, არამედ დასავლური დემოკრატიის სახელით. ეს ფაქტი მე სოროსის დავალებად მიმაჩნია. სააკაშვილის ხელისუფლება რომ რუსეთისაა, ეს, მე მგონი, ექსპერიმენტულად დამტკიცებულია. არგუმენტაციას არ ვიმეორებ, იგი მრავალჯერ გამოქვეყნებული მაქვს. ამ დივერსიული მართვის მიწერა „დასავლეთის ღირებულებების“ გავლენისთვის მიზნად ისახავს დასავლეთის დისკრედიტაციას. **მეორე.** სოროსის როლი საქართველოს ნგრევის პროცესში ძალიან თვალსაჩინოა, მაგრამ ამ პიროვნების საყოველთაოდ ცნობილი ბიოგრაფიის ჩაკვირვება, მე მგონი, უფრო იმას მეტყველებს, რომ იგი რუსეთის კაცია, ვიდრე იმას, რომ იგი დასავლეთისაა (მისი მოქმედების განმსაზღვრელ ებრაულ ფაქტორს ამ შემთხვევაში არ ვეხები). **მესამე.** სრულებით ალოგიკური იქნება იმის ვარაუდი, რომ რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკაში დიდ ამოცანად არ დგას ამერიკულ პოლიტიკაზე ზეგავლენა იმ მიმართულებით, რომ იგი ნასაბჭოვარი რესპუბლიკებისთვის რაც შეიძლება დამანგრეველი იყოს. ამისთვის გამოდგება კერძო ფონდებიც და სახელმწიფო მოხელეებზე ზემოქმედებაც. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამერიკელი ელმსი, რომელიც დღეს სამუდამო პატიმრობაშია, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ერთერთი პასუხისმგებელი მუშაკი იყო. ასევე იყო ათწლეულთა მანძილზე კიმიც, რუსეთის დაზვერვისთვის მომუშავე ბრიტანელი. არ ვარ ისეთი ოპტიმისტი, რომ მხოლოდ ამ ფაქტორებით ავხსნა ის ყველასთვის ცნობილი სამწუხარო გარემოება, რომ დღეს დასავლური დემოკრატიის საქადაგებლად და მისი სახელით საქართველოს დასანგრევად მობილიზებულია მეხუთე და მეათეხარისხოვანი ქართველი ახალგაზრდობის უზარმაზარი ბრბო, ზოგი თავისუფლების ინსტიტუტშია გაზრდილი, ზოგი — სად, ზოგი — სად. საბედნიეროდ, ამ ბრბოში ვერც პირველი და ვერც მესამე ხარისხის პიროვნებას ვერ ნახავთ, ეს, ასე ვთქვათ, „წარმოების ნარჩენებია“. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ამერიკულ პოლიტიკაში არსებობს ტენდენცია, საქართველო განიხილონ მარტოოდენ ტერიტორიად, რომელსაც თავისი ნება არა აქვს და რომელსაც, მაშასადამე, ოფიციალურ მთავრობად ე.წ. კაკისტოკრატია — პოლიტიკური კარიერის მოსურნეთა ყველაზე უარესი ნაწილი — უნდა ჰყავდეს. მე ვფიქრობ, რომ ამერიკის რეალური ინტერესი საქართველოში სულ სხვაა: საქართველოს ფეხზე დგომა, როგორც მოკავშირისა, რომელსაც ამერიკასთან აკავშირებს **ერთობლივი სასიცოცხლო ინტერესი.** ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ამ პოლიტიკური ტენდენციის გადასინჯვა მოხდება.

„საქართველო“: თქვენ ხედავთ ალტერნატივებს სიტუაციის ზოგი პარამეტრისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ ხედავთ ერთისთვის: ხელისუფლება უნდა შეიცვალოს.

ნ.ნათაძე: სამწუხაროდ, ვერ ვხედავ. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილებში და გარეთ გაკრული იყო უზარმაზარი პლაკატი — „მებრძოლო, მოკალი ფაშისტი, თორემ ის მოგკლავს შენ“. სიცილით გიპასუხებთ: ოპოზიციის ერთ-ერთ პლაკატზე უნდა ეწეროს — „ქართველო, განდევნე ეს ხელისუფლება, თორემ იგი საქართველოდან განგდევნის შენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატომური ელექტროსადგურები – მითი და ჭეშმარიტება

4 წლის ბელორუსი ბიჭუნა. იგი ჩერნობილის კატასტროფიდან ერთი წლის შემდეგ დაიბადა

ჩვენი შეშფოთება გამოიწვია რამდენიმე თვის წინ გაკეთებულმა განცხადებამ საქართველოში ატომური ელექტროსადგურის შესაძლო აშენების შესახებ. ერთხელ უკვე იყო ამის მცდელობა წინა საუკუნეში, 80-იანი წლების დასაწყისში. მოსკოვიდან მოსული მითითების შესაბამისად, საქართველოში დაიძებნა სამშენებლო მოედანი. ყველაზე მისაღებად შეირჩა გალის რაიონი. ქართველ მეცნიერებს დაევალათ, შეესწავლათ ადგილის გეოფიზიკური მახასიათებლები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის და სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტების სპეციალისტებმა შეისწავლეს რეგიონი და დაადგინეს, რომ ადგილის გეოლოგიური თავისებურებების გამო, სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებისა და წესების შესაბამისად, გალის რაიონში ატომური ელექტროსადგურის აშენება მიუღებელია.

ქვემოთ გთავაზობთ მასალას ატომური ელექტროსადგურების შესახებ. იგი ეძღვნება ჩერნობილის კატასტროფის 21 წლისთავს, რომელიც აპრილში აღინიშნება.

პატივცემულო მკითხველო,

ამ შემზარავ სურათზე თქვენ ხედავთ 4 წლის ბელორუს ბიჭუნას. იგი ჩერნობილის კატასტროფის მსხვერპლია. დაიბადა ავარიიდან ერთი წლის შემდეგ.

კატასტროფამ ასეულობით ათას ადამიანს მოუტანა უბედურება...

ავარია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში (აეს) მოხდა 1986 წლის 26 აპრილს. მოულოდნელად განვითარდა ურან-235-ის რადიოაქტიური დაშლის ჯაჭვური რეაქცია №4 ბირთვულ რეაქტორში (აეს მოიცავდა 4 ასეთ რეაქტორს). 2-3 წამის შემდეგ მას მოჰყვა ხანძარი რეაქტორის აქტიურ ზონაში (ტემპერატურა აიწია 4000-5000°C-მდე) და აფეთქება, რომელმაც ბირთვული რეაქტორის სახურავი — 3000 ტონიანი ფილა — მოწყვიტა ადგილს. შედეგად რეაქტორის აქტიური ზონიდან გარემოში გამოიტყორცნა რადიოაქტიური ნივთიერებები დიდი რაოდენობით; ბირთვული საწვავის ფრაგმენტები გავრცელდა ატომური სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე. რეაქტორიდან 10 დღის განმავლობაში იფრქვეოდა მყარი, თხევადი და აირადი ნივთიერებების სახით რადიოაქტიური ნუკლიდები, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ჯაჭვური რეაქციის პროცესი არ შეაჩერეს. ატმოსფეროში მოხვდა 1-2·10^{18} ბეკერელის რიგის საერთო აქტივობის რადიონუკლიდები (1 ბეკერელი შეესაბამება რადიონუკლიდის ერთ დაშლას წამში) 250-ზე მეტი სახეობის რადიოაქტიური იზოტოპის სახით, რომელთა ნახევრად დაშლის პერიოდი სხვადასხვაა, დაწყებული 0,000164 წამიდან 245 000 წლამდე. მხოლოდ ბელორუსიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ამ 10 დღის განმავლობაში გავრცელდა რამდენიმე ათეულჯერ მეტი დღეგრძელი რადიონუკლიდი, ვიდრე ატომური ბომბის აფეთქებისას ხიროსიმაში.

ავარიის პირველ დღეს რადიოაქტიური ნივთიერებები გამოიტყორცნა ატმოსფეროში დაახლოებით 10 000 მეტრის სიმაღლეზე. ატმოსფეროს ქვედა ფენები ამ დროს ნელა მიიწევდა დასავლეთის მიმართულებით, შუა ფენები გაცილებით ჩქარა გადაადგილდებოდა ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით (სკანდინავიის ქვეყნებისკენ), ხოლო ზედა ფენები — აღმოსავლეთით, ჩინეთის, იაპონიის, აშშ-ს მიმართულებით. რადიოაქტიური ნითიერებების ძირითადი ნაწილი კონცენტრირებული იყო ატმოსფეროს შუა ფენებში.

ამიერკავკასიის მიმართულებით დაჭუჭყიანებული ჰაერის მასების გადატანა დაიწყო თვის ბოლოს. ევროპის ჩრდილოეთიდან შემობრუნებული რადიოაქტიური ღრუბელი საქართველოში შემოიჭრა თურქეთის ტერიტორიიდან შავი ზღვის სანაპიროზე. ნალექების განსაკუთრებულმა ინტენსივობამ იმ წლის მაისში განაპირობა რადიოაქტიული იზოტოპების დიდი ოდენობით დალექვა საქართველოს შავი ზღვისპირა ზოლში.

ატმოსფერულმა პროცესებმა ხელი შეუწყო რადიონუკლიდების გავრცელებას დიდ ტერიტორიაზე და ფაქტობრივად, გამოიწვია გარემოს გლობალური დაჭუჭყიანება. დაბინძურდა ჰაერი, ნიადაგები, წყლები, მცენარეული საფარი. მოძრავმა რადიოაქტიურმა ღრუბელმა ევროპული ქვეყნების დიდ ნაწილზე გაავრცელა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ისეთი რადიონუკლიდები, როგორიცაა იოდ-131, ცეზიუმ-134 და ცეზიუმ-137. მცირე ნახევრად დაშლის პერიოდის შედეგად იოდ-131 მალე გაქრა, მაგრამ ევროპის ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არის ზედაპირულ ნიადაგებში რადიოაქტიურობა, რომელიც წარმოიქმნა უფრო დღეგრძელი რადიონუკლიდის — ცეზიუმ-137-სგან.

ავარიიდან პირველ კვირაში ჩერნობილის აეს-ის 30 კმიანი ზონიდან სამუდამოდ გაასახლეს 135 ათასი მცხოვრებიდან 115 ათასი. ისინი განცდიდნენ ძალიან მაღალი დოზით გარე დასხივებას და ასევე, თუმცა უფრო ნაკლები ხარისხით, დასხივებას შიგნიდან — რადიოაქტიური მტვრის ჩასუნთვის გზით. **ავარიის დროს გამოფრქვეული რადიოაქტიური ნივთიერებები (დღეგრძელი და დღემოკლე ნუკლიდები) დაეფინა გარემოს ასეულობით კილომეტრის რადიუსში. 144 ათასი ჰა მიწა გამოვიდა მწყობრიდან. მათი გამოყენება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად შეუძლებელი გახდა. დაიღუპა 492 ათასი ჰა ტყე. თხევადი რადიოაქტიური ნივთიერებები ჩაედინა მდ. პრიპიატში** (იგი დნეპრის შენაკადია). მდინარე 10-15 მეტრით მაღლაა განლაგებული წყლოვან ჰორიზონტზე, რომელიც აქ გამოიყენებოდა სამეურნეო წყალმომარაგებისათვის... (ამ გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე კატასტროფული შედეგების გათვლა ადვილია). **ცხოვრება აიკრძალა ათობით დასახლებულ პუნქტში და სოფელში, სამუდამოდ დარჩა გამოკეტილი რადიონუკლიდებით დაბინძურებული მრავალი ათასი სახლკარი.**

სსრკ ოფიციალური სტრუქტურების განცხადებით, 1990 წლის აგვისტოს მონაცემებით, ჩერნობილის კატასტროფის მასშტაბები ასეთია: ავარიის და ავარიის შედეგების შედეგად გარდაიცვალა 7090-ზე მეტი ადამიანი, ინვალიდად აღიარებული იქნა 30 ათასი კაცი, სამედიცინო დახმარებისათვის მიმართა 132 820 მოქალაქემ, მათ შორის 26 748 ბავშვია. კლინიკებში მოათავსეს 5748 ადამიანი, მათგან 1753 — ბავშვი. მოწამლულ ზონაში ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე თითქმის 60%-ით გაიზარდა 1985 წელთან შედარებით და 800-ს გადააჭარბა; კიბოთი დაავადებულთა რიცხვი იმავე წელთან შედარებით 2-ჯერ და მეტად გაიზარდა, ხოლო ქრონიკული პათოლოგიით დაავადებული ბავშვების რაოდენობა — 4-ჯერ და მეტად. მწვავე სხივური დაავადების დიაგნოზი დაუსვეს 445 კაცს. ჯანმრთელობის მხრივ დაზარალებული ადამიანების საერთო რაოდენობამ 4 მილიონს გადააჭარბა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ეხება მხოლოდ უკრაინის, ბელორუსიის და რუსეთის რაიონებს. საქართველო აქ არ არის გათვალისწინებული მაშინ, როცა შავი ზღვისპირეთი მკაფიოდ იყო დაფიქსირებული საბჭოთა ექსპერტების მიერ, როგორც ყველაზე დაბინძურებული ადგილი მთელი სსრკ-ს ტერიტორიაზე. მათივე მონაცემებით რადიოაქტიურობის ფონი გაიზარდა: ქ. ბათუმში — 500 ათასჯერ, კოლხეთის დაბლობზე — საშუალოდ 100 ათასჯერ, აფხაზეთის ტერიტორიაზე — 50 ათასჯერ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში დაბინძურებას ლაქების ხასიათი ჰქონდა. ჩატარებული კვლევების შედეგად, საქართველოს წყლებში, ნიადაგებში, მცენარეულ საფარში და კვების პროდუქტებში ავარიის შედეგად 1986 წლის მაისის თვეში აღმოჩნდა შემდეგი რადიონუკლიდები: (ფრჩხილებში მოცემულია მათი ნახევრად დაშლის პერიოდები): ლანთან-140 (1,7 დღე-ღამე), იოდ-131 (8,0 დღე-ღამე), ბარიუმ-140 (12,8 დღე-ღამე), ცეზიუმ-141 (33,0 დღე-ღამე), ნიობიუმ-85 (35,2 დღე-ღამე), რუთენიუმ-103 (39,6 დღე-ღამე), სტრონციუმ-85 (64,8 დღე-ღამე), ცირკონიუმ-95 (65,5 დღე-ღამე), ცეზიუმ-134 (2,06 წელიწადი), ცეზიუმ-137 (30,2 წელიწადი). მაღალმა ნალექიანობამ 1986 წლის მაისში დასავლეთ საქართველოში ხელი შეუწყო რადიონუკლიდების ინტენსიურ შეღწევას ნიადაგებში. ავარიიდან 2 წლის შემდეგაც კი ეს რეგიონი ცეზიუმ-137-ით დასაშვებ ნორმაზე 500-ჯერ მეტად იყო გაჭუჭყიანებული. **1980-1985 წლებთან შედარებით 1990 წლისათვის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში გაიზარდა შემდეგი დაავადებები: ანემია ფეხმძიმე ქალებში 47%-ით, ენდოკრინული სისტემის პირველადი დაავადებები — 24%-ით, შაქრიანი დიაბეტი მოზრდილებში — 42%-ით, ბავშვებში — 10%-ით, ლეიკოზით დაავადება მთლიანად საქართველოში გაიზარდა 2,5-ჯერ. ავთვისებიანი წარმონაქმნების საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა 4,1%; ავარიის მომდევნო წლებში გაიზარდა სიმახინჯეც ბავშვებში (მაგალითად, აჭარაში 2-3-ჯერ). ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციას 1207 ქართველი ემსხვერპლა.**

ავარიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა კიევის, გომელის, ბრიანსკის, მოგილევსკის და ჟიტომირის ოლქები. მათ შემდეგ რიგში აღმოჩდნენ საქართველო, მოლდავეთი და ლიტვა. რადიოაქტიურ დაბინძურებას უკვალოდ არ ჩაუვლია ევროპის ქვეყნებშიც. მათ შესახებ მწირია ინფორმაცია.

სსრკ-ს ხელისუფლებამ ეს უბედურება არ აკმარა მოსახლეობას და ახალი „საჩუქარი" მოუმზადა მას — საკვებად „რადიაციული" ხორცის სახით. 1986-1988 წლებში ჩერნობილის კატასტროფით ყველაზე მეტად დაბინძურებულ ოლქებში აწარმოეს 1748900 ტონა ხორცი (3,2-ჯერ მეტი, ვიდრე ამ ოლქებში იწარმოებოდა მშვიდობიან დროს). აქედან 1 702500 ტონა ხორცის რადიოაქტიური დაჭუჭყიანების ხარისხი იყო „დროებითი დასაშვები დონის ფარგლებში", ხოლო 46 400 ტონა ხორციცა — „დროებით დასაშვებ დონეზე მაღალი". ჯანმრთელობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს ასეთი ხორცი, ამიტომ კატეგორიულად იკრძალება მისი გამოყენება სპეციალური დამუშავების გარეშე და მისგან შებოლილი პროდუქტის ან ძეხვეულის წარმოება. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ დუმილი ამჯობინა. ორი წელი მიირთმევდა დაბინძურებულ ხორცს და ხორცის პროდუქტებს სსრკ-ს მოსახლეობა. შეჭამას შემთხვევით გადაურჩა გორის ხორცკომბინატში შემოტანილი 317,8 ტონა რადიონუკლიდებით დაბინძურებული ხორცი, რომელიც მხოლოდ ეროვნული ძალების, განსაკუთრებით საქართველოს სახალხო ფრონტის, დიდი ძალისხმევით იქნა გატანილი საქართველოს ფარგლებს გარეთ 1990 წლის გაზაფხულზე. რა ბედი ეწია დანარჩენ „რადიოაქტიურ ხორცს", მათ შორის თბილისის და ბათუმის ხორცკომბინატებში შეტანილს? პასუხი ნათელია, პატივცემულო მკითხველო...

შინაგანი დასხივების მთავარ საშიშროებას წარმოადგენდა აგრეთვე ადგილობრივი წარმოების რძე და რძის პროდუქტები, სიმინდი, ჩაი, კაკალი, მურაბა, ღვინო, კენკროვანი ნაყოფები, სოკო და ა.შ., რომლებიც დასავლეთ საქართველოდან ხვდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებში და ვრცელდებოდა მოსახლეობაში. სწორედ ამან განაპირობა ჩერნობილის ავარიასთან დაკავშირებული ლეიკოზების მაღალი მაჩვენებელი, მაგალითად, თბილისში, სადაც რადიაციული ფონი არ შეცვლილა წინა წლებთან შედარებით ჩერნობილის ავარიის შედეგად.

რა მდგომარეობა იყო ევროპის სხვა ქვეყნებში ჩერნობილის ავარიიდან 15 თვის შემდეგ? 1987 წლის აგვისტოში ბრიტანეთის მთავრობამ გააკეთა განცხადება — „ინგლისში მომატებული რადიოაქტიურობის მატარებელია ნახევარი მილიონი სული ცხვარი, და არ ვარგა დასაკლავად ხორცისათვის" და გააგრძელა აკრძალვა ცხვრების დაკვლაზე მანამ, სანამ ცეზიუმ-137 შემცველობა მათში არ დაეცემოდა ნორმამდე.

ავარიის შედეგების დროული და კვალიფიციური სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება სსრკ-ს ხელისუფლების მიერ უდავოდ გამოიღებდა შედეგს და ტრაგედიას არ ექნებოდა ასეთი მასშტაბები, როგორიც ახლაა.

უკანასკნელი მონაცემებით (2000 წლის ოქტომბერი) 600 ათასამდე ლიკვიდატორიდან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ რადიოაქტიურად დაჭუჭყიანებული ზონის გაწმენდაში, 80% ცოცხალი აღარ არის. მათ შორის იყო 100 ათასზე მეტი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომლებიც ავარიიდან მომდევნო 6 თვეში დასხივდნენ. რადიოაქტიურად დაჭუჭყიანებული რეგიონების დღევანდელი მაცხოვრებლები, 21 წლის შემდეგ, განიცდიან მუდმივ დასხივებას როგორც გარედან, ისე შიგნიდან — რადიოაქტიურად დაბინძურებული საკვები პროდუქტების გამოყენების გზით. დაახლოებით 1,4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს ისეთ რეგიონებში, სადაც რადიაცია 5-ჯერ მეტია დასაშვებ ნორმაზე. თითქმის 5,3 მლნ კაცის საცხოვრებელ ადგილას ნიადაგის დაჭუჭყიანება 5-10-ჯერ მეტია ნორმაზე. მოსახლეობა 15 წელიწადია მუდმივ სტრესსშია, დაავადებათა ახალ-ახალი გამოვლინების მოლოდინში.

სპეციალისტების მონაცემებით, ჩერნობილის ავარიიდან 5 წლის შემდეგ საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონში მოხდა რადიოეკოლოგიური სიტუაციის სტაბილიზაცია. ამჟამად აღარ წარმოადგენს საშიშროებას ადგილობრივი წარმოების როგორც სასოფლო სამეურნეო პროდუქტების, ისე ველური კენკრის, სოკოს და ხილის ნაყოფის გამოყენება.

გრიგორი მედვედევი, ატომური ენერგეტიკის სპეციალისტი, რომელიც ჩერნობილის აეს-ში მუშაობდა, გვიამბობს: „ჩერნობილის აეს-ში ავარიიდან ერთი წლის თავზე წავედი მიტი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მეხუთე გვერდიდან

ნოს სასაფლაოზე პატივის მისაგებად დაღუპული მეხანძრეებისა და ოპერატორებისათვის. აქ დაკრძალეს არა მარტო ატომური სადგურის პერსონალი, არამედ ისინიც, ვინც შემთხვევით აღმოჩნდა იმ საბედისწერო ღამეს ტრაგედიის შორიახლოს და არ ესმოდა მომხდარის რეალური საშიშროება.

სასაფლაო სოფელ მიტინოს გაგრძელებაზეა გადაჭიმული — ეს არის მკვდრების უზარმაზარი ქალაქი. იგი სულ ახალია, სუფთა. საფლავები რიგებადაა ჩამწკრივებული და გგონია, ეს რიგები სადღაც შორს, ჰორიზონტს უერთდება...

მეხანძრეები და ოპერატორები გარდაიცვალნენ საშინელი ტანჯვით 1986 წლის 11-დან 17 მაისამდე პერიოდში. ისინი ძლიერ დასხივდნენ. მათ ორგანიზმში მოხვდა ყველაზე მეტი რადიონუკლიდი. მათი სხეულები რადიოაქტიური იყო გარდაცვალების შემდეგაც. ამიტომ მათი დაკრძალვა მოხდა თუთიის დარჩილულ კუბოებში.

ადამიანურად მიწასაც ვერ მივაბარეთ...

"წყეული ატომური საუკუნე!"

ასე აფასებს დარგის სპეციალისტი „მშვიდობიან" ატომურ ენერგიას.

დღევანდელი მდგომარეობა ჩერნობილის აეს-ში, ამოქმედებიდან 24 წლის შემდეგ, ასეთია:

— 1986 წელს ავარიის შედეგად დანგრეული მეოთხე ბლოკი დახურულია სარკოფაგით, რომელიც ააშენეს ავარიის შემდეგ (დასხივების პირობებში);

— მესამე ბლოკი გამორთულია 1990 წლის 15 დეკემბრიდან ექსპლუატაციიდან მოხსნის მიზნით;

— მეორე ბლოკი გაჩერდა 1991 წელს ხანძრის შედეგად;

— პირველი ბლოკი გააჩერეს 1996 წელს ექსპლუატაციიდან მოხსნის მიზნით.

* * *

მკითხველისთვის ნათელი რომ გახდეს, მოკლედ აღვწერთ, თუ რას წარმოადგენს ატომური ელექტროსადგური (აეს).

ატომური ელექტროსადგური არის ენერგეტიკული დანადგარი, რომელშიც ხდება ზოგიერთი მძიმე ქიმიური ელემენტის (ე.წ. ბირთვული საწვავის) ატომური ბირთვების დაყოფის შედეგად გამოყოფილი სითბოს გარდაქმნა ელექტრულ ენერგიად. აეს-ის მთავარი ნაწილია ბირთვული რეაქტორი, რომელშიც მიმდინარეობს ბირთვული საწვავის დაშლის რეაქცია. ბირთვული საწვავი არსებობს ბუნებრივი წარმოშობის (ასეთია ურანის ან თორიუმის რადიოაქტიური იზოტოპების შემცველი მადნები) და ხელოვნურად მიღებული (ურან-235 და პლუტონიუმის იზოტოპები). ატომური რეაქტორის მუშაობის დროს ბირთვულ რეაქტორში წარმოიქმნება რადიოაქტიური გამოსხივება. ბირთვული საწვავის მძიმე ატომთა ბირთვების დაყოფის შედეგად მიიღება უფრო მსუბუქბირთვიანი ახალი ქიმიური ელემენტები, გამოიტყორცნება ნეიტრონები, გამოსხივდება გამა-ქვანტები და გამოიყოფა მნიშვნელოვანი რაოდენობის ენერგია. მიღებული ნეიტრონები დაეჯახებიან სხვა ატომებს და ახლა მათ დაშლიან; ახლად გამოყოფილი ნეიტრონები კიდევ სხვა ატომებს დახლეჩენ და ა.შ. რეაქცია მიმდინარეობს ბირთვული რეაქტორის აქტიურ ზონაში.

ბირთვული რეაქტორის მნიშვნელოვანი მახასიათებელია კრიტიკული მასა, ე.ი. მძიმე ელემენტების იზოტოპების მინიმალური რაოდენობა, რომლის დროსაც შესაძლებელი ხდება ბირთვული დაშლის რეაქციის დაწყება. 1000 მეგავატი სიმძლავრის გამოსამუშავებლად ატომურ რეაქტორში იტვირთება 2% ურან-235-ის შემცველობის 180-200 ტ ურანის კონცენტრატი.

ბირთვულ რეაქტორს აქვს გამაცივებელი სისტემა, რომლის დანიშნულებაა ატომთა ბირთვების დაყოფის შედეგად გამოყოფილი სითბოს მოცილება. თბოგადამტანებად ატომურ ელექტროსადგურში გამოიყენება წყალი, აირი, ლითონი. ყველა თბოგადამტანი გამოსხივების წყაროს წარმოადგენს. წარმოქმნილი სითბო აცხელებს წყალს, მიიღება ორთქლი, რომელიც გამოიყენება ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად.

ბირთვულ რეაქტორში, სხვა იზოტოპებთან ერთად, წარმოიქმნება პლუტონიუმი, რომელიც ატომური ბომბის დასამზადებლად გამოიყენება. 1000 მეგავატი სიმძლავრის რეაქტორში ერთი წლის მუშაობით მიიღება დაახლოებით 170 კგ პლუტონიუმი; 200 ტ ურანის კონცენტრატის გადამუშავებისას რჩება 20-60 კუბ.მეტრი რადიოაქტიურად მაღალაქტიური ნარჩენი. იგი შეიცავს საწვავში წარმოქმნილი დაშლის პროდუქტების 99%-ს და საშიშია რამდენიმე ასეული ათასი წლის მანძილზე. **ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე საიმედო მეთოდი გარემოსაგან გადამუშავებული ნედლეულის სრული იზოლირების მიზნით.**

აეს-ებში ელექტროენერგიის მიღება შედგება შემდეგი ტექნოლოგიური სტადიებისაგან:

— ბირთვული საწვავის მოპოვება და გამდიდრება;

— გამდიდრებული მადნიდან თბური ელემენტების წარმოება;

— ბირთვული საწვავის გადამუშავება ბირთვულ რეაქტორში, ნამუშევარი საწვავის ტრანსპორტირება და რეგენერაცია;

— ლიკვიდაცია ან დამარხვა ნარჩენებისა, რომლებიც ყველა სტადიაზე წარმოიქმნება.

ყველა ზემოთჩამოთვლილ ტექნოლოგიურ სტადიაზე წარმოიქმნება ნარჩენები აირადი, თხევადი ან მყარი რადიოაქტიური ნივთიერებების სახით და ხდება გარემოს დაბინძურება. ამასთან დასხივებას იღებს არა მარტო პერსონალი, არამედ მოსახლეობაც, თუმცა მისი დასხივება 2-10-ჯერ ნაკლებია. რაც უფრო მოშორებით ცხოვრობს ადამიანი აეს-დან, მით უფრო ნაკლებ დოზას იღებს იგი. მიუხედავად ამისა, აეს-ების დიდი ნაწილი აშენებულია მსხვილი დასახლებული პუნქტების მახლობლად, რაც ინფრასტრუქტურითაა განპირობებული.



ჩერნობილის აეს-ში ავარიის შედეგად აღარ არსებობს ქ. პრიპიატი. აშენდა ჩერნობილის აეს-თან ერთად. ავარიის დროს იგი სულ 14 წლისა იყო, 49400 მცხოვრებით. მოსახლეობის საშუალო ასაკი იყო 26 წელი.

მოსახლეობის ევაკუაცია მოხდა ავარიიდან რამდენიმე დღის შემდეგ. მათ ნება დართეს წაეღოთ მხოლოდ ფული და სბუთები. დაპირდნენ ქალაქის სასწრაფოდ გაწმენდას და სამ დღეში უკანვე დაბრუნებას. მოვლენები ისე განვითარდა, დაპირების ასრულება არავის უფიქრია.

ავარიიდან 20 წლის შემდეგ ქალაქი იქცა შემოღობილ ზონად, რომელშიც მხოლოდ დაცვის თანამშრომლები და ველური მხეცები ბინადრობენ.

აეს-ებიდან გარემოში გამოტყორცნილი რადიონუკლიდები სხვადასხვა ნახევრად დაშლის პერიოდით ხასიათდება. რადიონუკლიდების უმეტესობა იშლება სწრაფად და აქვს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა. ზოგიერთი ცოცხლობს საკმარისად დიდხანს და ვრცელდება მთელს დედამიწაზე. იზოტოპების უფრო მცირე ნაწილი კი გარემოში რჩება პრაქტიკულად მუდმივად (ათასობით წლის მანძილზე) და წარმოადგენს გამოსხივებით გარემოს მუდმივი დაბინძურების წყაროს. ასეთია გადამუშავებული ნედლეული. სწორედ ის წარმოადგენს მოსახლეობის ხანგრძლივი დასხივების მთავარ წყაროს, რომელიც ატომურ ენერგეტიკას უკავშირდება.

ტექნოლოგიური რეგლამენტის დაცვის შემთხვევაში დაბინძურება მინიმალურია როგორც პერსონალისათვის, ისე მოსახლეობისათვის, თუმცა უმნიშვნელო არ არის.

ექსპერტების აზრით, საზოგადოების შიშს იწვევს აეს-ების ტექნიკური გაუმართაობა, მომსახურე პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია ან დაუდევრობა რეგლამენტის დაცვისას, რაც განაპირობებს არა მხოლოდ სამუშაო ზონის, არამედ გარემოს მნიშვნელოვან დაბინძურებასაც. **საზოგადოების განსაკუთრებული შიში აეს-ების მიმართ კი გამოწვეულია შესაძლო ავარიებით ბირთვულ რეაქტორებზე, რომლის დროსაც გარემოში ხვდება დიდი რაოდენობით რადიოაქტიური ნივთიერებები.**

* * *

ბირთვულ რეაქტორზე ავარიები შეიძლება გამოწვეული იყოს თვით რეაქტორის მუშაობის რეჟიმის დარღვევით, სტიქიური უბედურებებით, როგორიცაა ქარიშხალი ან მიწისძვრა, და ასევე დივერსიებით ან ომით.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ჩერნობილის კატასტროფამდე ყველაზე დიდი ავარია აეს-ში, რომელიც მსოფლიომ შეიტყო და რომელმაც აშშ-ში შეცვალა ატომური ენერგეტიკის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება, მოხდა 1979 წელს ვაშინგტონიდან 120 კმ-ით დაშორებულ აეს-ში — კუნძულ ტრიმაილ-აილენდზე.

ნუთუ მართლა შემთხვევითი იყო ავარიები „ტრიმაილ-აილენდში" და ჩერნობილში? ხდებოდა თუ არა 1986 წლამდე და მას შემდეგაც ავარიები საბჭოთა კავშირის, აშშ-ს თუ სხვა ქვეყნების აეს-ებში?

გადავხედოთ ატომური ენერგეტიკის განვითარების ისტორიას და დავრწმუნდებით, რომ ავარიები ბირთვულ რეაქტორებზე დაიწყო ფაქტობრივად მათი გამოჩენისთანავე (პირველი აეს ამუშავდა სსრკ-ში 1954 წლის ივნისში).

საბჭოთა კავშირში:

— 1964-1979 წლებში 15 წლის განმავლობაში არაერთხელ ჩაინგრა ბირთვული რეაქტორის აქტიური ზონის საწვავის ანაწყობები ბელოიარსკის აეს-ის I ბლოკზე. აქტიური ზონის რემონტების დროს მაღალი დოზით დასხივდა მომსახურე პერსონალი.

— 1966 წლის 7 მაისი, ქ. მელეკასი. სწრაფნეიტრონიან აეს-ში ბირთვული რეაქცია გახდა უმართავი. დასხივდა ორი კაცი. რეაქტორში პროცესის შესაჩერებლად ჩაყარეს ორი ტომარა ბორის მჟავა.

— 1974 წლის 7 იანვარი. ლენინგრადის აეს-ში რკინა-ბეტონის აირსაცავი აფეთქდა მასში რადიოაქტიური აირების დაყოვნების შედეგად. გარემოში გავრცელდა რადიოაქტიური ნივთიერებები. მოსახლეობაზე ზემოქმედების შედეგები უცნობია.

— 1974 წლის 6 თებერვალი. ლენინგრადის აეს-ში მოხდა შუალედური კონტურის გაგლეჯა პირველ ბლოკზე წყლის ადუღებით გამოწვეული ჰიდროდარტყმების შედეგად. დაიღუპა სამი კაცი. მაღალაქტიური წყალი ფხვნილის პულპასთან ერთად გაშვებულ იქნა გარემოში. მოსახლეობაზე ზემოქმედების შედეგები უცნობია.

— 1975 წლის ოქტომბერი. ლენინგრადის აეს-ის I ბლოკზე ჩაიშალა აქტიური ზონა. რეაქტორი გაჩერდა და ერთი დღეღამის შემდეგ აქტიური ზონიდან მასალა განბერეს ატმოსფეროში აზოტის ავარიული მარაგით სავენტილაციო მილის გავლით. გარემოში გატყორცნილი იქნა 1,5 მლნ კიური მაღალაქტიური რადიონუკლიდი. შვეიცარიისა და ფინეთის მთავრობებმა ოფიციალურად მიმართეს შეკითხვით სსრკ-ს მთავრობას მათ ქვეყნებზე რადიოაქტივობის გაზრდასთან დაკავშირებით. მოსახლეობაზე ზემოქმედების შედეგები უცნობია.

— 1977 წელი. ბელოიარსკის აეს-ის მეორე ბლოკზე გადნა აქტიური ზონის საწვავის ანაწყობების ნახევარი. რემონტს აწარმოებდა ერთი წლის განმავლობაში მომსახურე პერსონალი მაღალი დასხივების პირობებში. პერსონალზე ზემოქმედების შედეგები უცნობია.

— 1978 წლის 31 დეკემბერი. დაიწვა ბელოიარსკის აეს-ის II ბლოკი. ხანძარი გაჩნდა სამანქანო დარბაზის გადახურვის ფილის ტურბინის ზეთის ავზზე დაცემის შედეგად. მთლიანად დაიწვა საკონტროლო კაბელი. რეაქტორი აღმოჩნდა უკონტროლოდ. რეაქტორში ავარიული გამაცივებლის წყლის მიწოდების სისტემის აღდგენის დროს ზედმეტად დასხივდა რვა კაცი.

— 1982 წლის სექტემბერი. ჩერნობილის აეს-ის პირველ ბლოკზე ჩაიშალა საწვავის ანაწყობის ცენტრალური ნაწილი პერსონალის არასწორი მოქმედების გამო. გამოიტყორცნა რადიოაქტიური ნივთიერებები სამრეწველო ზონაში და ქ. პრიპიატში. ზედმეტად დასხივდა პერსონალი დაზიანებების ლიკვიდაციის დროს.

— 1982 წლის ოქტომბერი. სომხეთის აეს-ის პირველ ბლოკზე აფეთქდა გენერატორი. დაიწვა სამანქანო დარბაზი. ოპერატიული პერსონალის უმრავლესობა პანიკამ მოიცვა და მიატოვა სადგური, რეაქტორი დარჩა უმეთვალყურეოდ. ადგილზე დარჩენილ ოპერატორებს რეაქტორის გადარჩენაში მიეხმარა კოლის აეს-იდან მოგვიანებით ჩასული ოპერატიული ჯგუფი.

— 1985 წლის 27 ივნისი. ავარია მოხდა ბალაკოვსკის აეს-ის პირველ ბლოკზე. ამწყობგამმართველი სამუშაოების ჩატარებისას ამოიგლიჯა დამცველი სარქველი და სამასგრადუსიანი ორთქლი დაგროვდა შენობაში, სადაც მუშაობდნენ ადამიანები. დაიღუპა 14 კაცი. ავარია მოხდა პერსონალის გამოუცდელობის გამო არასწორი მოქმედებების შედეგად.

— 1986 წლის აპრილამდე ჩერნობილის აეს-ში ენერგობლოკები 104-ჯერ იყო ავარიულად გამორთული. აქედან მხოლოდ 35-ჯერ გამორთეს პერსონალის მიზეზით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში:

— 1951 წელი, დეტროიტი. ავარია მოხდა კვლევით რეაქტორზე, რაც გამოიწვია ბირთვული საწვავის გადახურებამ. დაბინძურდა ჰაერი რადიოაქტიური აირებით. პერსონალის ჯანმრთელობაზე გავლენის შესახებ უცნობია.

— 1959 წლის 24 ივნისი. კალიფორნიის შტატი. გადნა ექსპერიმენტული ენერგეტიკული რეაქტორის თბური ელემენტები გაცივების სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შედეგად.

— 1961 წლის 3 იანვარი. შტატი აიდაჰო. ორთქლის აფეთქება ექსპერიმენტულ რეაქტორზე. დაიღუპა სამი კაცი.

— 1966 წლის 5 ოქტომბერი. დეტროიტი. მოხდა აქტიური ზონის ნაწილობრივი გადნობა გაცივების სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შედეგად.

— 1971 წლის 19 ნოემბერი. მინესოტას შტატი. თითქმის 200 ათასი ლიტრი რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული წყალი ჩაედინა მდ. მისისიპიში რეაქტორის ნარჩენების საცავიდან. გარემოზე ზემოქმედების შედეგები უცნობია.

— 1979 წლის 28 მარტი. პენსილვანიის შტატი. აეს-ში კუნძულ ტრიმაილ-აილენდზე მოხდა აქტიური ზონის ნაწილის გადნობა რეაქტორის გაცივების სისტემაში წყლის დანაკარგების გამო. გასკდა რეაქტორის დამცავი ხუფი; ატმოსფეროში გამოიფრქვა დღემოკლე რადიოაქტიური აირების ნუკლიდები მცირე რაოდენობით, თხევადი რადიოაქტიური ნარჩენები გაშვებულ იქნა მდინარეში. მოსახლეობა ევაკუირებულ იქნა უბედურების ზონიდან რამდენიმე დღით, ვიდრე საშიშროება არ იქნა აღმოფხვრილი.

— 1979 წლის 7 აგვისტო, ტენესის შტატი. ათასამდე კაცმა მიიღო ნორმით დაშვებულზე 6-ჯერ მეტი დოზით დასხივება მაღალკონცენტრირებული ურანის საწვავის გამოტყორცნის შედეგად ბირთვული საწვავის მწარმოებელი ქარხნიდან.

— 1982 წლის 25 იანვარი. როჩესტერის მახლობლად რეაქტორზე ორთქლის გენერატორის მილის გახეთქვის შედეგად მოხდა რადიოაქტიური ორთქლის

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოტყორცნა ატმოსფეროში. გარემოზე ზემოქმედების შედეგები უცნობია.

— 1982 წლის 30 იანვარი. ნიუ-იორკის შტატი. ქ. ონტარიოს მახლობლად აეს-ზე შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა — რეაქტორის გაცივების სისტემაში ავარიის შედეგად მოხდა რადიოაქტიური ნივთიერებების გაჟონვა ატმოსფეროში. გარემოზე ზემოქმედების შედეგები უცნობია.

— 1985 წლის 28 თებერვალი. აეს „სამერ-პლანტ"-ში ვადაზე ადრე იქნა მიღწეული კრიტიკული მდგომარეობა და ბირთვული დაშლის პროცესი გახდა უმართავი.

— 1985 წლის 19 მაისი. ნიუ-იორკის მახლობლად აეს „ინდიან-პოინტ-2"-დან მოხდა რადიოაქტიური წყლის გაჟონვა. ავარიის მიზეზი გახდა გაუმართაობა სარქველში. რამდენიმე ასეული ლიტრი დაბინძურებული წყალი მოხვდა აეს-ის გარეთაც.

სახლები ჰირწმინდად გაძარცვეს მოროდერებმა. იქ კი ყველაფერი გამოსხივების მატარებელი იყო — საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანსაცმელი, იატაკი, სანტექნიკა, აკეკი, წიგნები...

— 1986 წელი. უებერს-ფოლსი. ურანის მადნის გამდიდრების საწარმოში მოხდა აფეთქება. აფეთქდა რადიოაქტიური აირის რეზერვუარი. დაიღუპა ერთი კაცი; რვა — დაიჭრა.

დიდ ბრიტანეთში:

— 1957 წლის ოქტომბერი. ხანძარი გაჩნდა უინდსკეილის ბირთვულ რეაქტორზე, რაც ცნობილი გახდა დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის საიდუმლო დოკუმენტების დღის სინათლეზე გამოტანის შედეგად 30-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. ცეცხლი გაჩნდა ოპერატორების არასწორი მოქმედების გამო — ნაჩქარევი რეაგირების შედეგად პროცესის ტემპერატურულ ცვლილებაზე. ხანძრით გამოწვეული გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება გაცილებით (დაახლოებით 1000-ჯერ) მეტი იყო, ვიდრე კუნძულ ტრიმაილ-აილენდზე, მაგრამ ნაკლებ სერიოზული (დაახლოებით 1000-ჯერ), ვიდრე ჩერნობილში. გარემოზე ზემოქმედების შედეგები უცნობია.

— ატომური რეაქტორები ვინდსკეილში, უინაფრიტში და დოურნიში რადიოაქტიურ წყლებს უშვებდნენ ირლანდიის ზღვაში 50-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე.

— სხვა აფეთქებების შესახებ ინფორმაცია დახურულია.

სავარაუდოა, რომ მსგავსი მდგომარეობაა დღემდე სხვა ქვეყნების აეს-ებშიც.

ძვირფასო მკითხველო, მიაქციეთ ყურადღება: **ლაპარაკია სხვადასხვა ტიპის რეაქტორებზე — უსაფრთხოების დაბალი და მაღალი გარანტიებით, დამცავი ხუფებით, სარკოფაგებით, სსრკ-ში და დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებში შექმნილი კონტრუქციებით. როგორც ჩანს, ავარიების მინიმალური რისკით ატომური ელექტროსადგურები არ არსებობს.**

* * *

რა სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას აეს-ებზე მუშაობის გამოცდილებამ?

ჩერნობილის აეს-ის ავარია შოკისმომგვრელი გახდა დასავლეთის ექსპერტებისთვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი პროგნოზი ატომური ენერგიის უსაფრთხოების შესახებ მეტისმეტად ოპტიმისტური აღმოჩნდა, არამედ იმიტომ, რომ მოხდა კატასტროფა, რომელიც საერთოდ არ ითვლებოდა თეორიულად შესაძლებლად და, შესაბამისად, არ იყო გათვალისწინებული რეაქტორის დაცვის სისტემებით.

ჩერნობილამდე მომხდარმა მხოლოდ ერთმა მაქსიმალურმა ავარიამ (ავარია, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ თეორიულად) — 1979 წელს აშშ-ში „ტრიმაილ-აილენდ"-ის აეს-ში მიაყენა პირველი სერიოზული დარტყმა ატომურ ენერგეტიკას და **გაფანტა ილუზია აეს-ების უსაფრთხოების შესახებ.** ექსპერტების განმარტებით, ეს ავარია მხოლოდ „ეკონომიკური" იყო, ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია. გარემოში გაიფრქვა მოკლე ნახევრად დაშლის პერიოდის ინერტული რადიოაქტიური აირები, რომლებიც დიდ საშიშროებას არ წარმოადგენენ. მცირე ავარიებს და პრობლემებს აშშ-ს აეს-ების მუშაობისას ხშირად ჰქონდა ადგილი, მაგრამ ასეთი მასშტაბური ავარია 1979 წლამდე არ მომხდარა.

აშშ-ს ექსპერტების გათვლებით, რომლებიც აპროექტებდნენ და აშენებდნენ აეს-ებს აშშ-ში, ერთი მაქსიმალური ავარია ბირთვული საწვავის გალღობით და რეაქტორის სრულად გამოყვანით მწყობრიდან შეიძლება მომხდარიყო დაახლოებით ათას წელიწადში ათასი რეაქტორიდან ერთზე. სწორედ ეს გათვლები დაედო საფუძვლად ატომური ელექტროენერგიის წარმოების კლასიფიკაციას, როგორც „შედარებით უსაფრთხო" ტექნოლოგიას. მიუხედავად ამისა, რეაქტორების დაცვის სხვა საშუალებებთან ერთად, გამოიყენებოდა უმტკიცესი რკინა-ბეტონის გუმბათი, რომელიც ავარიის შემთხვევაში ჩამოეცმეოდა რეაქტორს და დაიცავდა მოსახლეობას მაქსიმალური ავარიისგან. „ტრიმაილ-აილენდში" 1979 წელს სწორედ ასეთ გუმბათში გაჩნდა ბზარი, რაც აშშ-ს სპეციალისტებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. აშშ-ს ენერგიის დეპარტამენტმა ავარიის მიზეზების გულდასმითი ანალიზის შემდეგ, 100-ზე მეტი ახალი კონსტრუქციული მოთხოვნა წაუყენა აეს-ების უსაფრთხოებას, რამაც მათი მშენებლობა ბევრად უფრო გააძვირა. **1979 წლის ავარიამდე ელექტროენერგიის ღირებულება ყველა გათვლებით ბირთვულ ენერგიას დიდ უპირატესობას აძლევდა სხვა ტიპის თბურ ელექტროენერგიებთან შედარებით. „ტრიმაილ-აილენდში" ავარიის შემდეგ ეს უპირატესობა გაქრა, მეტიც, აეს-ებში ელექტროენერგიის გამომუშავება „შედარებით უსაფრთხოს" კატეგორიიდან გადაყვანილ იქნა „პოტენციურად საშიში" ტექნოლოგიის კატეგორიაში.** ამ დროიდან შეწყდა აშშ-ში ახალი აეს-ების მშენებლობა და დაპროექტება.

1986 წელს, როცა ჩერნობილის აეს-ში ავარია მოხდა, მსოფლიოს 25 ქვეყანაში 428 ენერგეტიკული ბირთვული რეაქტორი მოქმედებდა, 149 რეაქტორი კი იყო მშენებლობის ან დაპროექტების სტადიაზე. ბირთვული ენერგია უზრუნველყოფდა მსოფლიოში ელექტროენერგიის წარმოების დაახლოებით 16% (220 გეგავატს). აეს-ებით გამომუშავებული ელექტროენერგიის ფარდობითი წილი სხვადასხვა იყო სხვადასხვა ქვეყანაში. ყველაზე მეტი კვლავ რჩებოდა აშშ-ში, ორჯერ ნაკლები იყო საფრანგეთში, სამჯერ ნაკლები — სსრკ-ში და ა.შ. საფრანგეთში აეს-ებით გამომუშავდებოდა მთელი ელექტროენერგიის 70%, იაპონიაში — 18,5%, აშშ-ში — 13%, გერმანიაში — 17,6%.

1986 წელს ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ ახალი აეს-ების მშენებლობა და დაპროექტება შეწყვიტეს, გარდა აშშ-სი, გერმანიამ, კანადამ, შვეიცამ, ბელგიამ, შვეიცარიამ, ფინეთმა, უნგრეთმა, ჩეხეთმა, სლოვაკეთმა.

გასული საუკუნის ბოლოსათვის, ჩერნობილის ავარიიდან 10-12 წლის შემდეგ, მსოფლიოში აეს-ებით გამომუშავებული მთელი ენერგიის (23%-ის. ამ მაჩვენებლის გაზრდა განაპირობა იმან, რომ ახლადამოქმედებული აეს-ების გაჩერება შეუძლებელია, ვიდრე საწვავი ნედლეული არ გადამუშავდება.) 68% მოდიოდა მსხვილ განვითარებულ ქვეყნებზე (ანუ მსოფლიოს ენერგეტიკული სიმძლავრის 15-16%). თუ თავიდან დასავლეთის წამყვანი ქვეყნები აშენებდნენ აეს-ებს, 90-იანი წლების ბოლოს მათი მშენებლობა და დაპროექტება გაიზარდა მეორე რიგის ქვეყნებში. კერძოდ, რუსეთში (6), კორეაში (2), ესპანეთში (1), ტაივანში (2), ინდოეთში (6), ბრაზილიაში (6), კუბაში (4), თურქეთში (3), პოლონეთში (2), ეგვიპტეში (2), ტაილანდში (1), ისრაელში (1). მიუხედავად ამისა, **ექსპერტების შეფასებით, ასე-ების ჯამურ სიმძლავრეს აქვს კლების ტენდენცია. ამის ძირითად მიზეზად, ეკონომიკურ ჩავარდნასთან ერთად, ასახელებენ წინააღმდეგობას საზოგადოების მხრიდან.**

ბევრ ქვეყანაში ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტის დროსაც კი უარს ამბობდნენ მშენებარე ატომურ ელექტროსადგურებზე და მიმართავდნენ ელექტროენერგიის წარმოების სხვა ტექნოლოგიებს. მოვიყვანთ გერმანიის მაგალითს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა იმ საფრთხეების შესახებ, რომელთა წინაშე კაცობრიობა აღმოჩნდა ქიმიურად მავნე ნივთიერებების წარმოებისა და გამოყენების შედეგად, კერძოდ კი, ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დაგროვებით გამოწვეული სათბურის ეფექტის შედეგად, რომელიც დედამიწაზე ტემპერატურის მომატებას განაპირობებს და კლიმატური კატასტროფით ემუქრება მას. ნახშირორჟანგი გამოიყოფა თბოელექტროსადგურებში ელექტროენერგიის გამომუშავებისას ქვანახშირის, ნავთობის ან ბუნებრივი აირის დაწვის შედეგად. შექმნილი ვითარების გამო ნახშირორჟანგის გამოყოფაზე სახელმწიფოებს დაუწესდათ ლიმიტი. ამასთან დაკავშირებით, გერმანიის ბუნდესტაგის მიერ 1991 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა პრობლემა და მთავრობისთვის მიეცა რეკომენდაციები, შეემცირებინათ ელექტროენერგიის მოხმარება, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას უკავშირდებოდა, თუ შეემცირებინათ მისი წარმოება, რაც ნახშიროჟანგის გამოყოფის შემცირებასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად დიდი მოთხოვნილებისა ელექტროენერგიაზე, კომისიამ დაუშვებლად მიიჩნია მისი წარმოების მიზნით აეს-ების მშენებლობის გაფართოება გერმანიაში. პირიქით, პრობლემის გადასაჭრელად შესთავაზა მთავრობას არაპოპულარული ეკონომიკური ბერკეტებით ენერგიის ხარჯის შემცირება; ხოლო ატომური ენერგეტიკის გამოყენება საერთაშორისო პლანში სრულიად აბსურდულად მიიჩნია: „ასეთი ტექნიკის განვითარებადი ქვეყნების ხელში ჩაგდება ისეთივე უზნეობაა, როგორც საჭესთან შვიდი-რვა წლის ბავშვის დასმა", — განაცხადეს მათ.

ატომური ენერგეტიკის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება გამოთქვეს აშშ-ს მეცნიერებმაც. აშშ ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის 700-მდე ღრმად პატივცემულმა წევრმა კატეგორიული მოთხოვნით მიმართა მსოფლიოს: „ან უსაფრთხო გახადონ ქვეყნებმა არსებული აეს-ები, თუ ეს თეორიულად შესაძლებელია, ან უარი თქვან მათზე".

მსგავსი არაფერი მომხდარა სსრკ-ში. ჩერნობილის ავარიის შემდეგაც კი არ შეწყვეტილა აქ ავარიული რეაქტორების მოქმედება. მეტიც, ხდებოდა გაჩერებული აეს-ების გარემონტება და ამოქმედება, რაც გაცილებით ზრდის ავარიების რისკის ხარისხს. გაგრძელდა საბჭოთა და უცხოელი ექსპერტების მიერ დაწუნებული РБМК და ВВЕР ტიპის რეაქტორების შენება და დაპროექტება. არაერთი მცირე და საშუალო ძალის ავარია მოხდა 1986 წლიდან აეს-ებზე. ინფორმაცია ძირითადად გასაიდუმლოებულია, თუმცა ირიბი გზებით მაინც ხდება ცნობილი საზოგადოებისათვის.

XX საუკუნის 90-იან წლებში ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე ირიცხებოდა 91 აეს-ი, რომელთა კონსტრუქციები თავიდანვე ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო მოთხოვნებს უსაფრთხოებაზე. მათგან რუსეთში იყო 26 აეს-ი, უკრაინაში — 13, ყაზახეთში — 1, სომხეთში — 1. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაკინებული მოთხოვნით დახურულიყო რუსეთის აეს-ების უმეტესობა. მეორე უსაფრთხოების მიმართ წაყენებული მოთხოვნების გამო, „შავ სიაში" მოხვდა ყველა აეს-ი, გარდა ორი სადგურისა, და რეკომენდაცია მიეცა მთავარობას, 10 წლის განმავლობაში გაეჩერებინა ისინი.

მძიმე მდგომარეობაა უსაფრთხოების მხრივ ჩვენი უახლოესი მეზობლის — სომხეთის აეს-შიც. იგი ექსპლუატაციაში შევიდა 1976 წელს. სადგურის მუშაობა 10-15 წელიწადზე იყო გათვლილი. იმუშავა 13 წელი. 1989 წლის სპიტაკის მიწისძვრის დროს გააჩერეს. 1994 წელს სომხეთმა აღადგინა მეწამორის აე- სადგური ოთხწლიანი იძულებითი გამორთვის შემდეგ, მიუხედავად აქტიური წინააღმდეგობისა უზენაესი საბჭოს გარემოს დაცვის კომიტეტისა და მოსახლეობის მხრიდან სადგურის არასაკმარისი უსაფრთხოების გამო. ამ წინააღმდეგობას ჰქონდა დასაბუთებული მიზეზები. **მეწამორის აეს-ი განლაგებულია სეისმურად საშიშ ტერიტორიაზე.** აღდგენის დროსაც, 1994 წელს, არ გაუკეთდა მას ავარიისგან საიმედოდ დამცავი საშუალებები; არ ჰყავდა კვალიფიციური ტექნიკური პერსონალი; არ იყო გადაწყვეტილი რადიოაქტიური ნარჩენების დამარხვის პრობლემები და სხვა. რეგლამენტის მიხედვით ატომური სადგური უნდა გაეჩერებინათ და დაეკონსერვებინათ ხელმეორედ ამოქმედებიდან 3-5 წლის შემდეგ. თუმცა აეს-ი მუშაობს დღესაც და არ ჩქარობენ მის გაჩერებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის მოქმედ აეს-ს შეეძლო ელექტროენერგიით რესპუბლიკის მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ 25%-ით და ესეც საპროექტო სიმძლავრის მიხედვით, რომელსაც სადგური რეალურად ვერასოდეს გამოიმუშავებდა. ვფიქრობთ, რომ იგი რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სამსახურში უფრო იყო და არის, ვიდრე სომხეთის ეკონომიკის განვითარების სამსახურში.

მეორედ ამოქმედების შემდეგ არაერთხელ გავრცელდა ხმები აეს-დან რადიოაქტიური გაჟონვების შესახებ. უკანასკნელი მონაცემებით (2006 წ. ნოემბერი), სადგური ბირთვულ საწვავს

ბელორუსი ბავშვები ფარისებრი ჯირკვლის ოპერაციის შემდეგ გადიან რადიოთერაპიულ მკურნალობას.

ეს ჯირკვალი, იოდით ნაკლებად გაჯერების გამო, განსაკუთრებით ბავშვებში, ინტენსიურად შთანთქავს იოდის რადიოაქტიურ იზოტოპებს, რაც განაპირობებს მისი სიმსივნეების ჩამოყალიბებას.

ვაგრძელება მე-8 გვერდზე

მეშვიდე გვერდიდან

დერი ახალი საცავის მშენებლობაზე, რომელსაც, წყაროს ცნობით, სომხეთი საკუთარი ბიუჯეტით დააფინანსებს. ობიექტი ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს 2008 წელს.

„მიუხედავად ევროპის მოწოდებებისა, დაიხუროს სადგური, ჩვენ ვგეგმავთ მის ექსპლუატაციას მინიმუმ 12 წლის განმავლობაში", — იუწყება „სომხეთის ხმა".

აეს-ის ფინანსურ აქციებს წარმართავს РАО „ЕЭС РОССИЯ", პროფილაქტიკურ რემონტს ახორციელებენ ევროპის გადასახადების გადამხდელთა თანხებით. 2006 წელს ამ მიზნით სომხეთს გადაეცა 1,3 მლნ ევრო. ორი წლის წინ იმავე მიზნით ხარჯები გასწია ვაშინგტონმა.

„ბოლო ორი წელია, რაც აეს-ი მოგებაზე მუშაობს (კოვზი ნაცარში ჩაუვარდა სადგურის მართვაში რუსეთის მონაწილეობის კრიტიკოსებს). ამერიკელები და ევროპელები დაჟინებით მოითხოვენ აეს-ის დახურვას და თან აფინანსებენ სადგურის უსაფრთხოებას, რუსეთი კი ზრდის მის ეკონომიკურ ეფექტურობას", — ნიშნისმოგებით იუწყება იგივე წყარო.

ჩერნობილის ავარიამ თვალნათლივ აჩვენა, რომ ავარიებმა აეს-ში არ იცის ნაციონალური საზღვრები. გამონაბოლქვი რადიოაქტიური ნივთიერებების გადატანა შესაძლებელია ქარის, ღრუბლის, გრუნტის წყლების, მდინარეთა საშუალებით.

როგორ აისახება სომხეთის აეს-ის მუშაობა საქართველოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე? — სამწუხაროდ, უცნობია.

აეს-თან დაკავშირებულ საფრთხეებს შორის ზემოთ ვახსენეთ მათი ხელოვნურად აფეთქება. მართლაც, ბირთვულ რეაქტორებზე ავარიის გამოწვევას დივერსიით ან ომით არაერთი სტატია ეძღვნება.

როგორც ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული კვლევების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი გ. ფლახი აღნიშნავს, „სამხედრო თვალსაზრისით ბირთვული რეაქტორის შენობა წარმოადგენს წერტილოვან სამიზნეს, ხოლო აეს-ი მთლიანად — ფართობრივ სამიზნეს. თავდასხმის პოტენციურ საშუალებებს წარმოადგენს საავიაციო ბომბები, „ჰაერი-მიწა" და „მიწა-მიწა" კლასის რაკეტები და მძიმე არტილერია... სამხედრო თვალსაზრისით აეს-ის დანგრევა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მხოლოდ დამსჯელი ღონისძიება სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, რადგან მისი ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური შედეგები ხანგრძლივი ხასიათისაა. ევროპის ტერიტორიაზე განლაგებული თუნდაც ერთი აეს-ის დანგრევა გამოიწვევს უზარმაზარი სივრცის რადიოაქტიური დასნებოვნების ისეთ დონეს, რომ სრულიად გამოუსადეგარი გახდება ცხოვრებისათვის". ფლახის მიერ მაგალითად განხილულია 1000 მეგავატის სიმძლავრის აეს-ის ბლოკი,წყალ-წყლიანი ტიპის რეაქტორით (ასეთივე რეაქტორია სომხეთშიც. რ.დ.) და მისი ხელოვნურად აფეთქების შემთხვევა ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით. ავტორის თანახმად, აქტიური ზონის გადნობით გამოწვეული ავარიის დროს ჩერნობილის აეს-ში 1986 წელს გარემოში გამოიტყორცნა ბირთვული ნედლეულის დაყოფის პროდუქტების მხოლოდ 3,5%. ჩვეულებრივი შეიარაღებების გამოყენებით დარტყმის მიყენების შემთხვევაში მოსალოდნელია რადიოაქტიური პროდუქტების 10%-მდე გამოტყორცნა და გაბნევა ატმოსფეროში რამდენიმე 1000 კმ-ის რადიუსით. გარემოს რადიოაქტიური დაბინძურების შედეგების მიხედვით ძირითადი განსხვავება მხოლოდ დროის ფაქტორით გამოიხატება: ბირთვული ბომბის დარტყმის დროს ტერიტორიის რადიოაქტიური დასნებოვნება პირველ დღეებზე მოდის; აეს-ების დანგრევისას კი შედეგები მრავალი წლის მანძილზე გრძელდება. ატმოსფეროში აეს-იდან დაყოფის პროდუქტების 10%-ის გამოტყორცნის შედეგად რადიოაქტიური დასნებოვნების ხარისხი 10-დან 75 წლამდე პერიოდში 4-ჯერ უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ბირთვული დარტყმის დროსაა.

ჩერნობილის აეს ავარიის შემდეგ

უნდა გვახსოვდეს: კავკასია საომარი კონფლიქტების საშიშროების ზონაშია. მაშასადამე, არც დივერსიაა შეუძლებელი და არც ომი გამორიცხული.

და ბოლოს მოკლედ შევეხებით ბირთვულ რეაქტორზე ავარიის გამოწვევას სტიქიური უბედურებებით.

როგორია საქართველოს სეისმური აქტიურობა და დასაშვებია თუ არა აეს-ის აშენება მის ტერიტორიაზე? ამ კითხვაზე პასუხი ვთხოვეთ აწ განსვენებულ ცნობილ სეისმოლოგს, პროფესორ ელეონორა ჯიბლაძეს. აი, რა გვიპასუხა მან:

„არასპეციალისტებისთვის გასაგები რომ იყოს, დასახასიათებლად გამოვიყენოთ მიწისძვრების პოპულარული კლასიფიკაცია 12-ბალიანი სკალით.

საქართველო სეისმურად აქტიური ქვეყანაა. კავკასიონის სამხრეთი ფერდობი და ჯავახეთის ზეგანი მიმდებარე ტერიტორიებით ხასიათდება 9 ბალით. დანარჩენი ტერიტორია ეკუთვნის 8-ბალიან ზონას,, თუმცა მასში არის მცირე უბნები 7-ბალიანი ინტენსივობით — შავი ზღვის სანაპიროზე და აჭარაში. საქართველოს სეისმური აქტივობის ფონური მნიშვნელობა საშუალოდ 8 ბალის ტოლია. МАГАТЭ-ს სამშენებლო ნორმების მიხედვით ეს ნიშნავს, რომ ატომური ელექტროსადგური უნდა აშენდეს 10-ბალიანი ინტენსივობის მქონე მიწისძვრის მოხდენის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ეს კი ძალიან ძვირია, იმდენად, რომ — არარეალური. მშენებლობის ღირებულება დამოკიდებულია სეისმურ დარაიონებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს მშენებლობის ნორმატივების შედგენას. ასე მაგალითად, 7-ბალიან რაიონში სახლი შენდება 1 ბალით მაღალ ინტენსივობაზე გაანგარიშებით, რაც ნაგებობის ფასს ზრდის დაახლოებით 4-ჯერ; 8-ბალიდან 9 ბალზე გადასვლა დაახლოებით 9-ჯერ აძვირებს მშენებლობას, ხოლო 7-ბალიანიდან 9-ბალიანზე გადასვლისას მშენებლობის ღირებულება იზრდება დაახლოებით 4X9=36-ჯერ (გაძვირებას განაპირობებს მშენებლობაში სპეციალური დეტალების შეტანა უსაფრთხოების გაზრდის მიზნით. მაგალითად, იაპონიაში სახლები შენდება რხევების ჩამხშობ დემპფერებზე და მოძრავ სახსრებზე — მიწისძვრისას სახლი „გორავს" ბიძგების შესაბამისად, რის გამოც არ ინგრევა).

„სეისმურად აქტიურ რეგიონებში არის გეოლოგიური რღვევებიც.

„ერთსაც დავუმატებდი. ცნობილია, რომ დიდ კაშხლებს შეუძლია შეცვალოს მიმდებარე ტერიტორიის სეისმურობა. ამას სეისმოლოგიაში აღძრულ სეისმურობას უწოდებენ. არის ქვეყნები, სადაც აღძრული სეისმურობით ძლიერი მიწისძვრები წარმოიშვა, რასაც მოჰყვა დიდი მსხვერპლი. საქართველოში უკვე გვაქვს ერთი დიდი კაშხალი ენგურჰესის სახით. შენდება ხუდონჰესიც. ასე რომ, ეს მომენტიც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

„რაც შეეხება სომხეთს, იგი სეისმურად არანაკლებ აქტიურია, ვიდრე საქართველო, მეტიც. საერთაშორისო სეისმოდარაიონებით სომხეთის ტერიტორია ძირითადად 9-ბალიანია. არის მცირე უბნები 8 ბალიანი და არის წერტილები, რომელთა სეისმურობა 10 ბალია.

„სომხეთის ტერიტორიის მაღალი სეისმოაქტიურობა 1989 წლის დეკემბერში უჩვენა სპიტაკის მიწისძვრამაც, რომლის ინტენსივობა 9-10 ბალს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ სომხეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ერევნის სამხრეთით, ისტორიული მონაცემების მიხედვით, დაიმზირებოდა კატასტროფული მიწისძვრები 9 და მეტი ბალით, იმდენად ძლიერი, რომ სომხეთის ისტორიული დედაქალაქი — დვინი — მიწისპირიდან აღიგავა და დედაქალაქი IX საუკუნეში ერევანში გადმოიტანეს. აეს-ის აშენება დაუშვებლად მიმაჩნია კავკასიაში დედამიწის ქერქში მიდინარე ტექტონიკური პროცესების თავისებურებათა გამო. საერთაშორისო ნორმებითაც აეს-ის მშენებლობა დაუშვებელია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შეიძლება მოხდეს 8-ბალიანზე უფრო ძლიერი მიწისძვრა".

* * *

ახლა თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ რადიაციული საფრთხის არსზე.

სომხეთის ატომური ელექტროსადგური

დაცარიელებული ქ. პრიპიატი; უკანა პლანზე — ჩერნობილის აეს.

რას იწვევს რადიაცია, რატომაა იგი საშიში?

რადიოაქტიური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანი ფიზიკურად ვერაფერს შეიგრძნობს. დიდი დოზით დასხივებისას რადიაცია შლის უჯრედებს, აზიანებს ორგანოებს, ქსოვილს და წარმოადგენს სწრაფი სიკვდილის მიზეზს. იგი ჩვეულებრივ ვლინდება რამდენიმე საათში ან დღეში. მცირე დოზებით დასხივება კი იწვევს მთელ რიგ გარდაქმნებს, რომლებიც განაპირობებენ კიბოს ჩამოყალიბებას ან გენეტიკურ დარღვევებს.

ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნის სავარაუდო დრო დასხივების მომენტიდან სხვადასხვაა დაავადებების და ასაკის მიხედვით. ყველაზე ადრე, 2-წლიანი ფარული პერიოდის შემდეგ, ვითარდება ლეიკოზები, რომლებიც მაქსიმალურ სიხშირეს აღწევს 6-7 წლის შემდეგ; შემდეგ წლებში მათი გამოვლენის სიხშირე მცირდება და დასხივებიდან 25 წლის შემდეგ პრაქტიკულად არ ვლინდება დაავადება. მოცულობითი სიმსივნეები კი შეიძლება განვითარდეს დასხივებიდან 10 წლის შემდეგ. მათი სიხშირე მაქსიმუმს აღწევს 30-35 წლისთვის. რადიაციის ზემოქმედებით გამოწვეული კიბოს ყველაზე ძნელად განსაკურნებელია. ამაშია მისი ყველაზე საშიში ფარული საფრთხე. ამის საილუსტრაციოდ დავასახელებ იმავე გრიგორი მედვედევს, რომელიც თავის ნარკვევებში „ჩერნობილის აეს-ში ავარიის შესახებ" აღწერს ავარიის დღეს პრიპიატში თვითმხილველთა ნაამბობის მიხედვით:

„...გაზაფხულის მზიანი დღე იყო. ქუჩა სავსე იყო ბავშვებით. იყო ურიამული, სიცილი, კისკისი, ბიჭუნები თამაშობდნენ ქვიშის გროვებთან, აშენებდნენ ქვიშის სახლებს, გაჰყავდათ ქვიშაში გვირაბები. მოზრდილი გოგობიჭები დაქროდნენ ლილვაკებზე. ახალგაზრდა დედები ასაირნებდნენ ჩვილებს საბავშვო ეტლებით. ქალაქი ცხოვრობდა ჩვეულებრივი რიტმით.

სადილობის დროისთვის ჰაერი გახდა უფრო მწვავედ შეგრძნებადი, პირში გაჩნდა მჟავე გემო... სულ ეგ იყო...

ჰაერში კი ამ დროს, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, იყო 1000 მილიბერამდე საათში (დაახლოებით 250 000-ჯერ მეტი, ვიდრე ნორმით დაშვებული დასხივების საშუალო დოზაა. რ.დ.). ჰაერში იყო პლუტონიუმიც, ცეზიუმიც, სტრონციუმიც... იოდ-131 იყო ყველაზე მეტი.

საღამოსთვის ფარისებრი ჯირკვლები ყველას — ბავშვებსაც და დედებსაც — გაეტენა იოდის იზოტოპით....

ისე კი, თითქოს, ყოველმხრივ ჩვეულებრივი დღე იყო, 1986 წლის 26 აპრილი..."

ჩერნობილის კატასტროფამ კარგად აჩვენა, რამდენად დაუცველი იყო ეკოლოგიურად საბჭოთა ხალხი. თუმცა მოსახლეობა ამ მხრივ ხშირად დაუცველია განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებშიც სხვადასხვა მიზეზების გამო. დაცვა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის დროსაა შესაძლებელი.

რადიოაქტიური გამოსხივებისგან ფიზიკური დაცვის განხორციელება ნაციონალურ დონეზე წარმოადგენს უპირველესად მთავრობების მოვალეობას, საერთაშორისო დონეზე კი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ (МАГАТЭ) უნდა უზრუნველყოს იგი.

ამ დაცვების და უსაფრთხო ატომური ელექტროსადგურების არ სჯერათ არც მსოფლიოს „მწვანეებს". ამიტომაც მათი დევიზია:

„მსოფლიო აეს-ების გარეშე!"

მასალა მოამზადა
რუსუდან დუნდუამ

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] А. М. Люцко. Фон Чернобыля_ Минск. 1990. - [2] რადიაციული გამოკვლევები VI თბილისი. 1991. - [3] Тайная канцелярия ЦК КПСС по Чернобылю /по секретным документам оперативной группы Политбюро ЦК КПСС/. "Известия", 17.04.1993. - [4] Радиация. Дозы, еффекты, риск. Пер. с англ., М., Мир. 1988. - [5] Plutonium, #8, winter 1995. - [6] Жорес Медведев. Глобальный эффект чернобыльской аварии. "Зеленый мир", 13, 1991. - [7] Г. Флах. Побочные последвтсия применения обычных вооружений. "Мир Науки", 2.1989. - [8] Григорий Медведев. Свидетели тех дней. "Новый мир". 6.1989. - [9] Эссам Эль Хиннави. Ядерная Энергетика и окружающая среда. "Курьер Юнеско". 7, 1978 г. - [10] Раннее оповещение Постоянной Коммиссии по вопросам охраны природы и природных ресурсов Верховного Совета Республики Армения. Республика Армения. 15 июля 1993 г. - [11] "Голос Армении". Октябрь 05, 2006.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ. ბარონი. სუკ-ი

საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა



დასავლეთში ჩამოყალიბდა სტერეოტიპული წარმოდგენა КГБ-ზე როგორც მსოფლიოში ყველაზე ავბედით საიდუმლო პოლიციაზე. გენერალ მაიორი ოლეგ კალუგინი — წარსულში აშშ-ში საბჭოთა დაზვერვის ერთერთი ხელმძღვანელი, სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგარეო დაზვერვის უფროსი — 1990 წელს წერდა: „... არ არსებობს ცხოვრების არცერთი სფერო, რომელშიც სუკ-ის ხელი არ ურევია– ყველაფერი, რასაც ახლა სუკ-ის ფერიცვალებაზე ლაპარაკობენ, ჩემი აზრით, წმინდა წყლის კამუფლაჟია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სუკ-ის საქმიანობას საფუძვლად კვლავ სტალინური მეთოდი უდევს...“

სუკ-ის, ანუ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სტრუქტურა და კონკრეტული საქმიანობა ცხრაკლიტულში მოქცული საიდუმლო იყო სსრკ-ს მოქალაქეთათვის. დღესაც ბევრმა ყოფილმა საბჭოელმა არ იცის მათ შესახებ. დასავლეთის ქვეყნების მკითხველები კი არ იყვნენ მოკლებული ასეთ ინფორმაციებს. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ წვრილმანებიც კი გაეგოთ საბჭოთა საიდუმლო სამსახურის მოღვაწეობის შესახებ, გასცნობოდნენ სკანდალურ ისტორიებს.

დასავლეთის ქვეყნებში არაერთი პუბლიკაცია და წიგნი დაიბეჭდა როგორც უცხოელი ავტორების, ასევე ყოფილი საბჭოთა მზვერავების ავტორობით. სპეციალისტების აზრით, ჯ. ბარონის წიგნი „КГБ“ ყველაზე უფრო სერიოზული და მართალი ნაშრომია ამ თემაზე შექმნილთა შორის. ვიწყებთ ამ წიგნიდან ზოგიერთი თავის პუბლიკაციას.

ჩვენი წყაროა ლიტვაში გამომავალი გაზეთი „Согласие“, №10–17, 1990.

• სუკ-ის შტაბ-ბინა მოთავსებულია რამდენიმე შენობაში, რომლებიც არაფრითაა გამორჩეული სხვა შენობებიდან და ორი კვარტლითაა დაშორებული კრემლიდან. ძერჟინსკის მოედანზე №2-ში, ძველ, რუხი ქვით ნაგებ შენობაში, რომელიც რევოლუციამდე ეკუთვნოდა სრულიად რუსეთის სადაზღვევო კომპანიას, იმყოფება მთავარი სამმართველო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოლიტიკურმა პატიმრებმა და ტყვე გერმანელმა ჯარისკაცებმა მიუშენეს მას კიდევ ერთი ცხრასართულიანი შენობა. შენობების ძველ ნაწილში არის შიდა ეზო, სადაც ლუბლიანას საპატიმროა მოთავსებული. აქ სიკვდილით დასჯეს ასობით გამოჩენილი საბჭოთა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რომელთა შორის, სულ ცოტა, სამი თვით სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელი იყო. ძერჟინსკის მოედანზე განლაგებული შენობები ცენტრის სახელითაა ცნობილი სუკ-ის თანამშრომელთა თითქმის 90 000-კაციანი არმიისათვის, მთელს მსოფლიოში რომ არიან გაფანტულები. ესენი არიან: მამაკაცები და ქალები, რომლებიც ირიცხებიან ლათინურ-ამერიკელი პარტიზანების რიგებში, ასწავლიან სირიაში პალესტინელ ტერორისტებს, თავს ასაღებენ ამერიკელებად და ცხოვრობენ ნიუ-იორკის სახლებში, არიან ნაციონალური აჯანყების ჩამხშობნი უკრაინაში, ამბოხების აღმკვეთნი ციმბირში.

სუკ-ში სამუშაო დღე იწყება დილის ცხრა საათზე. თუმცა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომელთა უმრავლესობა სამუშაოზე მოდის დილის რვა საათისთვის და მთავარი სამმართველოს შენობაში შედის ექვსი სადარბაზოს გავლით. ადრე იმიტომ მოდიან, რომ შეუძლიათ იაფად და კარგად ისაუზმონ რესტორნებში, რომლებიც განთავსებულია სარდაფში და მერვე სართულზე. საუზმეზე შეიძლება მიიღონ ახალი რძე, კვერცხი, ბეკონი, ძეხვი და ხილი, რომლებიც არსად სხვაგან არ იშოვება. თუ რომელიმე თანამშრომელი აპირებს მოაწყოს პიკნიკი, იგი მიდის სუკ-ის კლუბში, რომელიც მდებარეობს №12 შენობაში მოედნის მეორე მხარეს; იქ მას შეუძლია ნორმალურ ფასებში შეიძინოს ხიზილალა, შებოლილი ორაგული, თართი და სხვა დელიკატესები. თავისი ბავშვებისთვის შეუძლია იყიდოს ვაშლი და ფორთოხალი, თავისთვის კი – შოტლანდიური ვისკი ძალიან იაფად, სულ რაღაც ერთ დოლარად (საბჭოთა რუბლებში).

სუკ-ის კოლოსალური საშუალებები და პასუხისმგებლობის მასშტაბები სრულ შესაბამისობაშია მისი სტრუქტურის სირთულესთან.

სუკ-ი შედგება ოთხი მთავარი სამმართველოსგან, ანუ დამოუკიდებელი სამმართველოებისაგან, და ექვსი დამოუკიდებელი განყოფილებისაგან, რომელთაგან თითოეული უამრავ ნაწილადაა დაყოფილი. ამ დანაყოფებს ეწოდებათ მიმართულებები, განყოფილებები, სამსახურები და დირექციები. პირველი მთავარი სამმართველო მართავს საზღვარგარეთის ოპერაციებს. მეორე მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობს ოპერაციებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა მოსახლეობისა და სსრკ-ში მყოფი უცხოელების წინააღმდეგ. შემდეგია დაუნომრავი მთავარი სასაზღვრო სამმართველო, რომელიც იცავს საზღვრებს და ბოლო დროს ომობს ჩინელებთან. ახალი მეხუთე მთავარი სამმართველო (მესამე და მეოთხე არ არსებობს) პასუხისმგებელია საბჭოთა მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებულ ოპერაციებზე. შეიარაღებული ძალები, ტექნიკური ოპერაციები, ადმინისტრაცია, პირადი შემადგენლობა, ზედამხედველობა, კომუნიკაციურ-გამშიფრავი სამსახური და მცველები – ესაა შვიდი დამოუკიდებელი სამმართველო. ექვსი დამოუკიდებელი განყოფილება დასაქმებულია საგანგებო გამოძიებებით, ფინანსებით, ოპერატიული განხილვებით, სახელმწიფო კომუნიკაციებით, სუკ-ის დაცვით, ოპერაციების რეგისტრაციით და არქივით.

სუკ-ის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს I, II და V მთავარი სამმართველოები. შესაბამისად, მათი ანალიზი იმსახურებს ყველაზე დაძაბულ ყურადღებას.

პირველი მთავარი სამმართველო

პირველი მთავარი სამმართველო პასუხისმგებელია ყველა ფარულ საბჭოთა საქმიანობაზე საზღვარგარეთ, გარდა სამხედრო ჯაშუშობისა, რომელსაც აწარმოებს გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო – ГРУ, და პოლიტიკური ინტრიგებისა, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრკ ცენტრალური კომიტეტი. იგი შედგება სამი სამმართველოსაგან: არალეგალური საქმიანობის, სამეცნიერო-ტექნიკური და დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველოებისაგან; ორი სპეცსამსახურისაგან, ინფორმაციული და აღმასრულებელი განყოფილებებისაგან; აგრეთვე, თექვსმეტი ჩვეულებრივი განყოფილებისაგან, რომელთაგან პირველი ათი მოქმედებს განსაზღვრულ გეოგრაფიულ ან ლინგვისტურ რაიონებში; დანარჩენები ასრულებენ საოპერაციო ან ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ამ განყოფილებების მოკლე მიმოხილვაც კი გვიჩვენებს რამდენად ფართოდაა მოდებული სუკ-ის საცეცები მთელ მსოფლიოში.

არალეგალური საქმიანობის სამმართველო (სამმართველო „ც“)

ახდენს აგენტების შერჩევას და ასწავლის მათ; იყენებს სუკ-ის იმ აგენტებს, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ გამოგონილი სახელებით. კრიტერიუმად კანდიდატთა შერჩევისას გამოიყენება მათი იდეოლოგიური კეთილგონიერება, ემოციური სიმტკიცე და აგრეთვე ცოდნა ლინგვისტურ და კულტურის დარგებში. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში შეგზავნილი ზოგიერთი აგენტის მშობლები არიან ესპანელი კომუნისტები, რომლებიც ესპანეთიდან სსრკ-ში გაიქცნენ სამოქალაქო ომის შემდეგ. თითოეულ აგენტს ასწავლიან ინდივიდუალურად მოსკოვში მიმობნეულ იზოლირებულ ბინებსა და სახლებში. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა სუკ-ი იღებს გადაწყვეტილებას შეგზავნოს მამაკაცი და ქალი ქვეყანაში ერთობლივი მუშაობის მიზნით. სამმართველოს ზემდგომი ოფიცრებისა და ინსტრუქტორების უმრავლესობა თავის დროზე თვითონ იყვნენ არალეგალური აგენტები ან,სარგებლობდნენ რა დიპლომატიური საფარველით, ჯაშუშობდნენ მაინც საზღვარგარეთ.

სახელგანთქმული საბჭოთა არალეგალური აგენტი უილიამ ფიშერი, იგივე პოლკოვნიკი რუდოლფ აბელი, მხილებული იქნა ამერიკელების მიერ და ჩასმული იქნა ციხეში, სადაც იჯდა მანამ, სანამ არ გაცვალეს თვითმფრინავის უ-2 პილოტზე ფრანსის ჰარი პაუერსზე. უკანასკნელი წლები მან მოსკოვში გაატარა, სადაც მუშაობდა ამერიკაში გასაგზავნი აგენტების მთავარ ინსტრუქტორად.

რამდენადაც არალეგალური აგენტების სწავლება წარმოებს ინდივიდუალურად და სუკ-ის კუთვნილ ბინებში, მხოლოდ რამდენიმე კაცმა შეიძლება იცოდეს, რამდენ აგენტს აგზავნის „ც“-ს სამმართველო დავალებით მსოფლიოს ყველა კუთხეში. ცნობილია მხოლოდ, რომ აგენტების უმრავლესობა იგზავნება ისევ და ისევ დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ჩინეთში. კპ ცენტრალური კომიტეტის განმეორებითი მოთხოვნები ჩინეთის წინააღმდეგ ოპერაციების გაუმჯობესების შესახებ იმის მაჩვენებელია, რომ სუკ-ი სიძნელეებს აწყდება იქ არალეგალური აგენტების ჩანერგვის საქმეში. ჩინელები, რუსების მსგავსად, დაუყოვნებლივ იღებენ ზომებს ჯაშუშობაში ეჭვმიტანილ პირთა მიმართ.

სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველო (სამმართველო „ტ“) შეიქმნა 1963 წელს ყოფილი №10 განყოფილებისაგან ახალი სარაკეტო-ბირთვული იარაღის, კოსმოსური და სტრატეგიული კვლევების, კიბერნეტიკისა და სამრეწველო პროცესების შესახებ ცნობების მოპარვის ოპერაციების გაძლიერების მიზნით. თვით სამმართველო მონაწილეობას იღებს ოპერაციებში და იმავე დროს ახდენს სუკ-ის ყველა სხვა განყოფილების სამეცნიერო, სამრეწველო და ტექნიკური ჯაშუშობის კოორდინირებას. მას დიდი გავლენა აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, რომელიც გასცემს სახსრებს საბჭოთა სამეცნიერო კვლევებზე. სამმართველო ასევე წყვეტს, თუ ვის მიეცეს საბჭოთა მეცნიერთაგან საერთაშორისო კონფერენციებზე დასწრების უფლება, და შეჰყავს თავისი თანამშრომლები საზღვარგარეთ მიმავალი მეცნიერთა თითოეული ჯგუფის შემადგენლობაში. სამმართველო „ტ“ იზრდება გამუდმებით, დღიდან მისი შექმნისა. 1972 წლისათვის თავის ცენტრში ითვლიდა რამდენიმე ასეულ შტატის მუშაკსა და აგრეთვე სპეციალისტს ყოველ დიდ საელჩოში საზღვარგარეთ. გარდა ამისა, მას ჰყავს კონსულტანტების დიდი რაოდენობა საბჭოთა მეცნიერების ყველა დარგში. სამმართველო იყოფა ოთხ განყოფილებად.

ამ ბოლო დროს საბჭოთა ხელმძღვანელები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ჩამორჩენილობა სამეურნეო საქმიანობაში ხშირად ხელს უშლით დროულად ჩანერგონ ტექნიკური ინფორმაცია მოქმედ საწარმოებში. ამიტომ უფრო და უფრო ინტენსიურად ცდილობენ დაიყოლიონ დასავლეთის ფირმები საბჭოთა კავშირში ქარხნების მშენებლობაზე და, აგრეთვე, ადმინისტრაციული მართვისა და ტექნოლოგიების სპეციალისტების გაგზავნაზე სსრკ-ში. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო საიდუმლოებების მიტაცებისადმი სუკ-ის ვნება არ სუსტდება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-10 გვერდიდან

ᲡᲣᲙ-ᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ



ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

(I სამმართველო)

შეიქმნა 1969 წელს იმ საბაბით, რომ შეესწავლათ ძველი ოპერაციები და გულდასმით შეერჩიათ მეთოდები და პრინციპები,რომლითაც სუკ-ი შეძლებდა ესარგებლა მომავალში. აქამდე ეს სამმართველო გამოყენებული იყო როგორც „თბილი ადგილი“ სიბერეში შესული თანამშრომლებისათვის და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც შეუფერებელი ხდებოდნენ პარტიული შეფებისთვის.

საინფორმაციო სამსახური (სპეცსამსახური №1)

ეს სამსახური აგროვებს და ავრცელებს პირველი მთავარი სამმართველოს ფილიალების მიერ მიწოდებულ მიმდინარე ინფორმაციებს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ის მასალა, რომელსაც ამუშავებს სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველო. ამ სამსახურით დაინტერესებულია დასავლეთის ქვეყნების დაზვერვის სამსახურები. მათ აინტერესებთ არა ის, თუ რას აკეთებს სპეცსამსახური, არამედ ის, თუ რისი შესრულება არ შეუძლია მას. საინფორმაციო სამსახური, აგრეთვე, გამოსცემს ყოველკვირეული დაზვერვის მასალების ბიულეტენს პარტიის ხელმძღვანელებისთვის, ინსტრუქციას აძლევს საზღვარგარეთ დავალებით მიმავალ თანამშრომლებს, ცენტრალური კომიტეტის მითითებით სწავლობს გარკვეულ თემებს.

სუკ-ი ისწრაფვის შეამოწმოს მიტაცებული დოკუმენტების უტყუარობა და აგენტების პატაკების სიზუსტე. მაგრამ არც საინფორმაციო სამსახურს, არც სუკ-ის სხვა განყოფილებებს არა აქვთ პროფესიული გამომძიებლების დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც დაკავებული იქნებოდა დაზვერვის პატაკებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის შერჩევით. ყველაზე მნიშვნელოვანი პატაკები ხვდება პირდაპირ თავმჯდომარესთან — ანდროპოვთან, შემდეგ გადაეცემა პოლიტბიუროს სხვა წევრებს შეფასების მისაცემად. ყოველკვირეული ბიულეტენიც შედგება მთლიანად დაუმუშავებელი პატაკებისაგან, რომელთაც ინფორმაციის შემკრებნი თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებენ. ამგვარად, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროს გარეშე საბჭოთა ხელმძღვანელები თვითონ უკეთებენ შეფასებას დაზვერვიდან მათთან შემოსულ მეტად მნიშვნელოვან ცნობებს. ეს ადამიანები ვითარდებოდნენ ვიწრო, ინტელექტუალურად შეზღუდულ პარტიულ ჩარჩოებში. მათი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა მათივე პროპაგანდის პირობებში; მცირე გამონაკლისის გარდა, ყველას მათ სუსტი წარმოდგენა აქვთ საზღვარგარეთის ქვეყნების შესახებ.

რუსებს ძალიან ძვირი დაუჯდათ კომპეტენტური, განათლებული სპეციალისტების არყოლა, რომელთაც შეუძლიათ ჩაატარონ ობიექტური, მიუკერძოებელი შეფასება მოპოვებული ინფორმაციისა და იმისა, რაც ამ ინფორმაციის იქით იმალება. 1941 წლის 17 მაისს რიხარდ ზორგემ ტოკიოდან გაგზავნა გაფრთხილება, რომ გერმანელები საზღვარზე თავს უყრიდნენ 170-დან 190-მდე დივიზიას საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. უინსტონ ჩერჩილმა კიდევ უფრო არაორაზროვნად გააფრთხილა სსრკ გერმანიის მოახლოებული შემოჭრის შესახებ. მაგრამ სტალინმა, რომელიც თვითონ ახდენდა მიღებული სადაზვერვო ინფორმაციის შეფასებას და ეპირფერებოდა ნაცისტებს ბოლო დღემდე, პროვოკაციად ჩათვალა ყველა გაფრთხილება და უარჰყო ისინი. შესაბამისად, წითელი არმია იმდენად მოუმზადებელი აღმოჩნდა ომისთვის, რომ როცა დაიწყო ვერმახტის თავდასხმა, ვინმე საბჭოთა ოფიცერმა ცნობა გადასცა ფრონტიდან შტაბში: „გვიშენენ, რა ვქნათ?“ საბჭოთა აგენტები, რომლებმაც 1941 წელს გერმანელთა გენერალურ შტაბში შეაღწიეს, მოსკოვში გადასცემდნენ ნაცისტების საომარ გეგმებს ზოგჯერ იმაზე უფრო ადრეც, ვიდრე მათ მიიღებდნენ ბრძოლის ველზე მყოფი გერმანელი გენერლები. მაგრამ სტალინი და მის გარშემო მყოფი მლიქვნელები იგნორირებას უკეთებდნენ ასეთ ფასდაუდებელ ცნობებს მთელი წლის განმავლობაში.

კონტრდაზვერვის სამსახური (სპეცსამსახური №2)

მიუხედავად თავდაცვითი შინაარსისა, რაც მის სახელწოდებაში სჩანს, ის თავისი არსებით თავდასხმითი ოპერაციების განყოფილებას წარმოადგენს. იგი ისწრაფვის შეაღწიოს საზღვარგარეთის უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურებში არა იმდენად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯაშუშობის თავიდან აცილების მიზნით, რამდენადაც იმ მიზნით, რომ არ მისცეს მათ შესაძლებლობა ჩაერიონ სუკ-ის საქმეებში. სპეციალურ ბრძანებულებაში, რომელიც ცენტრმა გამოსცა და განკუთვნილია დასავლეთ ევროპაში სუკ-ის ყველა რეზიდენტურისათვის, ჩამოყალიბებულია №2 სპეცსამსახურის ამოცანა. ეს დირექტივა, რომელიც ხელში ჩაიგდო და გაშიფრა დასავლეთის ერთ-ერთმა დაზვერვამ, გვაუწყებს: „კოლეგიის გადაწყვეტილების თანახმად, აუცილებელია დაიწყოთ დაუყოვნებლივ მოქმედება იმ მიმართულებით, რომ გამოყენებული იქნას ყველა ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობა, რათა ჩვენი აგენტები ჩანერგილ იქნან აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და საფრანგეთის დაზვერვებსა და კონტრდაზვერვებში. თქვენ და რეზიდენტურას მკაფიოდ უნდა გესმოდეთ, რომ, ჩვენი აგენტების ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში არყოფნის შემთხვევაში, ჩვენ არ გვექნება შესაძლებლობა, რთულ პირობებში წარმატებით ჩავატაროთ ოპერაციები. გარდა ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია საზღვარგარეთ საბჭოთა დაზვერვის მუშაობაში უსაფრთხოების გარანტირება. აგრეთვე, საბჭოთა ქვეშევრდომების (არალეგალური აგენტების) კეთილდღეობა იმ ქვეყნებში, რომლებშიც თქვენ მოქმედებთ“.

დამატებით, სპეცსამსახური №2 თვალყურს ადევნებს საზღვარგარეთ მყოფ ყველა საბჭოთა მოქალაქეს. ნებისმიერ საბჭოთა საელჩოში მის თანამშრომლებს ყველაზე მეტად №2 სპეცსამსახურის თანამშრომლის ეშინიათ. იგი მუდმივად უთვალთვალებს ყველას — ელჩიდან დაწყებული და მის ქვევით მიყოლებით თანამდებობრივ კიბეზე, ცდილობს ამოიცნოს მათში რაიმე „მავნე ნიშნები“. საბჭოთა ქვეშევრდომები, ისეთები, როგორიცაა ჟურნალისტები, ვაჭრობის დარგის წარმომადგენლები, აეროფლოტის მოსამსახურენი და ბევრი სხვა საელჩოს გარეთ მომუშავე ასევე ემორჩილებიან მას. ყოველი მათგანისათვის ცნობილია, რომ დაზვერვის თანამშრომლის მიერ მიცემულ ცუდ დახასიათებას მოჰყვება მათი უკან, სსრკ-ში გამოხმობა და კარიერის დანგრევა.

დეზინფორმაციის განყოფილება (განყოფილება „A“)

ამ განყოფილების ფუნქციაა მოიფიქროს საიდუმლო გეგმები და კამპანიები ზეგავლენის მოსახდენად საზღვარგარეთის მთავრობების გადაწყვეტილებებზე; აგრეთვე, ჩაატაროს ოპერაციები, რომელთა მიზანია საზღვარგარეთის საზოგადოებათა დემორალიზაცია, ცილისწამება საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებზე. მასთან გარბიან დახმარებისთვის ყოველთვის, როცა აუცილებელია დაფარონ სუკ-ის ოპერაციის ჩაფუშვით გამოწვეული განსაკუთრებით არასასიამოვნო ვითარება. ასევე იგი ხელს უწყობს საბჭოთა კავშირში ჩასული უცხოელების გასულელებას. განყოფილება „A“ ზოგიერთ ოპერაციას წარმართავს დამოუკიდებლად, თავისი არალეგალური აგენტებისა და თანამშრომლების მეშვეობით, მაგრამ ოპერაციების უმრავლესობა სუკ-ის და საბჭოთა მთავრობის გასაკეთებელია. დეზინფორმაციის განყოფილება ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილებაა სუკ-ში 50-იანი წლების ბოლოდან.

აღმასრულებელი განყოფილება (განყოფილება „T“)

არც ერთი განყოფილების დაფარვას უცხო თვალისაგან ისე არ ცდილობს სუკ-ი, როგორც ამ განყოფილებისას. ეს ზესაიდუმლო განყოფილება პასუხისმგებელია საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილ ყველა პოლიტიკურ მკვლელობაზე, ადამიანის გატაცებასა და საბოტაჟზე — მოქმედებებზე, რომელთაც სუკ-ის ენაზე „სველ საქმეს“ უწოდებენ იმის გამო, რომ ამ დროს ადამიანის სისხლი იღვრება. ადრე მეცამეტე განყოფილების ან ქვეგანყოფილება „F“-ის სახელით ცნობილი ეს დანაყოფი 1969 წელს გაფართოვდა და დაერქვა განყოფილება B“. იმ დროიდან მოყოლებული, ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, რომ განვითარებინა უნარი საბოტაჟის მოწყობისა უცხოეთის საზოგადოებრივ დაწესებულებებში, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის საშუალებებში და სხვა მგრძნობიარე ცენტრებში მშვიდობიან დროს. ამის მიზანია — მისცეს შესაძლებლობა საბჭოთა ხელმძღვანელებს შებორკონ დასავლეთის ქვეყნები შიგა ქაოსის შექმნის გზით საერთაშორისო კრიზისის დროს მომავალში.

განყოფილების თანამშრომლები არიან ყველა მსხვილ საბჭოთა საელჩოში, სადაც ისინი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

მე-10 გვერდიდან

ქმნიან აგენტურულ ქსელს და მართავენ მას. განყოფილება ახდენს თავისი არალეგალური აგენტების შეგზავნას საზღვარგარეთის ქვეყნებში და ასწავლის სუკ-ის თანამშრომლებს, როგორ შეასრულონ ისეთი დავალებები, როგორიცაა მკვლელობა და საბოტაჟი. გერმანიაში, ირლანდიაში და მექსიკაში განყოფილებამ გამოიყენა პროფესიონალი განგსტერები. არ არის გამორიცხული, რომ ეს სხვა ქვეყნებშიც კეთდებოდა. ყველაფერი, რაც შეეხება განყოფილების ბოლოდროინდელ ოპერაციებს და მისი წინამორბედების სისხლიან ისტორიებს, აღწერილია XIII თავში.

როგორი დიდიც არ უნდა იყოს ზემოთ აღწერილი განყოფილებების მნიშვნელობა, ყველაზე მძლავრი დარტყმითი ძალა პირველი მთავარი სამმართველოსი მაინც თავმოყრილია მის ათ გეოგრაფიულ განყოფილებაში. უდიდესი ნაწილი სუკ-ის იმ თანამშრომლებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის გარეთ შეგხვდებათ, მიეკუთვნება ერთ რომელიმეს ამ განყოფილებებიდან. ისინი არიან სუკ-ის ოპერაციების უმრავლესობის შემსრულებლები საზღვარგარეთ. ყოველ განყოფილებას აქვს მოღვაწეობის განსაზღვრული გეოგრაფიული არე.

I განყოფილება — შეერთებული შტატები და კანადა;

მე-2 განყოფილება — ლათინური ამერიკა;

მე-3 განყოფილება — დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სკანდინავიის ქვეყნები;

მე-4 განყოფილება — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ავსტრია;

მე-5 განყოფილება — საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი და ირლანდია;

მე-6 განყოფილება — ჩინეთი, ჩრდილოეთ ვიეტნამი, ჩრდილოეთ კორეა;

მე-7 განყოფილება — იაპონია, ინდოეთი,ინდონეზია,ფილიპინები და აზიის დანარჩენი ნაწილი;

მე-8 განყოფილება — არაბული ქვეყნები, იუგოსლავია, თურქეთი, საბერძნეთი, ირანი, ავღანეთი და ალბანეთი;

მე-10 განყოფილება — ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე აფრიკული ქვეყნები.

პირველი და ყველა სხვა გეოგრაფიული განყოფილების ამოცანები ერთმანეთის მსგავსია. პირველი განყოფილება ცენტრის მეშვეობით ხელმძღვანელობს, ამოწმებს და აკომპლექტებს სუკ-ის „ლეგალური“ რეზიდენტების შტატებს საბჭოთა საელჩოში ვაშინგტონში, საბჭოთა დელეგაციისას გაეროში ნიუ-იორკში, საელჩოში ოტავაში და საკონსულოში სან-ფრანცისკოში. იგი პასუხისმგებელია ყველა არალეგალურ აგენტზე, რომელიც იმყოფება ჩრდილოეთ ამერიკაში, იმ აგენტების გამოკლებით, რომელთაც აღმასრულებელი განყოფილება და დეზინფორმაციის განყოფილება აგზავნის განსაკუთრებული დავალებებით. ეს განყოფილება დიდ ენერგიას ხარჯავს ამერიკის სამხედრო მოსამსახურეთა, ბიზნესმენების, სტუდენტების, პროფესორების, მეცნიერების, ჟურნალისტების და ტურისტების მოსყიდვაზე ყველგან, სადაც კი იმყოფებიან ისინი, იქნება ეს შეერთებულ შტატებში თუ მის გარეთ. პირველი



განყოფილება ხელმძღვანელობს აგრეთვე შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებს, რომლებსაც იგი ახორციელებს კომუნისტური ფრონტის საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით. ეს განყოფილებაა მთლიანად პასუხისმგებელი ჯაშუშების ჩანერგვაზე აშშ-ს მთავრობაში; გავლენიანი აგენტების ჩასმაზე კონგრესში, პრესაში, საქმიან მუშაწრეებში, უნივერსიტეტებში; ზიანის მიყენებაზე აშშ-ს ინტერესებისათვის მთელს მსოფლიოში. ყველა სხვა გეოგრაფიული განყოფილება, მსგავსად ზემოაღნიშნულისა, პასუხს აგებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებზე, რომლებიც მათ სამიზნეს წარმოადგენს.

პირველი მთავარი სამმართველოს მე-11 განყოფილებას, რომელიც ადრე საკონსულტაციოს სახელწოდებით იყო ცნობილი, ყოველდღიური ურთიერთობა აქვს კუბის და აღმოსავლეთევროპელი დამქაშების საიდუმლო სამსახურებთან. დაახლოებით 110 მისი თანამშრომელი იმყოფება ჰავანის, აღმოსავლეთ ბერლინის, ვარშავის, პრაღის, ბუდაპეშტის, ბუქარესტის და სოფიის დაზვერვების შტაბ-ბინებში. რუსები, რომელთაც ჩეხები და პოლონელები „ძიებს“ ეძახიან, ინფორმაციას აძლევენ ცენტრს ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, რაც კი ხდება დამქაშების ორგანიზაციებში და უგზავნიან მას ყველა იმ მოხსენების ასლს, რომელიც რამე, თუნდაც მცირე საინტერესო ცნობას შეიცავს. იმავდროულად ისინი ფარულად მუშაობენ იმ აგენტებთან, რომლებიც გადაბირებული ჰყავთ სუკ-ის სატელიტი ქვეყნების დაზვერვების თანამშრომელთა რიგებიდან. დასავლეთის ქვეყნებში სუკ-ის დავალების შესასრულებლად ზოგჯერ ხდება სამოქალაქო პირების გადაბირება ამ ქვეყნების მოსახლეობიდან.

მე-12 განყოფილებას ხშირად უწოდებენ შირმას იმის გამო, რომ სუკ-ის თანამშრომლებს იგი განათავსებს საბჭოთა სამთავრობო დაწესებულებებში, სადაც მათ შესანიღბად აძლევენ რაიმე სამუშაოს. განყოფილება ორგანიზაციას უკეთებს, აგრეთვე, სუკ-ის თანამშრომლებისთვის მოგზაურობებს ან მათ ყოფნას საზღვარგარეთ დიპლომატების, ჟურნალისტების, ვაჭრობის დარგის წარმომადგენლების, რელიგიის მსახურების ან საერთაშორისო კონფერენციების დელეგატების სახით. სუკ-ს თუ წამოეჭრება საჭიროება სამხედრო ან სხვა სამთავრობო სამინისტროს მხრიდან განსაკუთრებული სახის მომსახურებაში, განყოფილება ასეთ სამუშაოსაც ასრულებს.

მე-13 განყოფილება პასუხისმგებელია კავშირისათვის რეზიდენტურებთან, საზღვარგარეთ მყოფ თანამშრომლებთან და აგენტებთან; ახდენს ცენტრიდან გაგზავნილი მოხსენებების დაშიფვრას, ხოლო საზღვარგარეთიდან მიღებულის — გაშიფვრას. ყველა მათ მიერ გამოგონილი კოდი და სიგნალი ხშირად ძალიან რომანტიულია. ფრანკ კიტონ ბოსარდს, თავის დროზე ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს, რომელიც სუკ-მა 1961 წელს გადაიბირა, შეთანხმებულ რიცხვებში ღამის საათებში უნდა ესმინა რადიოსათვის. ინსტრუქციებს იგი იღებდა კოდით, რომელსაც საფუძვლად ედო ხუთი მელოდია: „ვოლგელი ბურლაკების სიმღერა“, „გედების ტბა“, „მოსკოვური საღამოები“, „ცეკვა ხმლებით“ და „კალინკა“. ამერიკელ ჯეიმს ალენს, რომელმაც სუკ-ში იმსახურა 10 წელი, ჰქონდა ინსტრუქციები ისეთი შეხვედრისთვისაც, თუ წარმოიშვებოდა საგანგებო სიტუაცია და მოუხდებოდა ქვეყნიდან გაქცევა. ანონიმურ სატელეფონო ზარს მისთვის უნდა გადაეცა სიგნალი ასეთი სიტყვებით: „როცა ღრმა მეწამულით შეიმოსება ბაღის ნამძინარევი კედლები...“

მე-14 განყოფილება პასუხისმგებელია ოპერაციების ტექნიკურ უზრუნველყოფაზე. სამმართველოს, რომელიც განაგებს საზღვარგარეთის ოპერაციებს, იგი ამარაგებს აუცილებელი ყალბი პასპორტებით და დოკუმენტებით, სიმპათიკური მელნით (უფერული სითხეა, რომელსაც იყენებენ საიდუმლო მიმოწერაში — რ.დ.), ადამიანის მწყობრიდან გამომყვანი ყოველგვარი ქიმიური პრეპარატებითა და სხვა ტექნიკური მოწყობილობებით. სპეციალისტები ამ განყოფილებიდან იგზავნებიან სამუშაოდ საბჭოთა საელჩოებში იმისთვის, რომ მოემსახურონ კავშირგაბმულობის ადგილობრივი ხაზებით წარმოებული საუბრების ფარულად ყურისგდებას და, აგრეთვე, რეზიდენტურებს გაუწიონ ტექნიკური ხელშეწყობა.

მე-15 განყოფილება ადგენს ოპერაციების დოსიეს და განაგებს პირველი მთავარი სამმართველოს არქივს. რამდენადაც მიმოქცევაში ჩართულია საქაღალდეების შეზღუდული რიცხვი, მე-15 განყოფილება წარმოადგენს ერთადერთ ადგილს, სადაც არის საზღვარგარეთ შესრულებული ოპერაციების ანგარიშების სრული კომპლექტი.

მე-16 განყოფილება ასრულებს ჩვეულებრივ საკადრო ფუნქციებს და ახდენს სავარაუდო თანამშრომლების გადაბირებას პირველ განყოფილებაში. ამ კანდიდატების უმრავლესობის შერჩევა ხდება მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა და მოსკოვის აღმოსავლური ენების ინსტიტუტების სტუდენტთა რიგებიდან. გასულ წლებში სტუდენტების მხოლოდ ძალიან მცირე რიცხვი ამბობდა უარს სუკ-ის რიგებში შესვლაზე, რადგან ცოტა ვინმეს თუ შეეძლო საბჭოთა კავშირში ასეთ მაღალ ხელფასსა და პრივილეგიებზე ოცნება. მაგრამ ბოლო დროს დადის ხმები, რომ სულ უფრო იზრდება რიცხვი განათლებული ახალგაზრდებისა, რომელთაც ზიზღის განცდა გაუჩნდათ სუკ-ის მიმართ და სუკ-ს იმედი აღარ აქვს, რომ ისინი ავტომატურად დათანხმდებიან გადაბირებას.

მეორე მთავარი სამმართველო

მეორე მთავარი სამმართველოს საქმიანობა ზოგად პლანში — ესაა კონტროლი როგორც საბჭოთა ადამიანებზე, ისევე უცხოელებზე თვით საბჭოთა კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მისი ფუნქცია გადაეცა ახალ მეხუთე მთავარ სამმართველოს, იგი ჯერ ისევ თვით ზიდავს შიდა რეპრესიების ტვირთის უდიდეს ნაწილს. სამმართველო შედგება თორმეტი ნომრიანი განყოფილებისგან, პოლიტიკური უსაფრთხოების სამსახურისაგან, სამრეწველო უსაფრთხოების სამსახურისაგან და ტექნიკური დახმარების ჯგუფისაგან.

თორმეტიდან ექვსი განყოფილება ასრულებს ორმაგ დავალებას: აკონტროლებს უცხოელი დიპლომატების საქმიანობას და უარს ეუბნება მათ საბჭოთა მოქალაქეებთან კავშირზე არასაკმარისი დასაბუთების შემთხვევაში. მათი დავალებები ქვეყნების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად.

— პირველი განყოფილება — შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკა

— მე-2 განყოფილება — დიდი ბრიტანეთი;

— მე-3 განყოფილება — გერ-

გაგრძელება მე-12 გვერდზე

მე-11 გვერდიდან

მანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ავსტრია და სკანდინავიის ქვეყნები;

– მე-4 განყოფილება – დასავლეთ ევროპის ქვეყნების ყველა სხვა ხალხები;

– მე-5 განყოფილება – არაევროპული ქვეყნები, რომელთაც სუკ-ი განვითარებულად მიიჩევს;

– მე-6 განყოფილება – არაევროპული ქვეყნები, რომლებსაც სუკ-ი სუსტად განვითარებულად მიიჩნევს.

საკმარისია მხოლოდ ერთი თვალის გადავლება იმ საშუალებებზე, რომელსაც ფლობს პირველი განყოფილება, რომ გავიგოთ, რამდენად თანმიმდევრულია სუკ-ი უცხოელი დიპლომატების დევნაში. განყოფილების პირად შემადგენლობაში შედიან: უფროსი, ორი მოადგილე, დაახლოებით 50 შტატიანი თანამშრომელი, გადამბირებლები, აგენტებით დაკავებული თანამშრომლები, აქტიური რეზერვისტების მთელი კორპუსი და 300-მდე პროფესიონალი მეძებარი, რომლებიც ოპერატიული სამმართველოს ხარჯზე იკვებებიან. სამმართველოს შტაბ-ბინა დამალულია ხუთსართულიან შენობაში, რომელიც წაგავს საწყობს და დაცილებულია ნახევარი მილით შეერთებული შტატების საელჩოდან. განყოფილების განკარგულებაშია ასევე ბინები, სადაც ცდილობენ შეიტყუონ ამერიკელები და დაარწმუნონ ისინი იმაში, თითქოს იმყოფებიან სრულიად ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქის ბინაში. განყოფილება ხუთი ქვეგანყოფილებისგან შედგება. პირველი ქვეგანყოფილება დასაქმებულია პრაქტიკულად აშშ-ს საელჩოს თანამშრომლების გადაბირებით. მეორე ქვეგანყოფილება ესწრაფვის გაანეიტრალოს საელჩოდან გამომავალი ნებისმიერი სადაზვერვო ოპერაცია. მესამე ქვეგანყოფილებაში ხდება ამოცნობა, გამოძიება და დაკითხვა და მუდმივი დოსიეების შედგენა ყველა საბჭოთა მოქალაქეზე, რომელთაც ოდესმე ჰქონიათ კავშირი დამყარებული ამერიკელებთან საბჭოთა კავშირში. მეოთხე ქვეგანყოფილება ცდილობს წინასწარ ორგანიზება გაუკეთოს და შემდეგ უხელმძღვანელოს იმ კონტაქტებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამერიკელების მოგზაურობისას მოსკოვის გარეთ. მეხუთე ქვეგანყოფილება მუშაობას ეწევა ლათინოამერიკელ დიპლომატებს შორის იმ მიზნით, რომ გამოიყენოს ისინი შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებში, ან საკუთარ ქვეყნებში გავლენის აგენტების სახით.

– მე-7 განყოფილება ყველაზე დიდია ნომრიან განყოფილებებს შორის. იგი ნადირობს ტურისტებზე. მის განკარგულებაშია ასობით თანამშრომელი მოსკოვში, იმდენივე – პერიფერიებში. აგრეთვე, 1600-მდე აგენტი და შემტყობინებელი, რომელთაგან ბევრი ცნობილია როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკი. განსაკუთრებით აქტიურ აგენტებს უცხოელები წარმოადგენენ, რომლებიც თანამშრომლობენ მოსკოვის დაწესებულებებთან საზღვარგარეთის ავიახაზების და ფირმების წარმომადგენლებად. განყოფილების ექვსი ქვეგანყოფილებიდან პირველი მუშაობს ამერიკელ, ბრიტანელ და კანადელ ტურისტებზე, მეორე დაკავებულია სხვა ეროვნების ტურისტებით, მესამე თვალყურს ადევნებს სასტუმროებს, რომლებშიც ასახლებენ უცხოელებს, აგრეთვე, რესტორნებს, სადაც ისინი ჩვეულებრივ დაჰყავთ. მეოთხე ქვეგანყოფილების ქვეშ იმყოფება ინტურისტი, რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივი ტურისტები აფორმებენ მოგზაურობებს სსრკ-ში, მოგზაურობათა ბიურო „სპუტნიკ“, რომელიც საზღვარგარეთის ახალგაზრდობას სთავაზობს იაფფასიან მოგზაურობებს საბჭოთა კავშირში. მეხუთე ქვეგანყოფილება ორგანიზებას უკეთებს შეხვედრებს ტურისტებსა და საბჭოთა მოქალაქეებს შორის და იძიებს გაუთვალისწინებელ კონტაქტებს. მეექვსე ქვეგანყოფილების თანამშრომლები იმყოფებიან სამეთვალყურეო პოსტებზე მოტელებში, კემპინგებში, ბენზინგასამართ სადგურებში და იმ ცენტრალური გზების გასწვრივ განლაგებულ გარაჟებში, რომლებითაც ტურისტები მოგზაურობენ. აგრეთვე, თვალყურს ადევნებენ უცხოელებს, რომლებიც მოძრაობენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თვითმფრინავით ან მატარებლით. ეს განყოფილება მართავს ასევე საერთოეროვნული მასშტაბის საკომუნიკაციო სისტემას, რაც საშუალებას აძლევს მე-7 განყოფილებას სწრაფად გადასცეს ფოტოსურათები და ინფორმაციები ტურისტების შესახებ.

მე-8 განყოფილება განაგებს მეორე მთავარი სამმართველოს საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებს. რამდენადაც სუკ-ი თავის მუშაობაში ამ მანქანებს სულ უფრო მეტად ეყრდნობა, განყოფილების სიდიდე და მნიშვნელობაც, შესაბამისად, იზრდება.

მე-9 განყოფილება კონცენტრირებულია უცხოელი სტუდენტების თვალთვალსა და გადაბირებაზე. ამ მიზნით ის იყენებს შემტყობინებლებს ფაკულტეტებზე და სტუდენტურ ორგანიზაციებში ყველა საბჭოთა უნივერსიტეტში, სადაც უცხოელ სტუდენტებსაც იღებენ. მომხდარა, რომ საბჭოთა სტუდენტებს გამოუჩენიათ ვაჟკაცობა – გამოტყდომიან ამერიკელებს, რომ არიან შემტყობინებლები და არაორაზროვნად გაუფრთხილებიათ, სუკ-ის მოწყობილ მახეში არ გაბმულიყვნენ.

მე-10 განყოფილებას თვალყური უჭირავს უცხოელ ჟურნალისტებზე და ცდილობს გავლენა მოახდინოს მათზე და გადაიბიროს კიდეც. საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფს ზოგიერთი სახის მუდმივი პრივილეგიით იმ ჟურნალისტებს, რომლებიც აამებენ მას. მაგრამ ყველანაირად უწევს წინააღმდეგობას მათ, ვინც ამას არ აკეთებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ზოგიერთი მწერალი მოექცა სრულიად ღია ზედამხედველობის ქვეშ. რიგ შემთხვევებში პროვოკაციების მსხვერპლნიც გახდნენ ამ განყოფილების თანამშრომლების მხრიდან, როცა შეეცადნენ მწერალთა იზოლირებას სხვა საბჭოთა ინტელიგენტებისგან. განყოფილება ნიშნავს თანამშრომლებს თანამდებობებზე საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მომსახურების სამმართველოში. დიპლომატს თუ დასჭირდა შეხვედრა რომელიმე საბჭოთა ჩინოვნიკთან, მგზავრობის დაგეგმვა ან, უბრალოდ, დაზიანების შეკეთება წყალსადენ სისტემაში, მან ჩვეულებრივ უნდა დარეკოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატთა კორპუსში ანუ, სხვა სიტყვები, სუკ-ში.

მე-11 განყოფილება სანქციას აძლევს და აწესრიგებს საზღვარგარეთ საბჭოთა მოქალაქეების მგზავრობას. მსხვილი პარტიული მუშაკების და მაღალი თანამდებობის პირების მგზავრობის გამოკლებით, განყოფილების მოსამსახურეები გულდასმით სწავლობენ სავარაუდო მოგზაურის წარსულსა და აწმყოს მისი იდეოლოგიური ერთგულების ან, პირიქით, სხვა მხარეზე გადასვლის განზრახვის ნიშნების ან დამამტკიცებელი საბუთების ძებნისას. ჩვეულებრივად, თითოეულ გასამგზავრებელ ჯგუფს აცილებს განყოფილების ან თანამშრომელი, ან აგენტი. მოგზაურთა ქცევის შესახებ მოხსენებები ხელშეუვალი ნაწილია დოსიესი თითოეულ საბჭოთა მოქალაქეზე, რომელიც ოდესმე ყოფილა საზღვარგარეთ.

მე-12 განყოფილება იძიებს სახელმწიფო დაწესებულებებში კორუფციის, მექრთამეობის და გაფლანგვის განსაკუთრებით მსხვილ საქმეებს.

სუკ-ის ერთერთ მნიშვნელოვან განყოფილებას წარმოადგენს უშიშროების პოლიტიკური სამსახური, რომელსაც სუკ-ის ოფიცრები შემოკლებით სამსახურს ეძახიან. მისი მეშვეობით სუკ-ი ანხორციელებს ყოველდღიურ კონტროლს საბჭოთა ცხოვრებაზე და მრავალრიცხოვანი, მთელი ქვეყნის მომცველი ცნობების მიმწოდებელების ქსელებზე. ადრე ეს სამსახური შედგებოდა მიმართულებებად წოდებული 12 დიდი განყოფილებისაგან, მაგრამ 1969 წელს მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე მიმართულებათა ფუნქციები გადაეცა მეხუთე მთავარ სამმართველოს.

პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მიმართულებები დარჩა მეორე მთავარ სამმართველოში. ისინი განაგებენ საერთო გამოძიებას და მუშაობას სუკ-ის ადგილობრივ ფილიალებთან ოთხ გეოგრაფიულ სექტორში, რომლებადაც საიდუმლოდ დაჰყო მოსკოვმა საბჭოთა კავშირი, ადმინისტრაციულად მოხერხებული რომ ყოფილიყო. ცნობების მიმწოდებელთა ქსელების დიდი ნაწილი იმართება სუკ-ის ადგილობრივი ფილიალებით, რომლებიც თავის მხრივ იმართებიან 1, 2, 3 და 4 მიმართულებების მიერ.

– მე-10 მიმართულება ეწევა „ეკონომიკური დანაშაულების“ დაჭერას. ესენი არიან უცხოური ვალუტის გადამყიდველები, შავ ბაზარზე გარიგებებში მონაწილენი და კერძო მწარმოობით დასაქმებული ადამიანები.

– მე-11 მიმართულება ბეჭდავს საიდუმლო მითითებებს და ჟურნალებს უშიშროების პოლიტიკური სამსახურისათვის, სადაც აკეთებენ მოხსენებებს სხვადასხვა თემაზე, მათ შორის დაუკმაყოფილებლობისა და უკმაყოფილების პრობლემების შესახებ.

– მე-12 მიმართულება იწვევს გარკვეულ ცნობისმოყვარეობას. იგი შეიქმნა 1963 წელს იმ მიზნით, რომ ჩაეშალათ ჩინელი დიპლომატების საქმიანობა და შეეღწიათ მოსკოვში ჩინეთის საელჩოში. საზღვარგარეთის სხვა საელჩოების წინააღმდეგ მიმართული ოპერაციები სრულდება მეორე მთავარი სამმართველოს ნომრიანი განყოფილებების მეშვეობით. მაგრამ რუსების შიში ჩინური პროპაგანდის შედეგებისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ ძირგამმთხრელი საქმიანობის წინაშე იმდენად დიდი იყო, რომ რუსებმა ჩინელების საკითხი დაავალეს სამსახურს (უშიშროების პოლიტიკურ სამსახურს), რომელიც ადრე მხოლოდ შინაურ პოლიტიკურ საქმეებზე იყო პასუხისმგებელი.

მეორე მთავარი სამმართველოს ტექნიკური დამხმარე ჯგუფი ფაქტობრივად დასაქმებულია პროფესიული გატეხვებით. ჯგუფში არის ოცამდე სპეციალისტი – გატეხვების პროფესიონალები, რომლებსაც შესწავლილი აქვთ, აგრეთვე, სეიფების გახსნის ტექნიკა, ყველანაირი საზეინკლო ოპერაცია, ფოტოგრაფირება, დოკუმენტების გახსნა და დაწებება; ისინი ეხმარებიან ნომრიან განყოფილებებს საზღვარგარეთის საელჩოებში, დაწესებულებებსა და კერძო ბინებში შეღწევის ოპერაციებში.

სამრეწველო უშიშროების სამმართველო თვალყურს ადევნებს ყველაზე აუცილებელი პროდუქციის მწარმოებელ სამრეწველო საწარმოებს, აგრეთვე, კვლევით ცენტრებს. თვალთვალი ხორციელდება შემტყობინებელთა საკუთარი ქსელის საშუალებით. თავისი საიდუმლო მიზნებისთვის სამმართველო იყენებს, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან. სამმართველოში ექვსი განყოფილებაა. მათგან პირველი ოთხი ემსახურება მძიმე მრეწველობას, სამხედრო ქარხნებს და კვლევებისა და წარმოების ცენტრებს ბირთვული ენერგიის სფეროში. მეხუთე განყოფილების თანამშრომლები, რომლებითაც გადავსებულია საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, ხელმძღვანელობენ საბჭოთა სამრეწველო გამოფენებს საზღვარგარეთ, უწევენ „მფარველობას“ სსრკ-ში უცხოეთის გამოფენებს, მუშაობენ ჩამოსულ უცხოელ ბიზნესმენებს შორის პოლიტიკური აგენტების ამოცნობაზე, ხელმძღვანელობენ ყველა საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციას, როგორიც, მაგალითად, სავაჭრო პალატაა. მე-6 განყოფილება ცდილობს გადაიბიროს უცხოელი მეზღვაურები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ჩავიდნენ ნაპირზე საბჭოთა პორტებში.

მეხუთე მთავარი სამმართველო

1969 წელს უკმაყოფილების აშკარა გამოვლინებებით შეშფოთებლმა სსრკ პოლიტბიურომ შექმნა მეხუთე მთავარი სამმართველო, რათა მოესპო ყოველგვარი პოლიტიკური უთანხმოებანი და გაეძლიერებინა კონტროლი მთელს მოსახლეობაზე. პოლიტიკური მიზნებისათვის ფსიქიატრიის დამახინჯებული გამოყენება და გაძლიერებული რეპრესიები, რომელთა შესახებ ხმები 1969 წელს გავრცელდა, წარმოადგენს ახალი სამმართველოს დამსახურებას. სუკ-ი სრულიად დააბნია იმან, რომ მეხუთე სამმართველოს ღონე არ შესწევდა მიეკვლია იატაკქვეშა გამოცემის – „მიმდინარე ამბების ქრონიკის“ ყველა ორგანიზატორისთვის, რომელთა მართალი რეპორტაჟები კრემლს აშმაგებდა. 1972 წლის ბოლოსათვის სამმართველომ მაინც გაავრცელა ცნობილი საბჭოთა ინტელიგენტების სია და გააფრთხილა ისინი, რომ „ქრონიკის“ კიდევ ერთი გამოცემის გამოჩენის შემთხვევაში, ყველანი დაპატიმრებული იქნებოდნენ, მიუხედავად მათი დამნაშავეობისა. „ქრონიკის“ ორგანიზატორებმა, უფრო დასახელებული ინტელიგენტების მიმართ თანაგრძნობის გამო, ვიდრე საკუთარი

ვაგრძელება მე-13 გვერდზე

მე-12 გვერდიდან

თავის მიმართ შიშით, შეაჩერეს პუბლიკაციები.

მეხუთე მთავარი სამმართველოს ოპერატიული განყოფილებების დიდი ნაწილი ადრე მეორე მთავარი სამმართველოს ნაწილი იყო. გარდა ამისა, აქ შედიან: საბჭოთა სტუდენტებით-დასაქმებული ყოფილი მე-9 განყოფილების ნაწილი; საბჭოთა ინტელიგენციის წინააღმდეგ მოქმედებაში სპეციალიზირებული ყოფილი მე-10 განყოფილების სექციები; აგრეთვე, განსაკუთრებული ებრაული განყოფილება.

მეხუთე მთავარ სამმართველოში შევიდნენ დამატებით უსაფრთხოების პოლიტიკური სამსახურის მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 მიმართულებები.

მე-5 მიმართულება ფარულად აკონტროლებს რელიგიას საბჭოთა კავშირში. იგი ცდილობს გამოარკვიოს, მოსახლეობაში ვინაა მორწმუნე, და გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ რუსული ორთოდოქსალური ეკლესია სხვა რელიგიებთან ერთად გამოყენებულ იქნას საბჭოთა პოლიტიკის იარაღად. სუკ-ის თანამშრომლები ამ მიმართულებიდან იმყოფებიან საეკლესიო იერარქიაში; ამასთან მიმართულება ახდენს ეკლესიის ნამდვილი მსახურების გადაბირებას აგენტებად. მისი მუშაობის დიდი ნაწილი ხორციელდება რელიგიის საქმეების საბჭოს მეშვეობით. ოფიციალურად რელიგიური საქმეებით დასაქმებული ეს საბჭო დაკომპლექტებულია სუკ-ის თანამშრომლებით, რომლებიც პენსიაზე არიან გასული ან ნაწილობრივ არაშრომისუნარიანი არიან.

მე-6 მიმართულებას აწევს მძიმე და სარისკო დავალება ნაციონალიზმის ჩახშობისა 100-ზე მეტ ეთნიკურ უმცირესობას შორის, რომლებიც საბჭოთა მოსახლეობის ნახევარს შეადგენს. ბოლო წლებში სუკ-მა მე-6 მიმართულების მეშვეობით განსაკუთრებით ინტენსიური რეპრესიები გამოიყენა ნაციონალური უმცირესობების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი — თათრებისა და უკრაინელების წინააღმდეგ.

მე-7 მიმართულება უწევს მეთვალყურეობას როგორც საბჭოთა მოქალაქეებს, რომელთაც საზღვარგარეთ ჰყავთ ნათესავები, თუნდაც ძალიან შორეული, ასევე უცხოელებს, რომლებიც ჩამოდიან საბჭოთა კავშირში ნათესავების მოსანახულებლად.

მე-8 მიმართულების ამოცანაა გაანეიტრალოს ყოველგვარი გავლენა რუსი ემიგრანტების მიერ შემოგზავნილი ლიტერატურის და აგენტების მხრიდან.

მე-9 მიმართულება წარმოადგენს აზროვნების თავისებურ მაკონტროლებელ განყოფილებას სუკ-ში. იგი კონფისკაციას უკეთებს აკრძალულ ლიტერატურას, დევნის კრიტიკოს მწერლებს და მუშაობს ანონიმური წიგნების, ფურცლების, წერილების, პლაკატებისა და ლოზუნგების ავტორთა კვალის მიკვლევაზე. იგი ეძებს დამალულ საბეჭდ წნეხებს, ცდილობს აღმოაჩინოს საბეჭდი მანქანები, რომელსაც „თვითგამოცემა“ იყენებს, და იძიებს ფოტოასლების გადამღები ტექნიკის „ბოროტად გამოყენების“ შემთხვევებს. სკ კომუნისტური პარტია ამ მანქანებს იმდენად სახიფათოდ თვლის, რომ ჩაკეტილი აქვს ისინი, ზოგჯერ შეიარაღებული დაცვის ქვეშ მყოფ ოთახებშიც. ფოტოასლისთვის მანქანის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ ოფიციალურად დანიშნული მეთვალყურის თანდასწრებით.

1971 წელს საბჭოთა კავშირის ებრაელობის დაშინების მიზნით, საჯარო პროტესტებისა და ემიგრირების მცდელობის აღსაკვეთად, შეიქმნა განსაკუთრებული განყოფილება — **ებრაული განყოფილება**. ეს განყოფილება შედარებით ახალია. ამიტომ შემოწმებული ინფორმაცია მასზე და მისი მოღვაწეობის შესახებ არ არის სრული. ამ განყოფილების თავდაპირველი მიზანი იყო გადაებირებინათ დიდი რაოდენობით ებრაული ეროვნების წარმომადგენლები შემტყობინებლებად და ეთვალთვალათ ცალკეულ დისიდენტურ განყოფილების წარმომადგენლებს შეიძლება შეხვდეთ [illegible] რაიონებში, სადაც [illegible] ბრივად დიდი ებრაული თემები. განყოფილების შექმნის მომენტიდან დაწყებული, სულ უფრო და უფრო მეტ ებრაელ დისიდენტს და ეჭვმიტანილ ებრაელს ათავისუფლებდნენ სამუშაოდან, იწვევდნენ არმიაში მოულოდნელად ან აპატიმრებდნენ სისხლის სამართლის ბრალდებით. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი აკეთებს განცხადებას საემიგრაციო გადასახადების შემცირებისა და სსრკ-დან გასვლის შემსუბუქების შესახებ, მოქალაქენი, რომლებიც განაცხადებდნენ ემიგრირების სურვილს, სუკ-ის მხრიდან განიცდიდნენ შევიწროებას და არც თუ იშვიათად მათ აპატიმრებდნენ კიდეც.

მასალა მოამზადა
რ. დუნდუამ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჩაშღენი ჩინელია საქართველოში?

ათი ათასი? არა, ბევრად მეტი. ოცდახუთი ათასი? არა, მათი ოფიციალური რაოდენობაა ორმოცდახუთი ათასი, ხოლო რეალური (როგორც გვეუბნებიან) — სულ ცოტა, ორჯერ მეტი. ანუ ისინი დღეს საქართველოში რეალურად მყოფ ადამიანთა თითქმის ერთ პროცენტს შეადგენენ. რისთვის არიან? რატომ (ანუ რა ფაქტორთა მოქმედების შედეგად) არიან? რაა მათი საქართველოში ყოფნის სამომავლო პერსპექტივა? ეს კითხვები პასუხს მოითხოვს. ინებეთ.

ჩინელები აქ არიან, ალბათ, არა მხოლოდ ფულის შოვნისათვის (ეს ფული დიდი არ არის), არამედ იმისთვის, რომ დროულად შეუქმნან საპირწონე დასავლელთა სტრატეგიულ მოძრაობას შუა აზიისკენ, რომელიც (ივარაუდება) დასავლურ-ჩინური ბრძოლის, ანუ ჯერ თოფგაუსროლელი მესამე მსოფლიო ომის, ერთი ძირითადი ფრონტია ორთაგან. ჩინეთის სურვილი ამ რეგიონში ისაა, რომ დასავლელებმა მასში ვერ იარონ შუა აზიისკენ, დასავლელებისა კი ის, რომ იარონ ამ მიმართულებით. მაშასადამე, დასავლელებს ურჩევნიათ, რკინიგზები, შარაგზები და ხიდები მთელი იყოს, ჩინელებს კი ურჩევნიათ (ლოგიკურად), რომ მთელი არ იყოს.

მეორე კითხვა. არიან იმიტომ, რომ ორი წელიწადია (დაახლოებით), რაც საქართველოს პრეზიდენტმა მათ მოძრაობის უვიზო რეჟიმი დაუწესა. რატომ დაუწესა? იმიტომ, რომ რუსმა უბრძანა. (სხვა ახსნა ამას არა აქვს. ამერიკელი არ უბრძანებდა და თვითონ, მხოლოდ თავისი კლანისათვის და თავისთვის რაღაცა პატარა გამორჩენის საშოვრად, ამას არა გააკეთებდა). რატომ უბრძანა რუსმა? იმიტომ, რომ ჩინელების სტიმულირება საქართველოს დემოგრაფიული (და სხვა სახის) ათვისებისკენ და მათი ხელშეწყობა დიდი სტრატეგიის ნაწილია. ჩინეთის ექსპანსიას — ლოგიკურად და ტრადიციულად — ორი შესაძლებელი მიმართულება აქვს: ერთია რუსეთის შორეული აღმოსავლეთი და ციმბირი, მეორეა ინდონეზია და მის იქით — ავსტრალია. ჩინეთი შეუტევს იქით, სადაც ნაკლები წინააღმდეგობა იქნება მოსალოდნელი. დიდ, ანუ გეოსტრატეგიულად გადამწყვეტ შეტევას მხოლოდ საწვრილმანოთი, ანუ სამხედრო ძალის „რეზერვად“ დგომის გარეშე, ჩინეთი ვერ განახორციელებს. მაშასადამე, თუმცა 1300 მილიონი ადამიანი ჰყავს, ორივე მიმართულებით ერთდროულად ვერ შეუტევს. ამ ორში მან ერთი უნდა აირჩიოს. დღეს ისახება (ანუ შესაძლებელი ხდება) შეტევის მესამე მიმართულებაც: შუა აზიისა და ამიერკავკასიის გავლით დასავლეთისაკენ, ანუ იმის საპირისპირო მიმართულებით, რასაც დღეს დასავლური სტრატეგია გეგმავს. თუ ჩინეთმა თავისი გენერალური შეტევის (მაშასადამე, ძალის მომცველი შეტევის) ხაზად ეს აირჩია, ამით განიტვირთება ორი, მათ შორის რუსულიც, სადაც ჩინეთს ჩასახლებული ჰყავს უკვე (როგორც მინიმუმი) 22 მილიონი თავისი ადამიანი. ახლა კი რიტორიკულ კითხვას დავსვამთ: შესაძლებელია თუ არა საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ დემოგრაფიული პროცესის დაშვების ახსნა სხვაგვარად, თუ არა მის მიერ რუსეთის ნების შესრულებით (მაშასადამე, რუსეთის აგენტებით)? თუ ვისმე სხვა ახსნა ეგულება, სიამოვნებით გავითვალისწინებთ მას და ჩვენს მწუხარე ფიქრებში ამ თემაზე ერთერთ არგუმენტად ჩავრთავთ.

ნ. ნათაძე



ჩინეთში, The Economist-ის დაკვირვებით, ახალი რევოლუცია იწყება. მან უნდა პოზიციები გაუძლიეროს საშუალო კლასს — მეწარმეებს, ვაჭრებს, შეძლებულ გლეხებს და ა.შ. მას ორგვარი იდეოლოგიური წინააღმდეგობა ჰხვდება. პირველი: შიშობენ, რომ შესუსტდება სახელმწიფოს პოზიციები. გამართული საშუალო კლასი ძველებურად მორჩილი ვერ იქნება. მეორე: ვაი, თუ დაიჩაგრონ ღარიბები (ნუ დაგვავიწყდება, რომ სახელმწიფოს ოფიციალური კურსი გულისხმობს მოსახლეობის სრულ მოცვას უფასო განათლებით და უფასო ჯანდაცვით).

ხელისუფლება საშუალო კლასის მომხრეა, მაგრამ უკიდურესი სიფრთხილით მოქმედებს.

რას უფრთხის ჩინეთი ტაივანის მხრიდან ყველაზე მეტად?

The Economist-ის ცნობითა და აზრით იმას, რომ ტაივანმა ოფიციალურად, სათანადო იურიდიული ფორმალობებით არ გამოაცხადოს ჩინეთისაგან დამოუკიდებლობა. ერთი შესაძლებელი და მოსალოდნელი ფორმა ტაივანის დღევანდელი პრეზიდენტის ჩენის (ჩენ-შუი-ბლანი) მოქმედებისა ამ მიმართულებით არის ის, რომ დანიშნოს რეფერენდუმი საკითხზე, შეიცვალოს თუ არა ტაივანის, როგორც გაეროს წევრის, თვითდასახელება „ჩინეთის რესპუბლიკა“ სახელით „ტაივანი“. ჩინეთს ისიც კი ურჩევნია, რომ მისთვის საძულველი ამ ფიგურის — ჩენის ნაცვლად კუნძულის პრეზიდენტი გახდეს ჩან-კაი-შის პარტიის („გომინდანის“) წარმომადგენელი, რომელიც კონტინენტურ ჩინეთში ბატონობდა 1949 წლის რევოლუციამდე, რომელმაც იგი დაამხო. წითელი ჩინეთის ისტორია იმ დროს მისი მოსისხლე მტრის — გომინდანის — და ამ უკანასკნელის ლიდერის, გენერალისიმუს ჩან-კაი-შის დამხობით იწყება.

საყურადღებოა, რომ დღევანდელი და გუშინდელი პროტესტების დროს, რომლებმაც მოითხოვეს ჩენის გადადგომა მისი კორუმპირებულობის გამო, არ ფიგურირებს ის, რაც ყველაფერზე ნაკლებ უნდათ ამერიკელებს — აზრი, რომ ტაივანი ჩინეთის ნაწილია და მას უნდა დაუბრუნდეს. ასეთი იდეა ძალიან სახიფათოა ამერიკელებისათვის წყნარ ოკეანეზე ბატონობისთვის მათი და ჩინელების მომავალი დაუნდობელი მეტოქეობის კონტექსტში.



„არ დავთმობთ კოსოვოს“ (ბელგრადი). New Statesman

საპროპაგანდისტო ტრიბუნა

დღეს, სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის საერთო აზრია, რომ საქართველოში სამართალი არ არსებობს.

ვიცით, რომ წინამდებარე პუბლიკაცია უშედეგოდ დაიკარგება, ისევე როგორც დაკარგულა ხელისუფლების ლაბირინთებში აქ ციტირებული წერილები.

მაგრამ, დაე, ეს ტექსტები დარჩეს ისტორიას როგორც ქართველი ერის დღევანდელი განსაცდელის მოწმობა.

წერილი №1, 8 იანვარი 2007 წ.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს პარლამენტარებს ბატონებო

შიმშილი, სინესტე, სიბნელე, სასიცოცხლოდ აუცილებელი ჟანგბადის ნაკლებობაც კი, პატიმრებით გადატვირთული საკნები და საწოლების უკმარისობით გამოწვეული უძილობა, რასაც ემატება ცემა, წამება, დამცირება და სხვა გაუსაძლისი, არაადამიანური სასიცოცხლო და გარემო პირობები, დღეს ფართოდაა გავრცელებული საქართველოს საპატიმროებში, რამაც ტუბერკულოზით დაავადების გავრცელებასთან ერთად ტანჯვა-წამებად უქცია სიცოცხლე თითოეულ პატიმარს, რომელთა შორის მრავლად არიან უდანაშაულო თუ მსუბუქი დანაშაულის ჩამდენნი; ხელისუფლებისათვის „არასასურველი" პირები – პოლიტპატიმრები და სხვა, რაც, დაგვეთანხმებით, გაცილებით მძიმე სასჯელია პატიმრისათვის, ვიდრე ერთ დროს თავმოსაწონად გაუქმებული სასიკვდილო განაჩენი, რომლის გაუქმების შემდეგი პერიოდიც გვაფიქრებინებს – ხელისუფლების მხრიდან მოჩვენებითი აქტი ხომ არ იყო დემოკრატობანას თამაშით მოტყუებული მოსახლეობისათვის, რითაც ხელისუფლებამ დამოუკიდებელ სამშობლოში გაცილებით მძიმე სასჯელი – შიმშილით სიკვდილი – მიუსაჯა არა მარტო პატიმრებს, არამედ მთელ ქართველ ერს.

„სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი", (საქართველოს კონსტიტუციის თავი II, მუხლი 15) ჩაგვიწერეს უზენაეს კანონში და სწორედ ეს მუხლი, და არა მარტო ეს მუხლი, მთელი კონსტიტუცია უხეშად იღრვევა დღეს საქართველოში. ამის ასე მშვიდად ყურების უფლება არც ერთ ჩვენგანს არ გვაქვს, განურჩევლად ჩვენი ცენზისა და თანამდებობისა.

ზემოთ აღნიშნული მძიმე ვითარეზიდან გამომდინარე, ვალდებულნი ვართ წარმოგიდგინოთ ჩვენ მიერ პრეზიდენტისადმი წარდგენილი გზავნილების ასლები (იხილეთ დანართი 1,2).

გთხოვთ, გაეცნოთ ამჟერად ამ კონკრეტულ საკითხს, უზრუნველყოთ მოწოდებულის საჯაროობა, პარლამენტის დღის წესრიგში დაყენება და შესრულებისათვის შესაბამის ღონისძიებათა უმოკლეს დროში გატარება. რამეთუ მათ უკან პატიმართა გაუბედურებულ ოჯახებთან ერთად, მათ მსგავსად, უფლებაყრილი და ღირსებაშელახული საქართველოს მოსახლეობაც დგას.

თქვენ მოგმართავთ, როგორც საყრდენ ძალას, რადგან დარწმუნებული ვართ, გათითოკაცებული ორგანიზაციების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი წარდგენილ მოთხოვნებს შედეგი არ მოაქვს (რასაც მრავალწლიანი გამოცდილება გვიდასტურებს). დრო საქართველოსა და მისი მოსახლეობის წინააღმდეგ ძალიან სწრაფად მუშაობს...

პატივისცემით,
საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბერმუხა"
საქართველოს სახალხო ფრონტის სოციალურ საკითხთა დარგობრივი კომისია

წერილი №6, 25 დეკემბერი 2006 წ.
საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს ბატონო პრეზიდენტო!

უმორჩილესად გთხოვთ, საქართველოში დემოკრატიული პრინციპების და ფასეულობების აღდგენის მიზნით, ახალი 2007 წლის შემობრძანებასთან დაკავშირებით, დაჩაროთ და უზრუნველყოთ:

1. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის აღდგენა-ამოქმედება „პატიმართა პირობით ვადამდელი გათავისუფლების შესახებ".

2. შეწყალების ჰუმანური აქტის გატარება პატიმართა ფართო წრის ჩართვით, მათთან ერთად პოლიტპატიმართა უპირობო გათავისუფლებით.

3. კანონის გამოცემა საქართველოს მთლიანობისათვის ომებში მებრძოლ პატიმართა და ასევე უპირველესად არასრულწლოვანთა ამნისტიის შესახებ, რომლის ამოქმედების დაჩქარებაზე დამოკიდებულია ათასობით გაღატაკებული და იმედგაცრუებული ოჯახების მომავალი, რომლებიც განადგურების წინაშე დგანან. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ თქვენდამი 2006 წლის 11 ოქტომბერს წარმოდგენილი №51 წერილის პასუხზე დღემდე რეაგირება არსაიდან არ ჩანს.

შეწუხებისათვის ბოდიშის მოხდით

პატივისცემით
საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბერმუხა"

წერილი №5, 11 ოქტომბერი 2006 წ.
საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს მთლიანობისათვის ომებში გმირულად დაღუპულ მებრძოლთა სულების პატივსაცემად მოგმართავთ საქართველოს მთლიანობისათვის ომებში მებრძოლთაგან დღესაც პატიმრობაში მყოფ პირთა ამნისტიის შესახებ.

საქართველოს მთლიანობისათვის ომებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში რჩეული ვაჟკაცები თავგანწირვით იბრძოდნენ, რაც მათ სხეულზე ჭრილობებით და ასევე არსებული დოკუმენტებით დასტურდება და რაც მათი სახელმწიფოს წინაშე გაწეული უდიდესი დამსახურებაა.

ჩვენდა სამწუხაროდ, სახელმწიფო ფუნქციის უზრუნველყოფის მოშლილობით, მებრძოლთა ნაწილი პატიმრობაში აღმოჩნდა, რომელთა შორის მძიმე ავადმყოფი და დაინვალიდებული პატიმრებიც არიან.

თქვენ, როგორც პრეზიდენტს, მოგმართავთ, სახელმწიფოს ფუნქციის უზრუნველსაყოფად დააჩქაროთ კანონის გამოცემა საქართველოს მთლიანობისათვის ომებში მებრძოლ პატიმართა ამნისტიის შესახებ.

გთხოვთ წერილობით გვაცნობოთ პასუხი.

შესრულების დიდი იმედით,
ღრმა პატივისცემით,
საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბერმუხა"

* * *

წერილი №35, 25 ივლისი 2006 წ.
საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან ბეჟაშვილს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს, კრიტიკოს-ჟურნალისტს ბატონ ამირან აკობიას

„სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი" (საქართველოს კონსტიტუციის თავი II, მუხლი 15). სწორედ, რომ უფლის ნებით მინიჭებული ამ სიცოცხლის უფლება აქვს არა მარტო წართმეული, არამედ სიცოცხლე ტანჯვა-წამებად აქვს ქცეული დღეს პატიმარს თენგიზ მახვილაძეს, გუშინ კი – შსს ჯარების მაიორს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ბრძოლებში სამშობლოს დასაცავად მონაწილეს, არა ერთხელ დაჭრილს, კონტუზირებულს, რომელივ მამაცობისათვის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით არის დაჯილდოვებული.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით (მოპოვებული კრიტიკოსი ჟურნალისტი ბატონი ამირან აკობიას მიერ), თენგიზ მახვილაძის მიმართ წარდგენილ ბრალდებას „განზრახ მკვლელობის მიზნით" განაჩენით 12 წლიანი პატიმრობა მოჰყოლია, თუმცა აღნიშნული ფორმულირება სისხლის სამართლის დაუმთავრებელ დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც გაცილებით მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებდა. თენგიზ მახვილაძემ პატიმრობის ვადის ნახევარზე მეტი მოიხადა, სადაც იგი ორივე ფილტვის ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებული და მხოლოდ მისი ნათესავების ზეწოლის შედეგად ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში უმკურნალებიათ. ასეთი ავადმყოფი მასზე მოწყობილი პროვოკაციის შედეგად, ციხის №1 საპყრობილეში ჯერ კარცერში მოათავსეს, შემდეგ კი დახურულ კამერაში გადაიყვანეს. რატომ? რისთვის?

მაშინ, როცა აშკარად საფრთხე ემუქრება ერთის მხრივ პატიმარს, მაგრამ უპირველესად ადამიანს და მის სიცოცხლეს, ხოლო მეორეს მხრივ, შიდა ომებში დაზარალებულ თენგიზ მახვილაძის სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახს:

– მამა, მოხუცი და ავადმყოფი, პენსიონერი

– მეუღლე, უსასრულო უსანართლობის ნიადაგზე დავადებული, უმუშევარი, რომელსაც ოპერაცია ესაჭიროება, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ იკეთებს...

– შვილები – მოზარდი ქალ-ვაჟი, მოსწავლეები, ფრიადოსნები, რომლებიც ფარულად მათხოვრობენ...

უფლება არ გვაქვს ჩვენ, უპირველესად, როგორც მშობლებს, შემდეგ კი პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბერმუხა"-ს წარმომადგენლებს, ხმამაღლა არ განვაცხადოთ:

1. დღეს თენგიზ მახვილაძეს დაცვა და სიცოცხლის შენარჩუნება სჭირდება.

2. დღეს თენგიზ მახვილაძის განადგურებულ ოჯახსა და მის მოზარდ თაობას შველა და თანადგომა სჭირდება.

ასოციაცია „ბერმუხა" მოგმართავთ შუამდგომლობითა და თანაც უმორჩილესი თხოვნით

1. უზრუნველყოთ უმოკლეს დროში თენგიზ მახვილაძის ჯანმრთელობის სათანადო სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება და შესაბამისი მკურნალობა მისი ჯანმრთელობის აღდგენისათვის.

2. გთხოვთ უზრუნველყოთ სასჯელის ნახევარზე მეტმოხდილი პატიმრის, მძიმე ავადმყოფ თენგიზ მახვილაძის ვადამდე პირობით გათავისუფლება, რათა ყველამ ერთად შევეცადოთ დავიცვათ „სიცოცხლე – ადამიანის ხელშეუვალი უფლება".

გთხოვთ წერილობით გვაცნობოთ პასუხი.

პატივისცემით,
საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბერმუხა"

* * *

პატიმრის მიერ გამოგზავნილი წერილი ციხიდან

17 ივნისს საავადმყოფოს ადმინისტრაციამ გამომწერა, მიუხედავად იმისა, რომ კვლავ გავდიოდი მკურნალობის კურსს წითელი ჯვრის პროგრამით. ჩემმა ექიმმა მითხრა: ბევრს ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა!.. ჩემი ზონა ხონიდან ავჭალაში გადმოიტანეს, ისევ იმ ადგილას, სადაც თავიდან ვიყავი. ექიმმა ორი კვირის წამალი გამომატანა, ზონაში გაგრძელებ მკურნლობასო. სანამ ამ წამლებს დაამთავრებ, წითელ ჯვარს ჩავაყენებ საქმის კურსში, უყურადღებოდ არ დაგტოვებენ, ზონაში მოგაწვდიან წამლებსო. თუ ავჭალაში ვიჯენებოდი და მკურნალობას გავაგრძელებდი, კიდევ არა უშავდა, მაგრამ...

იმ ჩემს ზონას ახლა სულ სხვა ადმინისტრაცია ჰყავს. ჩემთნ ერთად ჩემი ზონელიც გადიოდა მკურნალობას და ისიც გამოწერეს. ახალმა ადმინისტრაციამ ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით არცერთი არ მიგვიღო ზონაში და უკან გამოგვაბრუნა ბადრაგმა. გვეგონა, ისევ საავადმყოფოში დაგვაბრუნებდნენ და იქ გავაგრძელებდით მკურნალობას, მაგრამ ამაოდ. მიგვიყვანეს №1 საპყრობილეში, ე.წ. „კრიტში" და ჩაგვყარეს ჯურღმულში, თითქმის ე.წ. „სპეცებში". ამაზე უარესი საკანი, მე მგონი, არც არსებობს ამ ციხეში: საოცარი ნესტი, შმორის სუნი, ტუალეტის სუნი, უჰაერობა, არავითარი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა. ჰლუს, არც ექიმი, არც ექთანი. ერთი სიტყვით, მე კი არა, სრულიად ჯანმრთელი ადამიანიც კი ვერ გაძლებს დიდხანს. ჩემი აქ გაჩერება არაფრით არ შეიძლება – ეს, ფაქტურად, სიკვდილს ნიშნავს! აქაურ ადმინისტრაციასთან ვერაფერს ვერ გაარკვევ და არც პირობების გაუმჯობესებაზე არავინ იწუხებს თავს. ჰოდა, რა გამოდის: საერთაშორისო წითელი ჯვარი აფინანსებს ჩვენს მკურნალობას, ხოლო „შობლიური" ბიუროკრატია, ნაცვლად ამისა, სულს გვხდის! ამიტომ, თუ გარედან არაფერი იმოქმედეთ, ჩაგვკლავენ აქ!

ვიციროთ თუ ვიტიროთ?
(ანუ ხელისუფლების კიდევ ერთი აუგი)

გასული წლის 7 დეკემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ჩატარდა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის 50-ე წლისთავისადმი. საიუბილეო სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამავე კავშირის თავმჯდომარე ბატონი კარლო გარდაფხაძე. მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა ხელისუფლება ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებისადმი ნიჰილისტური, უფრო მეტიც – ცინიკური დამოკიდებულების გამო. ამ კატეგორიის ვეტერანთა უმრავლესობის პენსია ხომ საარსებოდ საჭირო მინიმუმის ნახევარიც არ არის, ხოლო კანონით გათვალისწინებული 29 სახის შეღავათიდან უკანასკნელ წლებში დატოვეს მხოლოდ ოთხი.

სხდომაზე ჯერ მომხსენებელმა, ხოლო შემდეგ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა ვაშაკიძემ აღნიშნა მეტად კურიოზული ფაქტი. სოციალურად გაჭირვებული ვეტერანების მდგომარეობის გამოსწორების მიზნით თბილისის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ მოსე მდინარაძემ წერილობით მიმართა პრემიერ-მინისტრს – ზურაბ ნოღაიდელს; ნოღაიდელმა – ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს ბ-ნ ლადო ჭიპაშვილს, ჭიპაშვილმა დაწერა თავის მოადგილეს მეგრელიძეს, რომელმაც გაუგზავნა ომისა და შრომის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ნუგზარ ცაგარეიშვილს. ბოლოს ის ფარატინა ქაღალდად ქცეული დოკუმენტი დაუბრუნდა კვლავ ავტორს – მოსე მდინარაძეს. აი, ბატონებო, ცოცხალი ფაქტი, რაც ადასტურებს სამშობლოს წინაშე დამსახურებულ ადამიანთა მიმართ ხელისუფლების სრულიად უგულისყური და ცინიკურ დამოკიდებულებას.

პრეზიდენტმა დაიქადნა, ბიუჯეტი ხუთჯერ გაიზარდაო. ნუთუ იგი მხოლოდ შადრევნების აგებას, ჩინოსანთა მაღალ ხელფასებსა და მათ საზღვარგარეთ მუდმივ მიმოფრენას უნდა მოხმარდეს?!

15.01.07.

ზოთა სომხიშვილი
ომისა და შრომის ვეტერანი,
პერსონალური პენსიონერი

მართალი ხარ, შხამის ნოხევა ძმობა კი არა, მტრობაა!
(ღია წერილი პროფესორ ოთარ ზარდალიშვილს)

ოთარ, დიდი ინტერესით წავიკითხე წინამდებარე გაზეთის გასული წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნებული შენი ღია წერილი ბატონ მერაბ ბერძენიშვილისადმი. ჩვენ ხომ თანაკურსელები და თანაჯგუფელები ვართ. ვინ უნდა გიცნობდეს ჩემზე უკეთესად! მე პატივს ვცემ შენს ნიჭს, ადამიანისადმი ერთგულებასა და უმორის ვრძნობას. ამიტომ მე არ დავმალავ, გადაჭარბებულად მომეჩვენა შენი საყვედური ბატონ მერაბ ბერძენიშვილისადმი. შენ მიმართავ მას: „გამაოცა თქვენი წერილის უსუსურმა ტონმა! თითქოს გეშინიათ არაფერი აწყენინოთ „ჩვენს ძმებს" (იგულისხმება „ჯავახკის" წერილის ავტორები). დიდი სურვილი აღმეძრა გავცნობოდი „ჯავახკის" წერილს ქართველებისადმი და მასზე მერაბ ბერძენიშვილის საპასუხო წერილს. და აი, ხელში ჩამავარდა გაზეთ „საქართველოს ვეტერანის" გასული წლის მე-11-12 ნომერი, სადაც ორივე წერილია მოთავსებული. ახლა უკვე ჩემთვის ნათელი გახდა შენი გაღიზიანების მიზეზი და საფუძველი. შენ თურმე ცამდე მართალი ყოფილხარ.

„ჯავახკის" ღვარძლით სავსე წერილის ავტორნი იმ წერილით საკუთარ თავს ახასიათებენ და წარმოგვიდგენენ ამორალურ, უმეცარ, უკულტურო ადამიანებად. ისინი გვეუბნებიან, „არ გაგიკვირდეს ერთიანობა, ეს თქვენი გენეტიკური კოდის ბრალიაო". როგორ არ იტყვი, ამ თვალგაუხელელმა ყვავის ბახალებმა ნუთუ ვერ დაინახეს ქართველი ხალხის ერთიანობა 9 აპრილს, ან ე.წ. „ვარდების რევოლუციის" დროს? განა ერი, რომელსაც არ ახასიათებს ერთიანობა, რაც, თურმე, „გენეტიკური კოდის ბრალია", მოიგებდა ომებს მტრის უფრო მრავალრიცხოვან არმიებთან? XIII საუკუნეში 34 უმძიმესი ომიდან მოვიგეთ 17; XIV საუკუნეში 23 მძიმე ბრძოლიდან მოვიგეთ 14; XV საუკუნეში 28 ბრძოლიდან – 18; და ა.შ.

„ჯავახკის" წერილის ავტორები გვაბრალებენ სიზარმაცეს, რითაც ამყლანებენ აშკარა გონებრივ სინულუგეს; არ ფიქრობენ, რომ ერს, რომელსაც მუდმივად ერთ ხელში ეკავა თოხი ან ნამგალი, ხოლო მეორეში – ხმალი, აუარებელი ისტორიული ძეგლების შექმნა შეეძლო მხოლოდ სამშობლოსა და შრომის სიყვარულით და არა სიზარმაცით.

მაგრამ მოდით, გავაგრძელოთ კვლავ გულწრფელად. „ჯავახკის" წერილი არასასიამოვნო ემოციების აღმძვრელია იმიტომ, რომ იგი არაა დაწერილი მეგობრული ტონით და არ ექვემდებარება „მოყვარეს პირში უძრახეს" პრინციპს. მოსაწონი და მისაბაძია ბატონ მერაბ ბერძენიშვილის საპასუხო წერილი, რაშიც ჩანს მისი პირადი და, საერთოდ, ქართველი ადამიანის როგორც შინაგანი კულტურა, ისე ტოლერანტობა. იგი მიმართავს „ჯავახკელებს": „ქართველებს გვწერთ, გასაცრად სწორად დანახულ ჩვენში არსებულ სიმახინჯეზე. მისი ასე მძაფრად წარმოჩინებისათვის მადლობას მოგახსენებთ... მაგრამ წერილში გაღიზიანება და ღვარძლი უზომოდ დიდია".

„ჯავახკის" წერილი რომ ეხებოდეს ჩვენს მხოლოდ დღევანდელობას და არ იყოს ლაპარაკი გენეტიკურ კოდზე, რომ იყოს გააანალიზებული ჩვენი თანამედროვე ყოფის გამომწვევი მიზეზები და არ იყოს შხამით გაჟღენთილი ნაბოდვარი, მაშინ რას ერჩი! მრავალჯერ ითქვა, დაიწერა და ამიტომ უხერხულობას ქმნის გამეორება მიზეზებისა, რამაც პირამდე შეავსო ჩვენი ცხოვრების ფიალა სიმახინჯეებითა და უსამართლობით.

როცა ჩვენი „დიდი პოლიტიკოსი" პრეზიდენტყოფილი ღუსავდა ქვეყანას, ანგრევდა და აჩანგებდა ქვეყნის ეკონომიკას, მაგრამ მაინც გვჰიდებოდა 2-3 წელიწადში აყვავებულ ქვეყანაში ცხოვრებას; როცა მისი მეუღლე დისახლისებს არწუნებდა 8 ლარით ოჯახის რჩენის შესაძლებლობაში; როცა „უალტერნატივო პრეზიდენტს" უხვად გამოუჩდნენ აპოლოგეტები (ჯანსულ ჩარკვიანი: „როგორც არ შეიძლება ქართლი გორის გარეშე, იმერეთი – ქუთაისის გარეშე, სვანეთი – უშბას გარეშე, ისე არ შეიძლება საქართველო შევარდნაძის გარეშე". რეზო ამაშუკელი: „ჩვენ დღეს შევარდნაძის პურს ვჭამთ". ჭაბუა ამირეჯიბი: „დღევანდელი საქართველო განსხვავდება წინანდელი საქართველოსაგან იმით, რომ მას ხელმძღვანელობს შორსმჭვრეტელი და უნიჭიერესი პრეზიდენტი". გაზეთ „საქართველოს ვეტერანის" რედაქტორი ვასილ გვეტაძე: „დღეს საქართველო სანდო ხელშია" (ამ სათაურით შევარდნაძეს მოუძღვნა დიდი ლექსი). გიგა ლორთქიფანიძე: „რა გაჭირვება, რის გაჭირვება, რესტორნებში ადგილი არ არის"); როცა ქვეყანაში შემოდის ახალგაზრდობის გამხრწნელი ფდლმები; მაშინ არავის გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ქვეყნის შიგნით ქაოსი, განუკითხობა და უსამართლობა.

აღმაშფოთებელია ის, რომ „ჯავახკი" ჩვენს ყველა უბედურებას აბრალებს ხალხს, თითქოს მას მემკვიდრეობით („გენეტიკური კოდით") მოსდგამს ყველა უარყოფითი და ნეგატიური. მაგრამ, როგორც საერთოდ, ისე ახლაც, არაფერ შუაშია ხალხი. ხალხს ჰყავდა რწმენისა და მორალის შემლახველი, ყველანაირი იმედის დამთრგუნველი „ხელმძღვანელი". სხვა საკითხია ის, რომ საჭიროა ხალხმა გაიღვიძოს, ყველაფერი შეაფასოს ობიექტურად და ცხოვრებას მისცეს სათანადო მიმართულება; ამისთვის კი მართლაც საჭიროა თავკაცი.

15.01.07.

ზოთა სომხიშვილი
ომისა და შრომის ვეტერანი,
პერსონალური პენსიონერი

რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა დღევანდელ დღეს

ჟ. The Economist ათავსებს ორ მასალას, სადაც მოკლედ, მაგრამ სიღრმისეულად არის განხილული ამერიკულ-რუსული ურთიერთობა (ძალთა რეალური შეფასებიდან დაწყებული და სულიერი ასპექტებით დამთავრებული), თუმცა პუბლიკაციის უშუალო მიზეზი კონკრეტულზე კონკრეტულია: ესაა პუტინის ძალიან კრიტიკული, უფრო მეტიც – ტონით აგრესიული გამოსვლა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ 10 მარტს მიუნხენში, სადაც მისი მსმენელები იყვნენ ამერიკული და ევროპული პოლიტიკის უგამოჩენილესი ფიგურები გერმანიის კანცლერის ანჟელა მერკელის ჩათვლით. პუბლიკაცია ორია. ერთის, მომცროს სათაურია „ილაპარაკეთ, ნუ იყვირებთ“ (ჟურნალი ამ რჩევით მიჰმართავს ამერიკელებს და არა რუსებს) და ქვესათაურია „გახელებული ვლადიმირ პუტინი ყველაფერში მტყუანი როდია“. მეორის, მოზრდილის სათაური კი არის „ცივი ომი არა, მაგრამ ცივი შელაპარაკება – კი“ და ქვესათაურია, „პუტინის ამასწინანდელი დიატრიბა (დამგმობით გამოსვლა) ამერიკის წინააღმდეგ ასახავს ყოფილი სუპერძალის ღრმა სიძულვილს დარჩენილის წინააღმდეგ“. ვინაიდან ამ ორ წერილში მსოფლიო პოლიტიკისთვის ცენტრალური საკითხის შესახებ სტრიქონებს შორის ანარაკლებია ნათქვამი, ვიდრე თვით სტრიქონებში, მოგვყავს მათი ტექსტი თითქმის მთლიანად.

პირველი წერილი:

გაშმაგებული პუტინი ყველაფერში არ ტყუის

„1970 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა ჯერ მუშტები, შემდეგ კი ფეხსაცმელი ისე მაგრად უბრახუნა გაეროს მაგიდას, რომ საათი გაჩერდა. ეს არ გახლდათ სპონტანური აფეთქება. მისი შეტყობინება (მესეჯი) იყო, ჩვენ სუპერძალა ვართ, ჩვენ ანგარიში უნდა გაგვწიოს და ჩვენი წესების მიხედვით არ ვითამაშებთო“. ბობოლებს, რომელთაც გაუმასპინძლდნენ ვლადიმირ პუტინის ამასწინანდელი ტირადით ამერიკის, ნატოს, ევროკავშირის და კიდევ მრავალი რამის წინააღმდეგ, ეპატიებათ, თუ იფიქრებენ, რომ რუსეთისათვის ხრუშჩოვის აქეთ დრო დიდად წინ არ წასულა“.

„მაგრამ მსოფლიო მაინც არ დგას ახალი ცივი ომის მიჯნაზე. დღევანდელი რუსეთის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წავა მისი მზარდი ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში. მის უსაფრთხოებას ემუქრება ტერორიზმი, მასობრივი მოსპობის იარაღის გავრცელება და კლიმატური ცვლილებები – სწორედ ისევე, როგორც ამერიკას ან ევროპას. თუმცა ასეა, ბატონ პუტინის რიტორიკული ბრახუნი მაგიდაზე გათვლილია იმაზევე, რაზეც ხრუშჩოვისა იყო: პოსტსაბჭოური სისუსტის წლების შემდეგ ნავთობით გამდიდრებული რუსეთი მოიქცევა ისე, როგორც პუტინი საჭიროდ დაინახავსო“.

„პუტინის სიტყვა მოიცავდა თვითმიზნური ანტიამერიკული მიმართულების დიდ დოზას. თუმცა ნაკლებ თეატრალურად, მაგრამ იგი შეეხო შეიარაღებათა კონტროლის პრობლემებსაც და მათ ადგილს ამერიკულ პოლიტიკაში. საშიშარი ის არის, რომ ადამიანებს, როგორც ჩანს, მიდრეკილება აქვთ ამ გამოსვლაში უფრო ის ამოიკითხონ, რაც საჭირო არ არის, ვიდრე ის მოისმინონ, რისი ყურის გდებაც საჭიროა.

„დავიწყოთ მისი პოპულისტური ლაქლაქით. პუტინი ცდილობს დაგვაჯეროს, რომ გაეროს, ეუთოს და სხვათა მცდელობა, რომ ხელი შეუწყონ „ენ-ჯი-ო“-ების (არასამთავრობო ორგანიზაციების. რედ.) რთულ საქმიანობას, ცოცხალი პრესის განვითარებას და არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლას ნასაბჭოვარ ქვეყნებში ბელორუსიიდან შუა აზიამდე, სულ მტრული ძალების უკანონო მაქინაციებია. ნატო-ს გაფართოებას იგი გმობს, როგორც მუქარას რუსეთისათვის, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დასავლეთი საზღვარი არასოდეს ყოფილა ისე მშვიდობიანი, როგორც ახლაა. ნატო თავისი ჯარისკაცებით ამ ფუნქციას ახორციელებს ყველგან და თვით პუტინიც არ უარყოფს (თუმცა მისი გენერლები უარყოფენ), რომ ანტისარაკეტო დაცვის მოწყობა პოლონეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში არ წარმოადგენს საშიშროებას რუსეთის ბირთვული შემკავებელი ძალების ქმედითობისთვის.

„სინამდვილეში ცინიკოს მისტერ პუტინს უნდა, რომ რუსეთს ჰქონდეს თავისი გავლენის სფერო ევროპაში. ნატოსა და ევროკავშირში რუსეთს თავისი „ნეტ“-ის თქმის უფლება არ აქვს, თვით ერაყში ამერიკელების შეჭრასთან დაკავშირებითაც კი. ვეტო მას მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოში ეკუთვნის. მაგრამ მისმა უარმა, რომ სერბებზე ზეგავლენა მოეხდინა, რათა შეეწყვეტინებინა მათთვის მათი სისასტიკენი კოსოვოში, სტიმული მისცა ნატოს, ჩაბმულიყო თავის პირველ ომში (იუგოსლავიის წინააღმდეგ. რედ.). რუსეთის მიერ უსასრულო ჭიმვა თავისი თანხმობისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიეღო სანქციები ირანის წინააღმდეგ – რისი მიზეზიც ნაწილობრივ ის იყო, რომ ამით მას უნდოდა ამერიკისთვის ეჩვენებინა, ეს შემიძლიაო – მას არ შველის დასახული მიზნის მიღწევაში. მაგრამ ასეთი უნაყოფო აზროვნება, რომელიც ამერიკის ყოველ წარმატებაში რუსეთის წარუმატებლობას ხედავს, ძნელად თუ შეუწყობს ხელს პუტინისადმი პატივისცემას, რომელიც მას ესოდენ სწყურია.

„მაგრამ როცა სიტყვა შეეხება შეიარაღებათა კონტროლს, პუტინს უნდა უსმინონ, სხვა თუ არაფერი, იმის გამო მაინც, რომ მოსკოვის ხელშეკრულება, რომელიც განლაგებული სტრატეგიული ქობინების რაოდენობას მხარეებს უზღუდავს 1700-2200 ერთეულამდე, ვადა უთავდება 2012 წელს. ორივე ქვეყანა, ასე ჩანს, წინააღმდეგი არაა, რომ ამ რაოდენობის კვეცა განაგრძოს, მიუხედავად იმისა, რომ ორივენი განაგრძობენ თავისი ბომბების სრულყოფას. მაგრამ ბუშის ადმინისტრაციის მოხელეები, თუმც კი ამბობენ, ჩვენ და რუსეთი მტრები არ ვართო, მაინც ეწინააღმდეგებიან შეიარაღებათა კონტროლის ხელშეკრულებებს. ეს შეცდომაა. წინასწარმეტყველებისა და შემოწმებისუნარიანობის მიღწევა, თუ როგორ ასრულებს მეორე მხარე ნაკისრ ვალდებულებას, დარწმუნებულობას მისცემდა (დაამშვიდებდა. რედ.) არა მხოლოდ რუსეთს, არამედ ჩინეთსაც.

„იგივე პრინციპი ეხება ცასაც. ამ დარგში ამერიკა სწრაფად მიდის წინ, მაგრამ იგი უარს ამბობს რუსეთთან და სხვებთან მოლაპარაკებაზე იმის შესახებ, თუ რა სამხედრო ხრიკები არ უნდა მოიგონონ და ვერ უნდა მოიგონონ კოსმოსში გამსვლელმა პასუხისმგებელმა ერებმა. ეს აძნელებს იმის მოთოკვას, ვისაც ცუდად ყოფაქცევის სურვილი გაუჩნდება, როგორიცაა, მაგალითად, ჩინეთი, რომელმაც ერთი თვის წინ თანამგზავრი გაუშვა. მისტერ პუტინის თავდაუჭერელი რიტორიკა აქ საქმეს ვერ ჰშველის, მაგრამ ერთ რამეში კი იგი მართალია: ამერიკას და რუსეთს სალაპარაკო ბევრი არ აქვთ“.

მეორე წერილი:

„რუსეთის ისტორიის გაგების ერთერთი შესაძლო გზაა მისი წარმოდგენა როგორც მუდმივი ბრძოლისა დასავლეთის მეტოქეობის იდეასა და, პირიქით, დასავლეთის არიდების, მისგან იზოლაციის იდეას შორის. XX საუკუნის თითქმის მთელ მანძილზე რუსეთისთვის ამერიკა იყო ყველაზე დიდი აღტაცების და ყველაზე დიდი სიძულვილის საგანი. ამერიკა, რომელსაც ახასიათებს უდიდესი მრავალგვარობა და მძაფრი პატრიოტიზმი, კუნძულის მდგომარეობა და თავისი მოწოდების მესიანური იდეა, მართლაც ბევრი რამით რუსეთის მსგავსია. მას შემდეგ, რაც 1990-იან წლებში თავბრუდამხვევი სიჩქარით მიიღო და გაითავისა ამერიკული იდეები, დღეს რუსეთი, პუტინის ხელქვეით, კვლავ ანტიდასავლურ იმპულსებს უბრუნდება. თუ ვიმსჯელებთ პუტინის გამოსვლის მიხედვით (10 მარტი), ეს განწყობილება უკვე ზეობს.

პუტინი და ჩავესი. ვნახოთ, რას მოუტანს რუსეთის მეგობრების აქტიური ძებნა (The Economist)

„მიჰმართა რა თავდაცვის მინისტრს რობერტ გეიტსს, სენატორ მაკ კეინს, ანჟელა მერკელს და სხვა ბობოლებს, პუტინმა წარმოადგინა ამერიკის მიმართ რუსების წყენათა უხეში სია. ესენია: „ერთმხრივი და ხშირად უკანონო მოქმედება“, რაც, პუტინის აზრით, მიზეზი ხდება არაერთი ადამიანური ტრაგედიისა და ქმნის დაძაბულობის ახალ ცენტრებს. მსოფლიო, მისი სიტყვით, „მოწმე ხდება ძალის გადამეტებული გამოყენებისა“, რითაც „მუდმივი კონფლიქტის უფსკრულის პირზე ვდგებით“. იმის შიშით, რომ ვინმემ შეიძლება სწორად ვერ გაუგოს, პუტინმა დააზუსტა, რომ „შეერთებულმა შტატებმა თავისი საზღვრები გადალახა ყოველმხრივ და ყოველნაირად“, რითაც გამოიჩინეს „უფრო და უფრო დიდი უგულებელყოფა“ საერთაშორისო სამართლისა. ეს, პუტინის სიტყვით, საკვებს აძლევს შეიარაღებათა დოღს და უბიძგებს ზოგ ქვეყანას ბირთვული იარაღის მოსაპოვებლად სწრაფვისაკენ“.

„არც ერთი მისი ნათქვამი ახალი არ ყოფილა. რუსეთის მოხელეებს არაერთხელ გაუხმოვანებიათ ყველა ეს საყვედური. მაგრამ ახალი იყო კილო, მაღალი ტრიბუნა და ამ ბრალდებათა კონცენტრაციის ხარისხი: მათი პირდაპირი მიმართვა ამერიკაზე. სხვა დროს ბრალდებებს უფრო გადაკრული სახე ჰქონდა ხოლმე. მაგალითად, პუტინმა მოიარებით თქვა ამას წინათ „ამხანაგმა მგელმა თვითონ იცის, ვინ შეჭამოს, და ისე ჭამს მათ, რომ სხვებს არ უსმენს“. როგორც ჩანს, პუტინს უნდოდა შეკრებილებში შეშფოთების გამოწვევა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გეიტსი გასულ კვირაში რუსეთის „გაურკვეველ გზას“ დაასახელებდა ამერიკის სამხედრო შეშფოთების მიზეზებს შორის. მან ეს მოახერხა კიდეც“.

პუტინის ეს ეჭვიანი და გააფთრებული გამოსვლა, ჟურნალის სიტყვით, ორ კითხვას ჰბადებს. პირველი: როგორ მივიდა საქმე აქამდე, როცა სულ ექვსი წლის წინ პუტინი და ბუში – ორივენი ახალგოსულნი და ორივენი საეჭვომანდატიანნი – ერთმანეთს ძმობას ეფიცებოდნენ? მეორე: წავა თუ არა ურთერთობა ამ ნიშნულიდან კიდევ უფრო ქვემოთკენ?

„თავის ნაადრევ ენთუზიაზმში პუტინის გამო დასავლელი დიპლომატები ვარდებოდნენ თავის კლასიკურ შეცდომაში რუსი ლიდერების თაობაზე – სასურველის მიჩნევაში რეალობად. ის, რასაც ზოგნი განიხილავდნენ როგორც კრემლის სტრატეგიულ არჩევანს ამერიკელებთან პარტნერობის სასარგებლოდ, კრემლისთვის სინამდვილეში ყოფილა მხოლოდ ტაქტიკური მოკავშირეობა. იმის სანაცვლოდ, რასაც რუსები განიხილავდნენ, როგორც თავის დათმობას ამერიკისადმი – შუა აზიაში ამერიკელთა სამხედრო მყოფობის მოთმენას, ნატოს გაფართოებას რუსეთის ბალტიისპირა საზღვრამდე – რუსები მოელოდნენ რაღაცა სანაცვლოს. ახლა ხედავენ, რომ სანაცვლო ვერ მიიღეს. პირიქით: იზრდება მათი შინაგანი პოლიტიკის კრიტიკა, უგულებელყოფა მათი აზრი ერაყის ომზე და წინააღმდეგობა ეწევა რუსული კომპანიების საერთაშორისო ამბიციებს“.

პუტინის თავდამსხმამ იუკოსსა და მის პატრონ ხოდორკვსკიზე, ჟურნალის სიტყვით, „ეს წყენები ზედაპირზე ამოიტანა“. „მაგრამ მთავარი წყალგამყოფია 2004 წელი, როცა ბესლანის ამბავთან დაკავშირებით პუტინმა ახსენა „უცხო ძალები, რომელნიც რუსეთის დასუსტებას ცდილობენ“. ამას მოჰყვა პუტინის წარუმატებელი მცდელობა უკრაინის არჩევნებში ჩარევისა. რუსებმა ეს მიიღეს, როგორც ვერაგი ამერიკელების მათს გავლენის სფეროში ჩარევის შედეგი. ამერიკელებმა კი ამ ეპიზოდით დაინახეს, რომ პუტინი არ არის დემოკრატი და რომ მისი ეს თვისება გავლენას მოახდენს მისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე“.

„მაგრამ გარდუვალი იყო, რომ პუტინის დროს ყველაზე დიდი სიახლე – ძალის დალექვა კრემლის ხელში და ნავთობზე დამყარებული ეკონომიკური აღორძინება – გამოიწვევდა ისეთ თავდაჯერებულობას, რომელიც რუსეთს არ ჰქონია საბჭოთა დროიდან. პარლამენტი, რეგიონული ლიდერები, ერთ დროს ამპარტავანი ეკონომიკური „ტაიკუნები“ (დიდი მახინატორები) მოთოკილნი არიან... რუსეთის საგარეო ვალის დიდი ნაწილი გადახდილია. არ არის არც საგარეო ვალდებულებები, არც შინაგანი იძულება – და პუტინიც დღეს ისე მეტყველებს, როგორც მოსწონს“. ეს, ჟურნალის თქმით, აშკარა გახდა ჯერ კიდევ დიდი რვიანის პეტერბურგში შეხვედრისას, სადაც პუტინმა „გაისერნა“ ბუშის მისამართითაც და ბლერის მიმართაც.

„ამგვარად, გათამამებული, დღეს კრემლი მოწადინებულია, რომ იგი უყვარდეთ კიდეც და მისი ეშინოდეთ კიდეც. იგი გრძნობს, რომ შეუძლია ძალის ენით ელაპარაკოს უცხო ენერგეტიკულ კომპანიებს და კიდევ ერთხელ შეეკამათოს იმას, რასაც ერთხელ უკვე შერიგებულია“. მაგალითად, ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის გეგმებს. მიუხედავად საკუთარი განცხადებებისა, რომ რუსეთის საკუთარი მიწვდომისუარიანობა ამით არ შემცირდება, რუსებმა მაინც დაგმეს ამერიკული თავდაცვის სისტემების საჭურვლის მიტანა პოლონეთში და ჩეხეთის რესპუბლიკაში. იმასაც გრძნობენ, რომ მათი აღდგენილი ძალა თავისი რეალობის დემონსტრირებას საჭიროებს – სასურველია, ამერიკის და ძალის დამცირების ხარჯზე. ეს ნაწილობრივ ხსნის რუსების ქცევას ახლო აღმოსავლეთში, სადაც პუტინმა გამომწვევად ილაპარაკა „გაზის ოპეკის“ შექმნის სასურველობაზე („ოპეკი“ – ნავთობის მომპოვებელ და გამტან სახელმწიფოთა კავშირია). მიუნხენში მან გაახმოვანა, აგრეთვე, მრავლისმეტყველი თეორია: რუსეთმა ცივი ომი კი არ წაგო, არამედ თავისი ნებით შეწყვიტაო“.

ყველა ეს „ატავისტური პრეტენზიები, გაუგებრობები და ზოგჯერ (როგორც ნატოს გაფართოების შემთხვევაში) კანონსაწინააღმდეგო საყვედურები“, ჟურნალის სიტყვით, ზოგს აფიქრებინებენ, რომ პუტინი დღეს არსებულ ყველა ბოროტება-

გაგრძელება მე-16 გვერდზე

მსოფლიო ბანკი და მისი ახალი მეთაური

საქართველოს ტელემაყურებელს შესაძლოა ახსოვს ერთი არცთუ სასიამოვნოდ შთამბეჭდავი კადრი ტელეეკრანიდან: პრესკონფერენცია აქვთ (ფეხზე დგომით) იმ დროს საქართველოს პრეზიდენტს შევარდნაძეს და იმ დროს აშშ თავდაცვის მდივნის რამსფელდის მოადგილეს ვოლფოვიცს. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ საათზე იყურება (დემონსტრატიულად), თითქოს ამბობდეს „დამანებეთ თავი, ამ წვრილფეხობაში რა საქმე მაქვსო", არამედ ამ სულისკვეთებას მიმიკითაც გამოხატავს. ეს პოლიტიკოსი ბუშის დახლოებით ოცკაციანი ვიწრო გუნდის, „ნეოკონსერვატორებად" წოდებულის ერთერთი წევრი იყო. მას მიეწერება (თუ ვერწმუნებით ჟურნალს the statesman) გადამწყვეტი როლი ამერიკელების მიერ ერაყის ომის დაწყებაში. დღეს იგი (თითქმის ერთი წელიწადია) საქართველოსთვის კარგად ცნობილი მსოფლიო ბანკის პირველი პირია. იმავე ჟურნალის ცნობით, მრავალთ მიაჩნიათ, რომ იგი ამერიკელების ადმინისტრაციიდან წავიდა იმის გამო, რომ მისი იქ ყოფნა შეუძლებელი გახდა მისი რეიტინგის მეტისმეტად დაქვეითების წყალობით, ხოლო ბანკის სათავეში მივიდა იმიტომ, რომ ეს იყო ერთადერთი გადაადგილება, რომელსაც სენატის თანხმობა არ სჭირდებოდა. მსოფლიო ბანკის მოსალოდნელი კურსი და, აქედან გამომდინარე, მისი დღევანდელი მეთაურის პიროვნება ქართველი მკითხველისათვის საინტერესოა, ამდენად, მივაწოდებთ მას მასალას ხსენებული ჟურნალიდან, რომელსაც ორი ურთიერთდაპირისპირებული სათაურ-ქვესათაური აქვს: „ვოლფოვიცი ყველაზე უარესი კაცია მსოფლიოში?" და „ალტერნატივა კიდევ უარესია".

„მსოფლიოს ყველაზე ცუდი კაცი" (new statesman)

მსოფლიო ბანკი, რომელსაც მისი დაარსების წელს (1946) ერქვა „აღდგენისა და რეკონსტრუქციის ბანკი", ჟურნალის სიტყვით, „უცნაური ადგილია": მას ჰგონია, რომ მსოფლიო სიღატაკეს ებრძვის თავისი მჭლე წესებით, მის მიერ გასაბედნიერებელ კაცობრიობას კი მიაჩნია, რომ იგი ამ სიღატაკეს აღრმავებს და ამრავლებს. სინამდვილეში მისი ამოცანაა ფულით და რჩევით დაეხმაროს ქვეყნებს, რომელთაც „განვითარების კიბეზე მაღლა ასვლა" უნდათ, და ამისთვის წელიწადში 20 მილიარდ დოლარს ხარჯავს. ვოლფოვიცი, ჯერჯერობით, თავის ამ ახალ თანამდებობაზე თვალში საცემად პასიურია, ასე რომ, რა არის მისი გეგმა და დავალება, ჯერჯერობით უცნობია. იგი ენერგიას იჩენს მხოლოდ კორუფციასთან ბრძოლაში, რასაც ამ ბანკის თანამშრომელთა მრავალათასიანი კოლექტივის აღშფოთება მოსდევს, რადგან ამ დაწესებულებაში თუმცა კორუფცია რაღაც მინიმალური ზომით არის (როგორც ყველგან), მაგრამ მაინც პატიოსნების დიდი ტრადიციები აქვს. ამ თანამშრომელთა აზრია: „გვბრალებენ, რომ განებივრებულნი და კორუმპირებულნი ვართ. განებივრებულნი, შესაძლოა, ვართ, მაგრამ კორუმპირებულნი ნამდვილად არ ვართ". ახალი შეფის პიროვნება მათში აღტაცებას არ იწვევს. ჟურნალი იმ სცენასაც კი იხსენებს მაიკლ მურის გახმაურებული დოკუმენტური ფილმიდან „ფარენჰეიტი 9/2" (თბილისელებს იგი გვანახეს), სადაც ოპერატორს დაჭერილი აქვს მომენტი, ვოლფოვიცი რომ ნერწყვით თმას იგლუვებს ფოტოგადაღებების წინ.

თურქეთში, The Economist-ის ცნობით, ნაციონალიზმი ზვავდება. ათათურქის დროშის ფრიალს ახლავს კონკრეტული იდეოლოგია, რომელსაც ერთ-ერთი მოღვაწის, პროფესიით იურისტის სიტყვები ასე გამოხატავს: ჩვენ უნდა დავიცვათ თურქი ერი „დასავლური იმპერიალიზმისაგან და გლობალური ძალებისაგან, რომელთაც ჩვენი დაშლა და განადგურება უნდათ". თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 301, რომელიც „თურქობის შეურაცხყოფას" სჯის, ნაციონალისტთა აზრით, საკმარისად ფართოდ არ მოქმედებს. ჯგუფები, რომელთა შორის ზოგიერთს არმიის გადამდგარი ოფიცრები უდგანან სათავეში, ყურანსა და ცეცხლსასროლ იარაღზე ფიცს დებენ, რომ თურქებს „მსოფლიოს ბატონებად" გახდიან, რისთვისაც მზად არიან „მოკლან და მოიკლან". მოძრაობის მახვილი, პრაქტიკულად, მიმართულია პირველ ყოვლისა თურქეთის არამუსლიმანი უმცირესობებისა და ქურთების წინააღმდეგ, აგრეთვე მათი პრესაში გამომქომაგებლების წინააღმდეგ.

მოძრაობის ძალაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ „ნაციონალისტთა" ხმებს უკვე უმიზნებენ — და ამისთვის მათს სულისკვეთებას „ეარშიყებიან" — პოლიტიკური პარტიები. წინააღმდეგობაც მნიშვნელოვანია: ამას წინათ რომ სტამბოლში დღისით მზისით მოკლეს სომეხი რედაქტორი ჰრანტ დინქი (მოკლა 17 წლის ტრაბზონელმა ტყვიით), საპროტესტო მიტინგზე ლოზუნგით „ჩვენ ყველანი სომხები ვართ" 100 ათასზე მეტი თურქი შეიყარა.

დაკვირდით ათათურქის („თურქების მამის") სურათს. იგი მეტყველებს სიმკაცრეს (პიროვნების სხვა მახასიათებლებზე ლუმს). დაკვირდით იმასაც, რომ თურქეთის ეგზოტიკურ მტერთა შორის, დასავლური იმპერიალიზმისაგან განსხვავებით, აღმოსავლური არ იხსენება.

რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა დღევანდელ დღეს

მე-15 გვერდიდან

თა საბოლოო წყარო და რომ დღევანდელი დღე ისეთივე წყალგამყოფი წერტილია ცივი ომისკენ მიბრუნების საქმეში, როგორიც იყო ჩერჩილის სიტყვა ფულტონში (1946), სადაც მან პირველად ახსენა „რკინის ფარდა" (ამ ეჭვს აძლიერებს პუტინის და მისი სამხედრო მინისტრის ივანოვის მიერ ახალი „ბერლინის კედლის" ხსენებაც). ჟურნალი ასე არ ფიქრობს. „ფულტონის" ანალოგია გადაჭარბებულია, მიუხედავად მთელი თავისი „თავხედობისა" რუსეთი არაა საბჭოთა კავშირი. მართალია, მას აქვს მუდმივი ადგილი უშიშროების საბჭოში, რითაც მას შეუძლია ამუხრუჭოს ამერიკული პოლიტიკა ირანსა და კოსოვოს საკითხებში (ამ უკანასკნელმა შესაძლებელია კიდევ შექმნას საბაბი რუსეთის კიდევ უფრო საძაგელი (nasty) ჩარევისათვის საქართველოს განდგომილ რეგიონებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში), მას აქვს ნახშირწყალბადის ყველაზე დიდი მარაგი მსოფლიოში, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს დაშინებისა და შანტაჟის იარაღებად... მას აქვს უამრავი ბირთვული იარაღი, რომელსაც შეუძლია დააყრდნოს თავისი პატივისცემა თავისი თავისადმი. მაგრამ მას არ გააჩნია ჩვეულებრივი ძალები, არც ეკონომიკური და იდეოლოგიური რესურსები ამერიკელებთან მეტოქეობისათვის გლობალური მასშტაბით, როგორც ამას ცივი ომის დროს იქმოდა. როგორც ფიქრობს ტრენინი კარნეგის ცენტრიდან, „რუსეთი, უფრო, იმ ფოსტას გამოდის, რომ განაცხადოს პრეტენზია ამერიკელებისადმი მსოფლიო ოპოზიციის ლიდერობაზე (რისთვისაც დრო შესაფერისი ჰგონია), ვიდრე ცივი ომის გამოცხადებას აპირებს".

ამერიკელებისთვის ყოველივე ეს, ჟურნალის აზრით, შემაშფოთებელია, მაგრამ არა კატასტროფული. ამერიკულ პოლიტიკურ აზროვნებაში რუსეთის პოლიტიკის ამ მიმართულებაზე რეაგირების ორი გზა მოიაზრება. პირველი. დავსაჯოთ რუსეთი, მაგალითად, დაუყოვნებლივ გავსვათ „დიდი რვიანიდან". მეორე. ვიყოთ გამგებნი მის მიმართ, რათა შევძლოთ თანამშრომლობა ირანის და რიგ სხვა საკითხებში. ბუში მეორეს მართებულობას ემხრობა. ორიენტაცია გაირკვევა მაშინ, როცა გამოჩნდება ამერიკელთა რეაქცია რუსეთის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე (2008), რომელიც, ცხადია, არჩევნები კი არ იქნება, არამედ ტახტის გადაცემა. საერთოდ, „ბუშის გონებაში რუსეთს ბევრად ნაკლები ადგილი უჭირავს, ვიდრე რუსეთისაში ბუშს".

ზოგადად, ჟურნალის აზრით, შიშისთვის, რომ ურთიერთობები გაფუჭდება, ორი ძირითადი საფუძველი არსებობს. პირველია „ღირებულებითი უფსკრული" (ღირებულებათა სისტემების განსხვავება) მხარეებს შორის. „ეს განსხვავება პუტინმა გამოფინა (ამერიკის ძალის გამო რუსულ ნევროზებთან ერთად) მიუნხენში, როცა თქვა, რომ ეუთო, ეს ზოგ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოში არჩევნების გაყალბების მაკრიტიკებელი ორგანიზაცია, არის „ვულგარული იარაღი ერთი ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ინტერესების წინწაწევისა", თქვა აგრეთვე, რომ ასეთივე იარაღები არიან უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები. „ალ-ჯაზირასთან" ინტერვიუში პუტინმა გამოთქვა, თუ რა უდევს საფუძვლად ამ ოხვრა-კვნესას. ესაა რუსეთის ძირეული რწმენა, რომ ამერიკელთა საუბარი რუსეთის დემოკრატიის ხარვეზებზე არის მხოლოდ „რეალპოლიტიკა" (ანუ რეალურ ინტერესთა წინწაწევა. რედ.), რასაც ადამიანის უფლებათა დამცველები დემაგოგიურად იყენებენ თავისი ქვეყნების ინტერესებისთვის რუსეთში. მეორე საფუძველი ისაა, რომ ეს სულისკვეთება მხოლოდ პუტინსა და მისი კოლეგა უშიშროებელებლისა კი არაა, არამედ ხალხისაცაა. დამოკიდებულება ამერიკელებისადმი რუსეთში მკაცრდება, მიუხედავად ამერიკული კომფორტის მზარდი გავრცელებისა. ჟურნალის აზრით, რუსების დამოკიდებულება ამერიკელებისადმი, ჯამში, „ამბივალენტურია" (ორჭოფულია) — პატივისცემისა და მიდრეკილებების მომცველიც და სიძულვილისაც. ეს, მისი აზრით, ისტორიულადაც ასე იყო. საბოლოო დასკვნა. რუსეთში არამარტო მედია მართავს ხალხის სულისკვეთებას, არამედ პირიქითაც: ხალხის ეს დამოკიდებულება ამერიკელებისადმი გარკვეულწილად მართავს ოფიციალურ დამოკიდებულებასაც".

რედაქციისგან. როგორც მკითხველი ხედავს, პუტინი არ ახსენებს (თითქოს ვერ ხედავს) იმ ფუნდამენტალურ ფაქტს, რომ მსოფლიო, წინაღმდეგ მისი სიტყვისა, დიდი ხანია აღარ არის ერთპოლუსიანი: მეორე პოლუსია ჩინეთი. მისი კრიტიკოსებიც არჩევენ, ეს ფაქტი არ შეიმჩნიონ. მკითხველი ხედავს აგრეთვე, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციათა" სამუშაოების ჩამონათვალში გამოტოვებულია ერთი არსებითი მომენტი მაინც: ვანთლების სისტემის ნგრევა (რაც საქართველოში ფაქტია. სოროსის ფონდი „ღია საზოგადოება" ერთერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა).

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ შემდეგსაც: ჟურნალის ძალიან ფრთხილად (მინიშნებით) ვამოთქმული რეკომენდაციაა, რომ ცივი ომი, თუკი იგი კიდევ ერთხელ შედგება, არ შეეხოს ბირთვულ მეტოქეობას. ეს ფაქტი მოწმობს, რომ დასავლეთს „რუსული პოლიტიკის წარმართვის ძალიან მძლავრი ბერკეტები აქვს. ეს ძალიან დიდი პროგრესია ამ ფრიად რთულ მოვლენისადმი კაცობრიობის დამოკიდებულების ისტორიაში.

გაზეთ „საქართველოს" ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
ტელ: 93-15-89, 93-17-10

შპს გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.